არასამთავრობოთა კოალიციამ "თელასს" სასამართლო პროცესი მოუგო A2
საბანკო მონიტორინგი A8
ქართული ვაზის ჯიშთა ქვირფას ფონდს შველა სჭირდება B6

www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური

ორშაბათი, 13 სექტემბერი, 2004 წელი. №217 (766)
ფასი 50 თეთრი
© გაზეთი 24 საათი

# დემოკრატია – ერთადერთი დაცვა აგრესიისგან




დემოკრატიული ფასეულობებისადმი ერთგულება დაიცავს საქართველოს კვლავ დაბრუნებისაგან იმ კავშირში, რომლის ბირთვის შენარჩუნებითაც ასე ამაყობდა ცოტა ხნის წინ რუსეთის პრეზიდენტი.

ეკა კვესიტაძე

**"შევწყვიტოთ პუტინის დანაშაულება და დავეხმაროთ მას!"** - ამ სათაურით გამოქვეყნდა რამდენიმე დღის წინ "ნიუ-იორკ ტაიმსში" ცნობილი ექსპერტის ფიონა ჰილის სტატია. მართალია, ამერიკის ამ ყველაზე გავლენიან გაზეთში რუსეთის შესახებ და ბესლანის ტრაგედიასთან დაკავშირებით ბევრი მოსაზრება იბეჭდება, მათ შორის ისიც, რომ პუტინმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა მიბაძოს დე გოლს და, ალჟირის მაგალითის გათვალისწინებით, დამოუკიდებლობა მიანიჭოს ჩეჩნეთს, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტის მიმართ ის ლოიალური ტონი, რომელიც ზემოხსენებულ სტატიაში შეინიშნება, შესაძლოა შორს არც იდგეს იმ განწყობისაგან, რომელმაც ბესლანის ტრაგედიის შემდეგ შეაღწია ამერიკის ადმინისტრაციაში და - არა მხოლოდ ამერიკის ადმინისტრაციაში.

სკოლაში განხორციელებული ტერაქტის შემდეგ ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრის ბერნანდ ბოტის განცხადება - რუსეთმა უნდა აუხსნას ყველას, თუ რატომ მოჰყვა ბესლანის ტრაგედიას ამდენი მსხვერპლი - ევროკავშირის სხვა ქვეყნებს არ აუტაციათ. ეს გასაკვირიც არ არის. ბოლო პერიოდში ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობებს ლამის პუტინ-შრიოდერ-შირაკის პირადი მეგობრობა განსაზღვრავს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ ევროპა არასოდეს ყოფილა განსაკუთრებით კრიტიკული რუსეთის მიმართ.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ის ერთადერთი კოზირია, რომელიც საკმაოდ წარუმატებელი საშინაო პოლიტიკის ფონზე, ბუშს არჩევნებში გამარჯვების დიდ შანს აძლევს. ამიტომ ამ ეტაპზე, ანუ არჩევნებამდე, როცა თეთრი სახლის ლიდერს ევროპაში მოკავშირეები შემოაკლდა, მისთვის ხელსაყრელია ანტიტერორისტული ტანდემის შეკვრა პუტინთან, მიუხედავად იმისა,

გაგრძელება A2 გვერდზე

## ერთმორწმუნე მეკობრეები

გივი ალხაზიშვილი

მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთი საქართველოში არაქართველ მოსახლეობას უფრო წყალობდა, ვიდრე ქართველობას. საქართველოსთვის ზღვის წართმევა რუსეთის იმპერიის მთავარი სტრატეგია იყო, ამიტომაც ზღვისპირეთში ყოველნაირად უწყობდა ხელს რუსების, სომხებისა და სხვათა ჩასახლებას. ზღვისპირეთში დემოგრაფიული სურათის შეცვლა რუსეთის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, ამასთან, პარალელურად, სამეფო გვარის წარმომადგენლებს, დიდგვაროვნებს იმპერიაში „ეპატიჟებოდა“, მაღალ წოდებებს, ჩინ-მედლებს, მამულებს, დიდ ხელფასებს სთავაზობდა. ვინც საქართველოში რჩებოდა, ისინიც ნებაყოფლობით რუსის სამსახურში ჩამდგარიყვნენ და გეორგიევსკის ტრაქტატის ყველა პუნქტის შეუსრულებლობისა და სხვა მრავალ მიზეზთა გამო აჯანყებებში ნაწვნევ დამარცხებებს ეგუებოდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## "ჰუმანიტარული" ექსპანსია

ნინო გომართელი

რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა იური ბალუევსკიმ განაცხადა, რომ მოსკოვი უკვე ფლობს ინფორმაციას, თუ რომელ მეზობელ სახელმწიფოებში არიან განლაგებულნი ტერორისტთა დაჯგუფებები, რომელთაც "ომის გაჩაღება სურთ". მართალია, მან არ დააკონკრეტა ტერიტორიები, თუმცა აშკარა იყო, რომ იგი, პირველ რიგში, საქართველოს გულისხმობდა. ამას დაერთო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის მიერ გამოთქმული "ეჭვები" სამხრეთ ოსეთში არსებულ კრიზისსა და ბესლანის ტერაქტის "შესაძლო ურთიერთკავშირის" შესახებ. რუსეთის ფედერაციის მაღალჩინოსნების განცხადებები აშკარად მიანიშნებს მათ გამძაფრებულ თვითგადარჩენის ინსტინქტზე, რაც გამოიხატება მომხდარი ტრაგედიების არსის საზღვარგარეთ ძიებაში.

აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შემდეგ რუსეთი გააქტიურდა სამხრეთ ოსეთში. ოსი ხალხისადმი გაკეთებულ მიმართვაში

გაგრძელება A2 გვერდზე

### ეკონომიკა

**ბიზნესი 2005 წელს**

კვლევა ბიზნესის წარმოებისათვის აუცილებელი გარემოს ანალიზს მოიცავს და მსოფლიოს 145 ქვეყანას აფასებს ბიზნესისათვის უმნიშვნელოვანესი პარამეტრების მიხედვით (ბიზნესის დაწყება, მუშა-მოსამსახურეების დაქირავება-გათავისუფლება, კონტრაქტების აღსრულება, კრედიტის მიღება, საკუთრების რეგისტრაცია, ინვესტორთა დაცვა და ბიზნესის ლიკვიდაცია).

A4

### უცხოეთი

**აფეთქება ჩრდილოეთ კორეაში: ბირთვული გამოცდა თუ დაუდევრობა?**

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში, ჩინეთთან მოსაზღვრე რაიონში, 9 სექტემბერს მძლავრი აფეთქება მოხდა. სამხრეთ კორეის საინფორმაციო სააგენტოს "რენხაპის" მონაცემებით, აფეთქება თანამგზავრმა დააფიქსირა.

A5

### საზოგადოება

**ყველაზე ფართოდ გახელილი თვალებისთვის**



უნდა გენახათ, როგორი ფართო თვალებით გვიყურებდნენ ბავშვები. თოჯინები ცოცხალი ეგონათ, სცენაზე ამოვიდნენ და თამაში დაუწყეს...

A6

### სამართალი

**კახელი ქალღვნები ქალებსაც იჭერენ**

ამჯერად სპეცოპერაცია თელავის რამდენიმე სოფელში ჩატარდა და ერთდროულად რამდენიმე პიროვნება, აქედან ერთი მანდილოსანი - დალი ხიზანიშვილი დააკავეს. "24 საათის" ყურადღების ობიექტი სწორედ ეს ქალბატონი გახდა...

A7

### ამინდი

| | 13/9 | 14/9 |
|---|---|---|
| თბილისი | 18 | 23 |
| ქუთაისი | 23 | 26 |
| ბათუმი | 22 | 24 |
| სოხუმი | 23 | 26 |
| ფოთი | 23 | 26 |
| თელავი | 16 | 23 |
| ზუგდიდი | 24 | 27 |
| გორი | 17 | 22 |
| ახმეტა | 18 | 23 |
| ჭიათურა | 22 | 24 |
| გაგრა | 21 | 24 |
| სამტრედია | 23 | 26 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8100 |
| ევრო | 2.2129 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2395 |
| რუბლი | 0.0620 |

# ლარის კურსი და "ჭონჭოლის ინდექსი"

მიხეილ ჯიბუტი
*პროფესორი*

2004 წელს ლარის არსებობის ისტორიაში (1995 წლიდან) პირველად შეიცვალა ლარის გაცვლითი კურსის სიდიდის ცვლილების ტენდენცია.

2004 წლის იანვრიდან ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში განუწყვეტლივ იზრდებოდა. ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში თვეების (თვის ბოლო დღის მაჩვენებლით) მიხედვით შემდეგნაირად მყარდებოდა: იანვარში ერთი აშშ დოლარის მიმართ ლარის კურსი შეადგენდა 2.11, თებერვალში – 2.03, მარტში – 2.01, აპრილში – 1.99, მაისში – 1.92, ივნისში – 1.92, ივლისში – 1.98, აგვისტოში – 1.78 ლარს.

ისტორიულად, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ “ჩავარდნებს", ლარის კურსის სიდიდემ 2004 წლის იანვარში – 2003 წლის 4 სექტემბრის, თებერვალ-მარტსა და აპრილში – 2001 წლის თებერვლის, მაისში, ივნისსა და ივლისში – 1999 წლის დეკემბრის, ხოლო აგვისტოში – 1998 წლის მდგომარეობა გაიმეორა.

დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში ეს ეროვნული ვალუტის გამყარების პირველი შემთხვევაა. ამიტომ იგი ერთნაირად წარმოადგენს გამოწვევას, როგორც ქვეყნის ეკონომიკის, ისე ხელისუფლებისა და მოსახლეობისათვის. ლარის ცხოვრებაში ამ მოვლენას მნიშვნელობით შეიძლება შეედაროს თვით ლარის შემოღება და 1998 წლის შემოდგომაზე, როდესაც შიგა თუ გარე ფაქტორების ზემოქმედებით კრახი განიცადა ფიქსირებული კურსის პოლიტიკამ.

საზოგადოებაში, უფრო მეტად კი ეკონომიკურ სამეცნიერო წრეებში ლარზე ფიქსირებული კურსის არსებობის დროს და შემდგომაც, როცა მცურავი კურსის პოლიტიკა იქნა გატარებული, (ანუ როცა ლარის კურსის აქტიურად რეგულირებზე ეროვნულმა ბანკმა უარი თქვა და კურსის განსაზღვრა ძირითადად ბაზარს მიანდო(რედ)) ხშირად იყო დისკუსია "ძვირი" და "იაფი" ლარის საკითხებზე (ანუ იმის თაობაზე, ძვირი უნდა იყოს თუ იაფი ეროვნული ვალუტა უცხოური ვალუტის მიმართ (რედ)).

ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია ორივე მიდგომის სუსტი და ძლიერი არგუმენტები. ცნობილია, აგრეთვე, პრაქტიკაში ამ მიდგომებით განხორციელებული პოლიტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები. აღნიშნულ კამათში სპეციალისტების გარდა, სხვა არავინ ჩარეულა. ლარის კურსის დაცემა ხდებოდა თანმიმდევრულად. იგი ატარებდა სტაბილურ ხასიათს და ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ღონისძიებების პროგნოზირება-დაგეგმვის საშუალებას იძლეოდა.

საკითხის გაგებისათვის მნიშვნელობის გამო, გავიმეორებ: ლარის კურსის თანმიმდევრული ცვლილება და სტაბილურობა განაპირობებდა ეკონომიკური აგენტების სიმშვიდეს. ყველა თეორიით, სულერთია ის მხარს უჭერს "ძვირი" თუ "იაფი" ფულის პოლიტიკას, ეროვნული ვალუტის კურსის არასტაბილურობა, ხშირი ცვლილება (გაიზრდება თუ შემცირდება კურსი, მნიშვნელობა არა აქვს), აღიარებულია უარყოფით მოვლენად.

სწორედ ლარის კურსის არასტაბილურობამ გამოიწვია დღეს ყველა სხვა არასასურველი მოვლენა. სხვანაირად ვერ აიხსნება ის ფაქტი, თუ რატომ არ ქმნიდა ლარის კურსის იგივე ნიშნული თავის დროზე პრობლემებს. საქმე იმაშია, რომ შეიცვალა ეკონომიკაში მასშტაბის ზომის ერთეული. ერთ მშვენიერ დღეს ერთი კილოგრამი რომ ნიშნავდეს 700 გრამს, ერთი მეტრი - 57 სანტიმეტრს, ერთი გრადუსი ცელსიუსით – 1.75 გრადუსს... ასეთ შემთხვევაში წარმოსადგენია, თუ რა მოხდება: სხვა რომ არა, ვერ გაიგებ, ვინ გახდა და ვინ გასუქდა, ვინ გაიზარდა და ვინ დაპატარავდა. ასეთ შემთხვევაში ქვეყანაში იქმნება გასატარებელი უამრავი გარდაქმნა ახალ მასშტაბებზე მოსარგებად: გზებზე სიჩქარეების აღნიშნვის შეცვლით დაწყებული და ახალი თერმომეტრების გამოშვებით დამთავრებული.

როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, არასპეციალისტისათვის ვალუტის კურსის ცვლილება რეალურ ცხოვრებაში ყოველდღიურად უფრო მეტ პრობლემებთანაა დაკავშირებული, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ. თუმცა მათ უმრავლესობას ადამიანები თავისით წყვეტენ. მაგრამ ამ უკანასკნელთათვის ძალიან ძნელია არასტაბილური კურსის პირობებში ეკონომიკურ ლაბირინთებში გზის გაკვლევა.

საქართველოში, როგორც ითქვა, 2004 წლის იანვრიდან მყარდება ლარი, რაც სპეციალისტებისათვის ტენდენციად უკვე იქნა აღქმული პირველივე თვეებში. თუმცა, მასობრივ ცნობიერებაში სტაბილურობის დარღვევის ზღვრად იქცა ლარის კურსი: 1.8 ლარი 1 აშშ დოლარი ეკვივალენტად. არასტაბილურობის აღქმა გაამძაფრა სექტემბრის პირველმა კვირამ. 31 აგვისტოს 1 აშშ დოლარის ოფიციალური კურსი იყო 1.7750 ლარი, 1 სექტემბერს – 1.7650, 2 სექტემბერს – 1.7350, 3 სექტემბერს – 1.7200, 4 სექტემბერს – 1.7100 (5 და 6 სექტემბერი იყო შაბათი და კვირა), 6 სექტემბერი – 1.7100, 7 სექტემბერი – 1.7000 ლარი. თავისუფალ სავალუტო ბაზარზე ლარის კურსმა 1.7-იან ზღვარზე ქვევით დაიწია.

არასტაბილურობის ფსიქოლოგიური ზღვრის გაჩენამ შექმნა შესაბამისი განწყობა და სექტემბრის პირველი კვირის ბოლოს ქვეყნის ყველა საინფორმაციო საშუალება, საზოგადოების ყველა ფენა, ცენტრალური და რეგიონალური ხელმძღვანელობა, არასამთავრობო სექტორი, იმპორტიორები, ექსპორტიორები ალაპარაკდა ლარის კურსზე.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 საბანკო მონიტორინგი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ვაზი | B7 კვირის TV პროგრამა | B8 სხვადასხვა

## სამხედრო აღლუმი ქარელში

საქართველოს შინაგანმა ჯარმა დაარსებიდან მე-13 წლისთავი ქარელის რაიონის სოფელ მებნისში, სამხედრო აღლუმით აღნიშნა. აღლუმში, რომელიც შინაგანი ჯარის სარდალმა გოგი თათუხაშვილმა ჩაიბარა, თითქმის ყველა ქვედანაყოფის 4 ათასამდე ჯარისკაცი მონაწილეობდა, გამოყვანილი იყო მძიმე და მსუბუქი საბრძოლო ტექნიკა და ვერტმფრენები. ჯარისკაცებს სიტყვით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აღლუმი ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის სიახლოვეს სპეციალურად გაიმართა. **"აღლუმის ადგილიდან დაახლოებით 20 კილომეტრში მტრის პოზიციებია. თქვენ ხართ ის ადამიანები, რომლებმაც ეს მტერი უნდა გაანადგუროთ. თითოეულ თქვენგანს აქვს შანსი, შევიდეს საქართველოს ისტორიაში და ყველას აჩვენოს, რომ საქართველოს სახელმწიფოს პატივს სცემენ და, თუ საჭიროა, ეშინიათ კიდეც მისი",** - განაცხადა ოქრუაშვილმა.

*მედია-ნიუსი*

## არასამთავრობოთა კოალიციამ "თელასს" სასამართლო პროცესი მოუგო

*არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია "სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭო"-ს სტრასბურგის სასამართლოში ჩივილი აღარ მოუწევს. მათი სარჩელი დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლომ დააკმაყოფილა. საქმე ისაა, რომ "სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭომ" დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს მიმართა "თელასისგან" დაზარალებული მოსახლეობის სახელით და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფლებების დაცვა და "თელასისგან" მათთვის მიყენებული მატერიალური და მორალური კომპენსაციის გადახდა მოითხოვა.*

**"ჩვენს ორგანიზაციაში შემოსული საჩივრების უმეტესობა "თელასს" ეხება. კოალიცია სოციალურად დაუცველი ფენის უფასო სამართლებრივ დაცვას ახორციელებს. დაზარალებული მოქალაქეები "თელასის" მიერ არასწორად შედგენილ საჯარიმო აქტებს აპროტესტებენ. "თელასი" დაინტერესებული უნდა იყოს, რომ თავისი სამართლებრივი ქმედებებით გადამხდელუნარიანი გარემო შექმნას, ისინი კი ხალხს ფულს სძალავენ, რასაც ჩვენს ხელთ არსებული ფაქტებიც ადასტურებს,"** - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა არასამთავრობოთა კოალიციის თავმჯდომარემ მზია ალავიძემ.

არასამთავრობოთა კოალიციის წევრებმა "თელასის" წინააღმდეგ პირველი სარჩელი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში შპს "იმერული სამზარეულოს" სახელით შეიტანეს. შპს "იმერული სამზარეულოს" მფლობელი გიორგი აფშილავა აცხადებს, რომ მის დაწესებულებაში "თელასის" მიერ დენის გათიშვა კანონის დარღვევით მოხდა, რამაც მას 20 ათასი ლარის ოდენობის მატერიალური ზარალი მიაყენა. გარდა ამისა, "თელასმა" აფშილავას 2 ათას 500 ლარის ჯარიმის გადახდა დააკისრა და აქტიც, რა თქმა უნდა, არასწორად შეუდგინა.

ორთვიანი სასამართლო დავა გუშინ "სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოს" სასარგებლოდ გადაწყდა, დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს მოსამართლემ გიორგი საბიაშვილმა გიორგი აფშილავას "თელასის" მიერ დაწესებული 2 ათას 500-ლარიანი საჯარიმო სანქცია მოუხსნა და შედგენილი აქტი ბათილად ცნო.

**"ჩვენი ორგანიზაცია სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა უფასო სამართლებრივ დაცვას ახორციელებს, ეს იყო პირველი სასამართლო პროცესი, რომელიც მოვიგეთ. მოსამართლე გიორგი საბიაშვილმა ობიექტურად დაიცვა "თელასის" მიერ დაზარალებულ მოქალაქეთა ინტერესები და ობიექტური გადაწყვეტილება გამოიტანა. მიუხედავად იმისა, რომ "თელასის" ინტერესებს საკმაოდ ძლიერი პროფესიონალი ადვოკატი იცავდა, მან ვერ შეძლო სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენა. ეს ჩვენი პირველი პროცესი იყო, მაგრამ არა ერთადერთი, ჩვენ იმ მოქალაქეთა დაცვას, რომელთა უფლებებიც დაირღვა და რომლებიც "თელასის" არასამართლებრივი ქმედებების შედეგად დაზარალდნენ, კვლავ განვახორციელებთ, ასეთები კი მრავლად არიან,"** - აცხადებს "სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოს" თავმჯდომარე მზია ალავიძე.

*24 საათი*

## აფხაზებმა ქართველებზე ნადირობა ახალი ძალით განაახლეს

აფხაზეთის ეგრეთ წოდებულ საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სეპარატისტების აგრესია ქართველების მიმართ უფრო იზრდება. ბოლო რამდენიმე დღეა, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების სპეცსამსახურები გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონებში სპეცოპერაციას სპეცოპერაციაზე ატარებენ.

სეპარატისტების განცხადებით, ფართომასშტაბიანი სპეცოპერაციების მიზანი "ქართული დივერსიული ჯგუფების გამოვლენაა". უშიშროების სპეცდანიშნულების რაზმის ხელმძღვანელი მიხეილ თარბა ირმუნება, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე დივერსიული ჯგუფებია გადასროლილი.

"ამ დივერსიულ ჯგუფებს დავალებული აქვთ აფხაზეთში პრეზიდენტის არჩევნების წინ ვითარების დესტაბილიზება. პრეზიდენტობის კანდიდატების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება", - ასე ამართლებს ქართულ სოფლებში შეიარაღებული აფხაზების უმიზეზოდ შეჭრას სეპარატისტების უშიშროების სპეცრაზმის ხელმძღვანელი.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს თხილის მოსავლის სეზონის დადგომაც. ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ძარცვა-დაყაჩაღებაში აფხაზური მილიცია და მათთან დაახლოებული ბანდიტური დაჯგუფებები მონაწილეობენ.

შეიარაღებული აფხაზების ბოლო მსხვერპლი გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში მცხოვრები შოთა აბაკელიას ოჯახია. აბაკელიების სახლში შეჭრილმა აფხაზმა თავდამსხმელებმა ოჯახის წევრებს თხილის მოსავალი, ფული და ოქროულობა მოსთხოვეს. ოჯახის უფროსმა ყაჩაღ აფხაზებს წინააღმდეგობა გაუწია, რის შემდეგაც მძარცველებმა იგი ავტომატური იარაღიდან გასროლით დაჭრეს. დაჭრილი შოთა აბაკელია ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოშია მოთავსებული.

*24 საათი*

## პრეზენტაცია კახეთშიც შედგა

**"რევოლუციური სისტემა"** - ასე უწოდებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია იმ ახალ მოდელს, რომლის მიხედვითაც გაისად აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებენ. გარდა ამისა, ლომაიას თქმით, სამინისტროს მიერ მომზადებული ამ ახალი მეთოდით, უმაღლეს სასწავლებლებს დაკარგული რეპუტაცია აღუდგებათ. **"ვფიქრობთ, ბოლო მოეღება იმ კორუფციულ ლაბირინთებს, რომელმაც ბოლო წლებში ჩვენს უნივერსიტეტებში მოიკიდა ფეხი. ჩვენ მიერ შემუშავებული გამოცდების ცენტრალიზებული მოდელი ხელს შეუწყობს, აგრეთვე, აბიტურიენტებს ცოდნის გამოვლენაში და გამოცდაზე მყოფი ყველა ახალგაზრდა იქნება თანაბარუფლებიანი,"** - ამბობს ლომაია. აღნიშნული პროექტი კი, როგორც მინისტრმა განაცხადა, ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან ერთად არის შემუშავებული.

პრეზენტაციას საქართველოს განათლების სისტემის რეფორმების პროექტის კოორდინატორი ელუნედ რობერტსშვაიციც ესწრებოდა. მან აღნიშნულ პროექტს წარმატებები უსურვა და გულთბილი დახვედრისთვის პედაგოგებს მადლობა გადაუხადა. პრეზენტაციის ბოლოს კი განათლების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ სასიამოვნო ინფორმაცია გაახმოვანა. მისი განცხადებით, პედაგოგებს წლობით დაგროვილ ხელფასების ვალს სახელმწიფო სექტემბრის ბოლომდე გაუსტუმრებს.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი პრეზენტაცია სამინისტრომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოაწყო. შემდეგ ანალოგიური აქციები მოეწყო ქუთაისში, ზუგდიდში, ახალციხეში, გორში, რუსთავში. ბოლო აკორდი თბილისში იგეგმება. გაისად კი კახელ აბიტურიენტებს უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდების ჩაბარება თელავში მოუწევთ: **"ეს იმას არ ნიშნავს, რომ რადგან თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდება გამოცდები, ახალგაზრდა ჯავახიშვილში ვერ ჩააბარებს. უბრალოდ, ეს იქნება ცენტრი, სადაც ახალგაზრდა თავის შესაძლებლობებს გამოავლენს და შემდეგ, მისი სურვილისამებრ, გადაწყდება, თუ რომელ უნივერსიტეტში განაგრძობს ცოდნის მიღებას. ასე იმიტომ გავაკეთეთ, რომ აბიტურიენტებს დრო არ დაეხარჯოთ,"** - განმარტავს ლომაია.

*24 საათი*

# დემოკრატია - ერთადერთი დაცვა აგრესიისგან

პირველი გვერდიდან

რაოდენ ხელოვნურიც უნდა იყოს ეს კავშირი; და რაოდენ ცინიკურიც, რადგან ტერორისტების მფარველ, ხოლო ამერიკის მტერ ქვეყნებთან რუსეთს ყოველთვის მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებდა.

რამდენიმე დღის წინ რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის განცხადებას, რომ რუსეთს აქვს უფლება წინასწარი გაფრთხილების გარეშე მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში განახორციელოს პრევენტული დარტყმა ტერორისტებზე, გაერო-ს გენერალური მდივანი გამოეხმაურა. კოფი ანანმა ცალსახად განაცხადა, რომ ტერორიზმთან ბრძოლა საერთაშორისო სამართლის ფარგლებს არ უნდა გასცდეს. მაგრამ გაერო-ს გენერალური მდივანი ის ერთადერთი გავლენიანი ოფიციალური პირია, რომელმაც რუსეთის მთავარი გენერლის განცხადება გააკრიტიკა. ამ თემას არ შეხებიან სხვაგან, არც ევროპის პოლიტიკურ ინსტიტუტებში და არც ამერიკის ხელისუფლებაში.

**"ტყუილი, რომელიც კლავს"** - ეს იყო ის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სტატია, რომელიც რუსულ გამოცემებში ბესლანის ტრაგედიის შემდეგ დაიბეჭდა. რუსეთის მოსახლეობა დღეს იმ სამყაროში ცხოვრობს, სადაც დეზინფორმაციამ და სიყალბემ სიმართლე და რეალური ფაქტები ჩაანაცვლა, ხოლო გამოგონილმა მიზეზებმა, რეალური მიზეზები.

ასე იყო კურსკის ჩაძირვის დროს, ასე იყო ნორდ-ოსტის ტრაგედიისას და ასეა ახლაც, ბესლანის შემდეგ.

და რაც ყველაზე საშინელია, რუსეთმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იქ ადამიანის სიცოცხლე არაფრად ფასობს.

ბესლანში დაღუპული ასობით ბავშის ცოდვა დღეს იმ უამრავი ადამიანის კისერზეა, რომელთაც თავის დროზე პუტინის ხელისუფლებას კურსკისა და ნორდ-ოსტის ტრაგედია აპატიეს, როგორც დასტური იმის, რომ ხელისუფლების იმპერიალისტური ამბიციები ადამიანის სიცოცხლეზე უფრო ღირებულია.

რუსეთისათვის ბესლანის შემდეგ არაფერი შეცვლილა, ვლადიკავკაზის ქუჩებში გამოსული ადამიანების გაუბედავი პროტესტი ცვლილებებისათვის საკმარისი, რასაკვირველია, არ აღმოჩნდა.

ძნელი სათქმელია, რაღა უნდა მოხდეს რუსეთის უახლეს ისტორიაში უფრო შემზარავი, ვიდრე უდანაშაულო ბავშვების ჩახოცვაა, რაღა უნდა მოხდეს ისეთი, რაც რუსულ საზოგადოებას გამოაფხიზლებს და სამოქალაქო პროტესტს გასაქანს მისცემს.

კრემლის მიდგომებში რომ დიდი ხანია არაფერი შეცვლილა და კიდევ დიდხანს არ შეიცვლება, ამის თვალნათელი მაგალითი პუტინის გამოსვლა იყო, რომელსაც მხოლოდ ახალი დროის რეალიები თუ განასხვავებდა ცივი ომის დროინდელი გამოსვლებისაგან. მის სატელევიზო მიმართვას ფონად აშკარად საბჭოთა კავშირის აღდგენილი ჰიმნი გასდევდა.



*რუსეთი, როგორც ჩანს, არასოდეს შეეგუება საქართველოს თანასწორუფლებიან პარტნიორობას.*

რუსეთი დაუნდობელი იქნება და ამ დაუნდობლობით ის ძველ ძლიერებას დაიბრუნებს - დაახლოებით ასეთი იყო რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლის დედააზრი.

დაუნდობელი იქნება ჩეჩნეთის მიმართ, რადგან არგუმენტი, რომ სისხლიანი ტერაქტების მიზეზი ჩეჩნეთში განხორციელებული ასევე დაუნდობელი პოლიტიკაა, მასზე არ ჭრის.

ჩეჩნეთის გარდა, პუტინი შეურიგებელი იქნება ყველას მიმართ, ვინც თვალში არ მოსდის - ასეთი კი, პირველ რიგში, საქართველოა.

კოკოითისათვის დაუფარავი მხარდაჭერის გამოხატვა, აფხაზეთში მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების ფავორიტ კანდიდატთან ოფიციალური შეხვედრა, აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, პარალელურად კი საქართველოსთან სატრანსპორტო მიმოსვლის შეზღუდვა, ბესლანის ტრაგედიაში ქართული კვალის დადგენის დაუოკებელი სურვილი - ეს იმ გამოუცხადებელი ომის ქრონიკაა, რომელსაც ბოლო დროს რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აწარმოებს.

ამ ყველაფრის ფონზე გენერალ ბალუევსკის განცხადება რუსეთის მზადყოფნის შესახებ, ნებისმიერ ტერიტორიაზე გაანადგურონ ტერორისტები, აშკარად გამოწვევაა საქართველოსთვის, რომელსაც რუსეთი ამ "ნებისმიერ ტერიტორიაში" დანამდვილებით გულისხმობს. საამისოდ ფონი ჯერ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა შეამზადა, როცა განაცხადა, რომ, მართალია ჯერ ფაქტები არ მაქვს, მაგრამ გული მიგრძნობს, ბესლანის ტრაგედიაში ქართველების ხელი ურევიაო. შემდეგ რუსულ პრესაში ჩნდება ინფორმაციები, რომ რუსეთში დაგეგმილი ყველა ტერორისტული აქტის ორგანიზატორი კოდორის ხეობაში აფარებს თავს.

ამდენად, გასაკვირი სულაც არ იქნება, ხვალ რუსეთმა კოდორი რომ დაბომბოს. მაგრამ, როგორი იქნება ამ შემთხვევაში საერთაშორისო რეზონანსი და, რაც მთავრია, როგორი იქნება საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა?

პანკისის პრობლემის შექმნის დღიდან ამერიკის ადმინისტრაცია ასრულებდა იმ წითელი შუქის ფუნქციას, რომელიც რუსეთის ხელისუფლებას საქართველოს ტერიტორიაზე ინტერვენციისაგან აჩერებდა.

ის რომ, ბალუევსკის აგრესიული შინაარსის განცხადებას თეთრი სახლის რეაქცია არ მოჰყოლია, ნაადრევი დასკვნების გაკეთების საფუძველს არ იძლევა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ არჩევნებამდე ამერიკის ხელისუფლება რუსეთთან ღია კონფრონტაციას ნამდვილად არ დაუშვებს.

პანკისის პრობლემის შექმნაში საქართველოს ძველ ხელისუფლებას გარკვეული წვლილი მიუძღოდა, შესაბამისად რუსეთის პრეტენზიებს რაღაც საფუძველი მაინც მოეძებნებოდა.

დღეს კი, ახალი ხელისუფლების ნომერ პირველი ამოცანაა, რუსეთს საბაბიც კი არ მისცეს იმისა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე რაიმე საეჭვო ძალა იმყოფება. რაც შეეხება რუსეთის პატრონაჟის ქვეშ მყოფ სეპარატისტულ რეჟიმებს, მათ მიერ ტერორისტების შეფარება სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ეს კიდევ ერთი არგუმენტი იქნება საერთაშორისო საზოგადოებისათვის, რათა ის დარწმუნდეს, თუ რა საფრთხეებს შეიცავს გაყინული კონფლიქტები და სეპარატისტული მთავრობები.

ყველანაირი მიზეზისა და საბაბის მოსპობა - ეს არის დღეს ის ერთადერთი გამოსავალი, რომელიც შეიძლება საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის ღია და გამომწვევ აგრესიას დაუპირისპიროს, და - ბუნებრივია, საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნება იმაში, რომ რუსეთის მიერ საქართველოში ინტერვენციის მცდელობას არანაირი საფუძველი არ აქვს და ის მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევაა.

რაც შეეხება მომავალს - სრულფასოვანი დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ის გზაა, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ნანგრევებიდან ამოგვიყვანს. ნანგრევებიდან, რომელზეც რუსეთს ახალი იმპერიის აღდგენა სურს. ეს არის დღეს ნომერ პირველი პრიორიტეტი, რომელიც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იდეასაც ემსახურება. ამ ეტაპზე აგრესიული პოლიტიკა, დაკარგული ტერიტორიების უკან დასაბრუნებლად, რუსეთის იმპერიულ მანქანასთან უნაყოფო დატაკებას უფრო ჰგავს.

# "ჰუმანიტარული" ექსპანსია

პირველი გვერდიდან

დე ფაქტო პრეზიდენტმა სიტყვასიტყვით გაიმეორა სერგეი ლავროვის გამონათქვამი და ხალხს მოუწოდა, "ერთ მუშტად შეიკრან და მოიგერიონ კავკასიაში ომის გამჩაღებლები".

"დღეს ოსი ხალხი მორიგ მძიმე გამოცდას გადის, რადგან ტერორისტებმა, რომლებმაც მხეცურად დახოცეს ჩვენი ბავშვები და იმათ, ვინც მათ უკან დგას, სიტუაციის განვითარების საკუთარი სცენარი მოგვახვიეს თავს. ყველას სიფხიზლისკენ მოვუწოდებ, რომ მოვიგერიოთ ძალები, რომლებსაც დღეს ოსი ხალხის უბედურებაზე იაფფასიანი კაპიტალის დაგროვება სურთ", - განაცხადა მან.

ამას კი მოჰყვა ის, რომ ხანგრძლივი სიმშვიდის შემდეგ კონფლიქტის ზონაში კვლავ გაისმა სროლები. ოსურმა მხარემ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება კვლავ დაარღვია.

ღამით ისევ დაიცხრილა სოფელი თამარაშენი, რის შედეგადაც სოფლის რამდენიმე მცხოვრები მსუბუქად დაიჭრა. ამასთან, ოსურმა მხარემ ცეცხლი გახსნა პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ერედვის მიმართულებითაც.

კონფლიქტის ზონაში განლაგებული ქართული სამშვიდობო ძალების სარდლის ალექსანდრე კიკნაძის განცხადებით, ქართულ მხარეს საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნია.

"ეს იყო აშკარა პროვოკაცია, რომელიც სტაბილურობის დარღვევისკენ არის მიმართული", - განაცხადა კიკნაძემ.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხში გიორგი ხაინდრავა კი მოსკოვში იმყოფება, სადაც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების საბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრებს გამართავს. საუბრების ძირითადი თემა ცხინვალის რეგიონში კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების გარდა, რუსეთსა და აფხაზეთს შორის 10 სექტემბერს აღდგენილი სარკინიგზო მიმოსვლა იქნება.

ხაინდრავა მოსკოვიდან გაემგზავრება ბრიუსელში, სადაც 14 სექტემბერს გაიმართება საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს მეექვსე სხდომა.

სხდომის ძირითადი თემები კი არის: შიდა კონფლიქტების მოწესრიგება, ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან, ევროპული სამეზობლო პოლიტიკა და საქართველოში მიმდინარე რეფორმები.

რუსეთი სამაჩაბლოზე ჰუმანიტარულ შტურმსაც ახორციელებს.

როგორც ერთ-ერთი რუსული სააგენტო იტყობინება, საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ხაზით, რუსეთის ხელისუფლების მიერ გამოყოფილი 100 ტონაზე მეტი ფქვილი ჩაიტანეს სამხრეთ ოსეთში. ამასთანავე, სამხრეთ ოსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს გადაეცა ხუთი გადასატანი ელექტროსადგური, ხოლო ძალოვან სტრუქტურებს მშრალი საკვები და დიზელის საწვავიც კი მიართვეს. სამხრეთ ოსეთის ჯანდაცვის სამინისტრომ 10 დასახელების მედიკამენტი მიიღო.

რუსული მხარის განცხადებით, უახლოეს დღეებში სამხრეთ ოსეთში ფქვილის, შაქრისა და საწვავის ახალი პარტია ჩავა, რომელიც დაურიგდება ყველაზე გაჭირვებულ ოჯახებსა და ბოლოდროინდელი სროლების დროს დაზარალებულებს.

## ორი სიტყვით

**მოსკოვი.** რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა საგანგებოდ გამართულ თათბირზე შესაბამის სამსახურებს საქართველოსთან საზღვრის დაცვის გამკაცრება, კერძოდ, როკის გვირაბის, ჩეჩნეთისა და დაღესტნის მონაკვეთების გადაკეტვა დაავალა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების ომბუდსმენმა მურმან ჩხოტუამ გაერო-ს სოხუმის ოფისს წერილი გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამია, რომ გაგრის მკვიდრი ციალა კიკაბიძე საკუთარი საცხოვრებელი სახლიდან უკანონოდ გამოაძევეს. ჩხოტუას განცხადებით, ციალა კიკაბიძე გაგრაშია დაბადებული, მაგრამ მას აფხაზებმა და ერთ-ერთმა როსტოველმა მოქალაქემ სახლი იძულებით დაატოვებინეს. კიკაბიძე ამჟამად იძულებულია გაგრაში, ნათესავებთან იცხოვროს. როგორც თავად დაზარალებული აცხადებს, მას ქართველობის გამო დევნიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ორშაბათს, 13 სექტემბერს, პარლამენტარები ბიუროს სხდომაზე მიმდინარე სასესიო კვირის დღის წესრიგზე იმსჯელებენ. საშემოდგომო სესიის პირველ სამუშაო კვირას დეპუტატები განიხილავენ პროკურატურისა და საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონებში ცვლილებების შეტანის საკითხს. განსახილველ პრობლემათა შორის აგრეთვე არის კანონპროექტი ბუნებრივი რესურსების შესახებ. საშემოდგომო სესიის პირველ კვირას დეპუტატები იმსჯელებენ უცხოეთის ქვეყნებში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების დანიშვნების თაობაზეც. დაგეგმილია დებატების გამართვა ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები - ახლების" ინიციატივით დასმულ პოლიტიკურ საკითხზე, კერძოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებსა და "სამხრეთ ოსეთში" მიმდინარე პროცესებზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის შეფასებით, "მაუწყებლობის შესახებ" კანონპროექტი დასახვეწია, თუმცა მისი პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით გატანა შესაძლებელია. კომიტეტს არ მოსწონს კანონპროექტის ის მუხლები და ნორმები, რომლითაც მაუწყებლობის ლიცენზიის ყველა მფლობელს ესა თუ ის ვალდებულება ეკისრება. როგორც კომიტეტის დასკვნაშია აღნიშნული, კანონპროექტის ნორმები ეწინააღმდეგება და არ შეესაბამება კანონპროექტის იდეას, რომელიც მაუწყებლობის მაქსიმალურ დამოუკიდებლობას აღიარებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ექსპერტ დემურ გიორხელიძის აზრით, კერძო მაუწყებლობებისთვის უფასო პოლიტიკური რეკლამის გავრცელების ვალდებულების დაკისრება საინფორმაციო პოლიტიკაში ჩარევას ნიშნავს. როგორც გიორხელიძემ პარლამენტში განსახილველად შეტანილი "მაუწყებლობის შესახებ" კანონპროექტის შეფასებისას განაცხადა, ხელისუფლება ინფორმაციული პოლიტიკის ხელში აღებას ცდილობს. "ხელისუფლებას სჭირდება საყრდენი ტელევიზია და ეს ფორმალურად იქნება საზოგადოებრივად გარდაქმნილი სახელმწიფო ტელევიზია. შეუძლებელია, ტელევიზია იყოს საზოგადოებრივი იმ ფუნქციებით, რომელსაც მას ანიჭებენ", - განაცხადა გიორხელიძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის შესახებ ქართველი ექსპერტების მიერ მომზადებული პროექტი რუსულ ენაზე უკვე ითარგმნა და 3 ოქტომბრისთვის დანიშნულ ეგრეთ წოდებულ საპრეზიდენტო არჩევნებამდე, შესაძლოა, აფხაზურ პრესაშიც გამოქვეყნდეს. როგორც პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, პროექტის პრეზენტაცია ზუგდიდში უკვე მოეწყო და მისი პრინციპები, ძირითადად, გაზიარებული იყო. მისივე თქმით, პროექტის მიხედვით, აფხაზეთს იმაზე ფართო პოლიტიკური და კულტურული ავტონომია ენიჭება, ვიდრე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს ან ცხინვალის რეგიონს შეიძლება ჰქონდეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოსთვის საჰაერო სივრცის დახურვის მცდელობას უკანონოს უწოდებს. დეპარტამენტის ხელმძღვანელის გიორგი მჟავანაძის განცხადებით, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტში მოსკოვიდან მიღებულ წერილში ნახსენები დავალიანება, რის გამოც რუსეთის ფედერაცია საქართველოსთვის საჰაერო სივრცის დახურვის საკითხის განხილვას აპირებს, აბსურდულია, რადგან ის ავიაკომპანიები (ერთის გარდა), რომლებიც დავალიანების მქონეთა სიაში არიან მოხსენიებულნი, იურიდიულად აღარ არსებობენ. გიორგი მჟავანაძის თქმით, მხოლოდ ერთ ქართულ ავიაკომპანიას აქვს რუსეთის მიმართ დავალიანება 3.800.000 დოლარის ოდენობით და ეს ფაქტი არ შეიძლება გახდეს საქართველოსთვის რუსეთის საჰაერო სივრცის დახურვის მიზეზი. **მედია-ნიუსი**.

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 24 ოქტომბრისთვის რამდენიმე საარჩევნო ოლქში დანიშნულ მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. ედპ-ს გენერალური მდივნის ბაჩუკი ქარდავას განცხადებით, ეს არჩევნები საქართველოში პოლიტიკურ ფონს ვერ შეცვლის და ამიტომაც მასში მონაწილეობას აზრი არა აქვს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ყოფილი პარლამენტარი გურამ შარაძე პოლიტიკაში დაბრუნებას აპირებს. იგი შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად განაცხადს კრწანისის რაიონის საარჩევნო ოლქში წარადგენს**. მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ხრამის ხეობის სამხედრო-პატრიოტული ბანაკი გუშინ თბილისის პრემიერმა ბიძინა ბრეგაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ბეგაშვილმა ახალგაზრდა პარლამენტარებთან ერთად მოინახულეს. ხრამის სამხედრო-პატრიოტულ ბანაკში სამი ოცეული, სულ 50 რეზერვისტი მსახურობს, რომელთა შორის 7 მანდილოსანია. სამხედრო წვრთნები ახალგაზრდებმა 7 სექტემბერს დაიწყეს და 20 სექტემბერს დაასრულებენ. თითოეულ ოცეულს სამხედრო წვრთნებს სათანადოდ მომზადებული 2 ინსტრუქტორი უტარებს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ლარის კურსი და "ჭონჭოლის ინდექსი"

პირველი გვერდიდან

### ლარის გაძვირების დადებითი და უარყოფითი შედეგები

მთელი წლის განმავლობაში ამ ზღვრამდე ყველა აქცენტს აკეთებდა იმაზე, რაც აწყობდა ლარის გამყარებაში და ფიქრობდა, რომ მოგება გადაფარავდა ზარალს. ახლა ყველა ალაპარაკდა იმაზე, თუ რა უარყოფითი შედეგები მოაქვს ამ მოვლენას მისთვის. ჭეშმარიტება კი სხვაა: ლარის კურსი უნდა გახდეს სტაბილური და უნდა იყოს გარანტია, რომ შენარჩუნებული იქნება ახალი მასშტაბი, ან ლარის კურსი უნდა დაუბრუნდეს 2 ლარიან ზღვარს.

ლარის გამყარება საქართველოს ეროვნული ბანკისათვის იყო საუკეთესო საშუალება სავალუტო რეზერვების შესავსებად; იმპორტიორებისათვის ეს იყო გაზრდილი მოგების მიღების საშუალება "ძვირი" ფულის გამო, ან სულაც ნავთობზე მსოფლიო ფასების ზრდის კომპენსაცია და შიგა ბაზარზე ფასების უცვლელობით საწვავზე მოთხოვნის შენარჩუნების საშუალება; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქტივში იწერებოდა ის, რომ შემცირდა საგარეო ვალების მოცულობა, "გაიაფდა" საგარეო ვალების მომსახურება და გადახდა; მოსახლეობის შემოსავლები გაიზარდა "სადოლარო" შინაარსით ანუ ხელფასისა და პენსიის "წონამ" დოლარებში მოიმატა და სხვა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის უარყოფითია ის, რომ საბაჟოზე ლარის კურსის გამყარების გამო მცირდება შემოსავალი, რომელიც აქ უცხოურ ვალუტაში გამოიანგარიშება; უცხოური გრანტები და კრედიტები, რომელიც ქვეყანამ უნდა მიიღოს, თავისი ლარის შინაარსით მოცულობაში შემცირდა; ყურძნის მწარმოებელი გლეხები ვერ ინაზღაურებენ დანახარჯებს, ხოლო უფრო გვიან ნაყიდი ყურძნით დამზადებულ ღვინოს არ ექნება საგარეო ბაზარი; ექსპორტიორებისათვის შეიქმნა კონკურენტუნარიანობის პრობლემა, რადგან დაიკარგა იაფი მუშახელის ეფექტი "ძვირი" ფულის გამო; დიდ ზარალს განიცდის მოსახლეობის ის ნაწილი, ვინც უცხოურ ვალუტაში იღებს შემოსავლებს; აგრეთვე დიდია იმ ადამიანების დანაკარგები, ვინც უცხოეთში მუშაობს და ოჯახს ფულს უგზავნის (ფულის გაძვირებამ შეიძლება ფულადი გზავნილები მალე ნატურით ჩაანაცვლოს); იზარალა იმანაც, ვისაც დანაზოგები ჰქონდათ დოლარებში; პრობლემები აქვთ ბანკებს დოლარებში გაცემული კრედიტების გამო, რომელიც მნიშვნელოვნად გაიაფდა ლარებში და საპროცენტო განაკვეთი ვერ ფარავს ამ გაიაფებას და სხვა.

### ეჭვების საფუძვლები, რეალური მიზეზები და გადასადგმელი ნაბიჯები

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამოცანა ნათელია – ლარის კურსი უნდა დასტაბილურდეს. ამისათვის არც ერთი ცალკე აღებული ეკონომიკური აგენტის ქცევა არ არის საკმარისი. აუცილებელია ხელისუფლების ქმედება. ბუნებრივია, საზოგადოება გააგრძელებს საუბარს ლარის კურსის გამყარებაზე, იმიტომ, რომ ემპირიულად მას აქვს ინფორმაცია ამ მოვლენის გამო დაზარალებულზეც და ხეირნახულზეც.

ხელისუფლებამ თავისი ქმედება უნდა წარმართოს ლარის კურსის დასასტაბილურებლად და მიიღოს ლარის სტაბილური კურსის დონეზე ადეკვატური გადაწყვეტილებები საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო სფეროში, რათა აღდგეს ლარისადმი ნდობა, რათა არ იყოს მოლოდინი, რომ ლარის კურსის ცვლილება ერთი მიმართულებით დროებითია და მას მალე უკუსვლა მოჰყვება.

ლარის კურსის გამყარების შესაბამისად ლარისადმი ნდობა არა, მაგრამ ეჭვები კი გაჩნდა ამ ვარდნის ხელოვნურობის შესახებ – რა შეიძლება იყოს ეჭვების საფუძველი? ის, რომ წლის დასაწყისიდან, როდესაც საქართველოს ეროვნული ბანკი შეუჩერებლად ახორციელებდა ვალუტის შესყიდვას მიმოქცევაში ლარის რაოდენობის გაზრდის მიზნით, მაშინ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იგივე ეროვნულ ბანკთან ერთად ასევე შეუჩერებლად ახორციელებდა სახაზინო ვალდებულებების გამოშვებას, ანუ ლარის მიმოქცევიდან ამოღებას. არც თეორიითა და არც ჯანსაღი აზრით არ შეიძლება იმის ახსნა, თუ რა საჭირო იყო 2, 9, 16, 23, ივნისს სახაზინო ვალდებულებების ინტენსიური განთავსება, ანუ სახელმწიფოს მიერ სესხის აღება 18-20 პროცენტად და მიმოქცევიდან ლარების ამოღება. უფრო მეტიც, სახაზინო ვალდებულებების განთავსება მოხდა 8 სექტემბერს. მსოფლიოში ნავთობზე ფასები კატასტროფულად გაიზარდა, საქართველოში კი ის არ შეცვლილა იმიტომ, რომ იმპორტიორების დანახარჯებს ამ ზრდის გამო იხდის ადგილობრივი მყიდველი გამყარებული ლარით. იმპორტიორის ხეირი გადახდისუნარიანი მოთხოვნის შენარჩუნებაშია. სექტემბრის თვეში სახაზინო ვალდებულებების განაღდების დროა და ლარებში მიღებული მოგება მეტი დოლარით იქნება გამოხატული. დოლარი ქართველისათვის "დაეცა", თორემ მსოფლიოში ისევ დოლარია. ფასები არ შეცვლილა სიგარეტზე. სიგარეტის იმპორტიორების მოგება გაიზარდა იმდენჯერ, რამდენჯერაც გამყარდა ლარი. იგივე ეხება ფქვილის, ზეთის, ელექტროენერგიისა და საერთოდ ყველა პროდუქტისა და მომსახურეობის იმპორტიორს. არის ეს გათვლილი სვლა იმპორტზე ფასების აბსოლუტური სიდიდის შენარჩუნების მიზნით, რომელსაც შეეძლო ჩაენაცვლებინა კონტრაბანდული იაფი საქონლის სეგმენტი? ამ კითხვაზე პასუხისათვის საკმარისი საჯარო ინფორმაცია არ არსებობს. 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი პარამეტრები ლარის აშშ დოლართან 2.15 ნიშნულზე იყო გათვლილი. სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირების დროს 1.98 ლარი იქნა ნიშნულად აღებული, თუმცა ქვეყანაში რეგულირებადი ფასები და ტარიფების შესაბამისი კორექტირება არ მომხდარა.

ლარის კურსის ხელოვნური გამყარების პოზიციას, ზემოთჩამოთვლილი ფაქტების მიუხედავად, მე მხარს არ ვუჭერ. ამის საფუძვლად საკმარისია საქართველოს ეროვნული ბანკის მცდელობები სავალუტო ბაზარზე ლარის ინტერვენციებთან დაკავშირებით.

ანალიზის აქცენტი უნდა გადავიდეს "ბოროტი განზრახვების" ძიებიდან (თუმცა ასეთ ამღვრეულ ფინანსურ წყალში ბევრი "თევზი" რომ დაიჭირა ვილაცამ, ამაში ეჭვი არავის შეეპაროს) იმის გარკვევაზე თუ რამდენად რეალურია ლარის კურსის გამყარება და არის თუ არა ის ეკონომიკური სიტუაციისათვის ადეკვატური.

ლარზე, როგორც ფულადი ბაზრის საქონელზე, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა საქონელზე, ფასები მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად ყალიბდება.

**ეროვნული ვალუტის კურსის არასტაბილურობა, ხშირი ცვლილება (გაიზრდება თუ შემცირდება კურსი, მნიშვნელობა არა აქვს), აღიარებულია უარყოფით მოვლენად.**

**ერთ მშვენიერ დღეს ერთი კილოგრამი რომ ნიშნავდეს 700 გრამს, ერთი მეტრი - 57 სანტიმეტრს, ერთი გრადუსი ცელსიუსით - 1.75 გრადუსს... ასეთ შემთხვევაში წარმოსადგენია, თუ რა მოხდება: სხვა რომ არა, ვერ გაიგებ, ვინ გახდა და ვინ გასუქდა, ვინ გაიზარდა და ვინ დაპატარავდა. ასეთ შემთხვევაში ქვეყანაში იქმნება გასატარებელი უამრავი გარდაქმნა ახალ მასშტაბებზე მოსარგებად: გზებზე სიჩქარეების აღნიშნვის შეცვლით დაწყებული და ახალი თერმომეტრების გამოშვებით დამთავრებული.**

**ცარიელი ხაზინა და ხაზინა უძრავი ფულით ერთი და იგივე ეკონომიკური შედეგების მომტანია.**

**ქვეყანაში რომ არ მოხდეს ფასების სრული ჭონჭოლიზაცია, საჭიროა დროული კორექტირება ფასების პოლიტიკის ტაქტიკურ ნაწილში, რომლის განმსაზღვრელი სახელმწიფო ორგანო ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების სამინისტროა.**

2004 წელს ლარზე მოთხოვნის გაზრდის მრავალი ფაქტორი ერთობლივად ამოქმედდა: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, უცხოეთიდან გადმორიცხული ტრანსფერები ახლობლებისათვის, საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარზე ხელფასების გაცემა ლარებში, უცხოეთიდან მიღებული კრედიტი და სხვა. უმთავრესი მაინც იყო საგადასახადო ადმინისტრირების გაძლიერება და ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზება, რომელმაც გაზარდა ლარებზე მოთხოვნები გადასახადებისა და სხვა ვალდებულებების დასაფარავად.

ფაქტია, რომ ასეთ პირობებში, დოლარიზაციის დონის შემცირების მიუხედავად, ლარის მიწოდებამ ვერ დააბალანსა მოთხოვნა და ამან გამოიწვია მისი გაძვირება.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში გაშვებულ იქნა ლარის მნიშვნელოვანი მასა დოლარების შესყიდვის გზით. ამ მეთოდით ლარის კურსის გამყარების პროცესი შენელებულად წარიმართა. თუმცა რაც დრო გადის, ეროვნული ბანკის ეს სწორი მოქმედება კარგავს ძალას. იგი ვადაგადასულ წამალს ემსგავსება. დოზის მომატებაც არ შეცვლის რამეს. ყველაზე დიდი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ლარის დღევანდელი კურსი არ არის რეალური, სტაბილური კურსი ჩამოყალიბებული მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობით. ამის მიზეზია 2004 წლის დასაწყისიდან ხაზინისა და სახელმწიფო ფონდების ანგარიშებზე არსებული ლარების მასა, რომელიც წლის დასაწყისიდან იზრდებოდა და დღეს 170-180 მილიონი ლარის ფარგლებშია. სწორედ ესაა ლარის ის მასა, რომელსაც გააჩნია იმის პოტენცია, რომ მოახდინოს ლარის მიწოდება ბაზარზე.სწორედ ეს მასა ქმნის იმის საშიშროებას, რომ მისი ბაზარზე გასვლის შემთხვევაში ლარის კურსი კვლავ დაიწყებს მერყეობას. სხვა შემთხვევაში, ეკონომიკური აგენტები გადაიანგარიშებდნენ თავიანთ პლიუსებსა და მინუსებს და ლარის ახალ ზღვარზე მშვიდად გააგრძელებდნენ ფუნქციონირებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის შესყიდვის ზრდა ლარის მიწოდების ზემოაღნიშნული აკუმულირებული პოტენციალის პირობებში დიდ ინფლაციურ საფრთხეს შეიცავს, თუ არ იქნა შემუშავებული ერთიანი სახელმწიფოებრივი მოქმედების ხედვა, რომელსაც, მინიმუმ, საქართველოს ეკონომიკის უახლოეს პერიოდში განვითარების შესაძლო სცენარების პროგნოზირება სჭირდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინიტროს მიერ.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ხედვა ქვეყანას ოფიციალურად არც 2004, არც 2005 წლისათვის არ გააჩნია (ინდიკატური გეგმები არ შემუშავებულა), საბიუჯეტო პოლიტიკის საშემოსავლო და ხარჯვითი შემადგენლები ერთმანეთთან არ არიან შესაბამისობაში. საბიუჯეტო პოლიტიკა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არაა ჰარმონიზებული (სახელმწიფო ბიუჯეტისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებები არა მარტო დროში დაშორებულადაა მიღებული, არამედ ჰარმონიაში არაა ერთმანეთთან). 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირების შემდეგ რა შეიცვალა ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში? ლარის "ზედმეტი" მასის არსებობის შემთხვევაში, რატომ არ მოხდა იმ დავალიანების დაფარვა, რაც სახელმწიფოს გააჩნია თუნდაც სოციალური გადასახადების სახით, როცა წლების განმავლობაში ხელფასები საბიუჯეტო ორგანიზაციებში გაიცემოდა სოციალური გადასახადის გადაუხდელად?

სად არის გამოსავალი? როგორ გავხადოთ ლარის კურსი სტაბილური რეალურ ნიშნულზე ისე, რომ თავიდან ავიშოროთ სავალუტო-საფინანსო შოკი?

უპირველეს ყოვლისა, რეალური ეკონომიკური სიტუაციის შესაბამისი ეკონომიკურ პოლიტიკა უნდა განხორციელდეს. ამისათვის საჭიროა, ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური ხელისუფლების კოორდინირებული ქმედება. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინიტროს მიერ შემუშავებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროგნოზის საფუძველზე უნდა მოახდინონ ლარის მიწოდება. უპირველეს ყოვლისა, უნდა ჩამოყალიბდეს საბიუჯეტო ხარჯვის სწორი კონცეფცია და ის მიმართული უნდა იყოს, სხვათა შორის, ფულის ბრუნვის დაჩქარებაზე. საჭიროა საბიუჯეტო ხარჯები განხორციელდეს თანაბარ ნაკადებად თვის განმავლობაში ყოველკვირეულად მაინც. ცარიელი ხაზინა და ხაზინა უძრავი ფულით ერთი და იგივე ეკონომიკური შედეგების მომტანია. ხელფასები საბიუჯეტო ორგანიზაციებში უნდა გაიცეს, როგორც შრომის კანონმდებლობა მოითხოვს, ორჯერ თვეში – "ავანსისა" და ძირითადი ხელფასის სახით. იგივე შეიძლება მოეთხოვოს კომერციულ სტრუქტურებს. ხელფასების გაცემისაგან თავისუფალ კვირეებში გაიცეს მიმდინარე პენსიები და სოციალური დახმარებები და წინა პერიოდის დავალიანებები. დროებით შეწყვიტოს სახელმწიფომ სახაზინო ვალდებულებების გამოცემა და გადაავადოს უცხოური სესხების მიღება.

თუ აღნიშნულის შემდეგ დაიწყო ლარის კურსის სვლა ძველი ნიშნულისაკენ, - საჭიროა ამ პოლიტიკის გააქტიურება. ეკონომიკური პროგნოზების საფუძველზე იმ საშიშროების წარმოშობის შემთხვევაში, რომ წლის ბოლომდე ვერ იქნება "ათვისებული" საბიუჯეტო თანხები, საჭიროა კორექტირობა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტში, კერძოდ, შემცირდეს ბიუჯეტის დეფიციტის ზომა და ნაბიჯი გადაიდგას ბალანსირებული ბიუჯეტისაკენ. შესაბამისად, უარი ითქვას დეფიციტის დაფინანსების წყაროებზე, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეროვნული ბანკის სესხზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის მხრივ დამატებით შეიძლება ღონისძიებების განხორციელება საკრედიტო ბაზრის გაიაფების მიმართულებით.

სასწრაფოდაა მოსაგვარებელი ინსტიტუციური და საკანონმდებლო საკითხები. საქართველოს კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ, შეიქმნა მთავრობა ახალი სტატუსით, თუმცა სამინიტროების მიმართება მთავრობასთან ფუნქციონალურად არ არის სრულყოფილი. პრემიერ-მინისტრსა და ეკონომიკური პროფილის სამინსიტროებს შორის ვერტიკალში არ არის პასუხისმგებელი, მაკოორდინირებელი რგოლი. პრემიერ-მინიტრს არ ჰყავს ვიცე-პრემიერი, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა ეკონომიკური პროფილის სამინიტროების საქმიანობას, თუნდაც ზემოთმოტანილი მოვლენების თავიდან ასაშორებლად.

მოსაწესრიგებელია საკანონმდებლო ბაზაც. საბიუჯეტო კანონმდებლობაში ჯერ კიდევ შესავსებია საკანონმდებლო ვაკუუმი: არ არსებობს ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ კანონი, კანონი ხაზინის შესახებ, საკუთრების გამიჯვნის შესახებ. კანონით უნდა დარეგულირდეს სახაზინო ვალდებულებების გამოცემის წესი და პროცედურები და ა.შ.

ლარის კურსის პრობლემატიკამ რელიეფურად წარმოაჩინა ისეთი საკითხების მოგვარების აუცილებლობა, როგორიცაა ფასების პოლიტიკა ქვეყანაში. მოსახლეობა მიეჩვია ლარის კურსის 2 ლარიან ნიშნულს დოლართან მიმართებაში. აგრეთვე იმას, რომ როცა ლარის კურსი ეცემოდა, ფასები მატულობდა. ახლა ლარის კურსი მყარდება, ფასები ან არ იცვლება, ან მატულობს. მოსახლეობა ხედავს, რომ ლარის კურსი მყარდება დოლართან მიმართებაში, მაგრამ კატასტროფულად ეცემა ჯონჯოლთან მიმართებაში. მოსახლეობისათვის ცნობილია, რომ ჯონჯოლის ფასის დადგენის დროს მთავარია მოთხოვნა-მიწოდება. მოსახლეობამ, მცირე და საშუალო ბიზნესმა ფასწარმოქმნაში დაიწყო "ჯონჯოლის ინდექსის" გამოყენება.

ქვეყანაში რომ არ მოხდეს ფასების სრული ჯონჯოლიზაცია, საჭიროა დროული კორექტირება ფასების პოლიტიკის ტაქტიკურ ნაწილში, რომლის განმსაზღვრელი სახელმწიფო ორგანო ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების სამინიტროა. თუ ეროვნული ბანკი მიდის ლარის ფასის ხელოვნურ შენარჩუნებაზე და ერევა ფასწარმოქმნაში, მაშინ საჭიროა სახელმწიფომ იქ, სადაც ის ფასებსა და ტარიფებს არეგულირებს – მიიღოს შესაბამისი ზომები. თუ სახელმწიფო რეალურად თვლის (ჩათვლის), რომ ლარის კურსი დღევანდელ ნიშნულზე უნდა გაჩერდეს, მაშინ საჭიროა, შესაბამისად შემციროს რეგულირებადი ტარიფები და ფასები (გაზი, წყალი, ელექტროენერგია, ელექტროკავშირი და სხვ.). მან უნდა გადახედოს ჯანმრთელობის სტანდარტებზე ტარიფებს, გადასახადებსა და მოსაკრებლებს და ა.შ.

ფასებზე ვალუტის კურსზე მნიშვნელოვნად მოქმედებს გადასახადებისა და მოსაკრებლების განაკვეთები. განსაკუთრებით იქ, სადაც გადასახადები და მოსაკრებლები აბსოლუტური სიდიდეებითაა დაფიქსირებული. სადოლარო შინაარსი საქართველოში ყველა ასეთი გადასახადისა და მოსაკრებლისათვის გაიზარდა. გაიზარდა მიწის გადასახადის წონა. გლეხს ლარის კურსი არ აინტერესებს. ზესტაფონში ყველზე, ან კახეთში ყურძენზე ფასებს გლეხები სავალუტო კურსით არ განსაზღვრავენ. მათთვის ამოსავალია თუ რა ღირს ქატო და შაბიამანი. დღევანდელი სიტუაციით კი, რაც მეტია ლარებში ხარჯი, მეტია ფასიც.

ეკონომიკური კანონების საფუძველზე და მათი ცოდნით განხორციელებული შესაბამისი ღონისძიებები, იმედია, საზოგადოებრივ აზრს მოაბრუნებს ცოდნისაკენ, კომპეტენციისაკენ, მით უმეტეს, რომ მსოფლიოში სწრაფად ვითარდება სწორედ ახალი საინფორმაციო, ციფრული, ცოდნის ეკონომიკა და ასეთი რთული საკითხების გასარკვევად "ჯონჯოლის ინდექსი" არ იქნება გამოყენებული.

P.S. თუ ანგარიშებზე დაგროვილი ლარის მასის მიმოქცევაში გაშვების გარეშე ლარის კურსი დაუბრუნდება ძველ ნიშნულს, სტატიაში მოცემული რეკომენდაციები მაინც ძალაში რჩება, რადგანაც "ფინანსური ჯებირის" გარღვევის საშიშროება ამით არ მოიხსნება. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ლარის კურსის გამყარების ხელოვნურობის შესახებ ჭორი დადასტურებული იქნება.

თუ მოცემული რეკომენდაციები დროზე არ იქნა განხორციელებული, მაშინ სიტუაცია, შეიძლება, უკონტროლო გახდეს. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს ეროვნულ ბანკს მოუწევს ლარის ინტერვენციების შეწყვეტა, რათა ეკონომიკას არ მისცეს დამატებითი "ცრუ" ინფორმაცია და ნიშანი. ასეთ შემთხვევაში ლარის კურსი ჩამოყალიბდება სტიქიურად, ეკონომიკური მდგომარეობის ადეკვატურად, რომლის შედეგების პროგნოზირება დღეისათვის შეუძლებელია.

*9 სექტემბერი, 2004 წ.*

პოლიტიკური ესე

# ერთმორწმუნე მეკობრეები

პირველი გვერდიდან

ნინო ჭავჭავაძისა და გრიბოედოვის სიყვარული საბჭოთა საქართველოში ყველაზე კონიუნქტურულ თემად იქცა და სხვადასხვა ავტორი რუსეთ-საქართველოს გარდაუვალ მეგობრობასა და სიყვარულს იმ „დიად“ სიმბოლოში ხედავდა, რასაც ნინო ჭავჭავაძისა და გრიბოედოვის სიყვარული ერქვა. წერდნენ წიგნებს, ოპერაც შეთხზეს („ჩრდილოეთის პატარძალი“). ერთი სიტყვით, ამ თემატიკით ბევრმა მოითბო ხელი, ანუ მათ, რომლებიც სინამდვილეს ამახინჯებდნენ, ანდა უბრალოდ ცალმხრივად ასახავდნენ.

რუსული იმპერიული იდეოლოგიის პროპაგანდისტები თვითონ ქართველები იყვნენ. რუსები ყოველთვის ჩვენი ხელით აკეთებდნენ თავიანთ საქმეს.

საქართველო, თავისი დამოუკიდებლობის მიუხედავად, დღესაც რჩება რუსეთუმეების ქვეყნად. არაფერი ახსოვთ, — არც თეთრად გადალებილი ეკლესია-მონასტრების კედლები, არც კრწანისი, ერთმორწმუნეთა არაერთი ღალატი და ლამის ფიზიოლოგიური ზიზღი კავკასიელებისა, კერძოდ კი ქართველებისა. გაუქმებული სამეფო, გაუქმებული საპატრიარქო, რუსი ეგზარქოსების პარპაში, ეგზეკუციები, ქართული ენის დევნა და სხვა ათასი ჭირი — რის ჩამოთვლასაც აღარ შევუდგები. ორასი წელია, რუსთა მიზანი არ იცვლება, რადაც უნდა დაუჯდეთ, არ უნდა შედგეს საქართველოს სახელმწიფო.

სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, აფხაზეთსა და ოსეთში ლტოლვილების დაუბრუნებლობა და იმავე ტერიტორიებზე გაიოლებული სავიზო რეჟიმი, იქაური მოსახლეობის რუსული პასპორტებით „აღჭურვა“, არა მხოლოდ დაუფარავი ექსპანსიაა, არამედ მეზობელი სუვერენული ქვეყნისა და მსოფლიო თანამეგობრობის აბუჩად აგდება, ტრადიციული რუსული ცინიზმია.

შეუძლებელია ჭკუათმყოფელი ადამიანი წინააღმდეგი იყოს მეზობელთან კულტურული ურთიერთობისა, იმ დადებითი ტრადიციების გაღრმავებისა, მრავალ წელს რომ ითვლის, მაგრამ საკითხავია, უნდათ კი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეალურ ოკუპანტებს, სეპარატისტული ომებისა და გენოციდის ავტორებს მეგობრობა? თავიანთ ზრახვებს ისევ ჩვენი მეხუთე კოლონის მეშვეობით ახორციელებენ, რომელთა ოდიოზური „მოღვაწეობა“ საგრძნობია, როგორც ზღვისპირეთში, ასევე თბილისში.

რა ქნას ამ ხალხმა, თუ ურუსეთოდ სიცოცხლე არ შეუძლია? რა უნდა ქნას და თვალი მოუხუჭოს ყველა სიავეს, თავი უნდა შევუშვიროთ რუსულ ბომბებს, სიხარულით შევეგებოთ სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას, რუსეთის საპასპორტო ექსპანსია მოვუწონოთ ფსევდოქართულ პარტიებს, რუსეთიდან რომ იმართებიან, და დროდადრო გავმართოთ კონცერტები მოსკოვში. მნიშვნელობა არა აქვს, ცალკეული ცნობილი შემსრულებელი იქნება, თეატრალური თუ მუსიკალური დასი. მთავარია, კულტურული ურთიერთობები არ შეიზღუდოს, პოლიტიკას კულტურა არ უნდა შეეწიროს, თუმცაღა პოლიტიკამ შესაძლოა სახელმწიფოებრიობა ხელყოს, მაგრამ ეს ხომ არ არის მთავარი? მთავარია, მოსკოვში გამართული კონცერტების ვიდეოჩანაწერები აქტიურად ვაჩვენოთ ტელევიზიით, სწორედ მაშინ, როცა სარკინიგზო მიმოსვლა აღდგება რუსეთსა და სოხუმს შორის — და ვამტკიცოთ, რომ არსებობს ორი რუსეთი — ჩვენი და რუსეთის რუსეთი, ასევე ორი საქართველო — რუსეთის საქართველო და საქართველოს საქართველო.

ჩვენ საეჭვოდ ვეგუებით სუვერენულ სახელმწიფოში უცხო ქვეყნების მიერ დაუკითხავად განხორციელებულ პროექტებს. ვგულისხმობ ელექტროგადამცემის მშენებლობას სომხეთიდან ახალქალაქში და სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას სოჭსა და სოხუმს შორის.

თუმცა, ამას რაღა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, სასცენო ტერიტორიების შენარჩუნება, წარმატებული შოუ-ბიზნესი და საესტრადო ვარსკვლავთა პათოლოგიური სიმრავლე.

### მესამე ცრურომი

იდეა — მესამე რომი — დიდი ხნის ისტორიას ითვლის. 1453 წელს, როცა თურქებმა დაამხეს ბიზანტია, ანუ მეორე რომი, გაჩნდა თავისუფალი ადგილი მესამე რომისთვის — მოსკოვისთვის, რომელსაც უნდა ეტვირთა მესიანისტური იდეების განმახორციელებლის როლი და მოსკოვი (მესამე რომი) უნდა მოვლენოდა მსოფლიოს მესიის ნების აღმსრულებლად. ეს, ერთი შეხედვით, უწყინარი და ქრისტიანული იდეა თავიდანვე დატვირთული იყო საშიში ზრახვით, რომ წმინდა ქრისტიანულ იდეოლოგიას ჩაენაცვლებოდა დიდმპყრობლური ეთნოცენტრიზმი და „მესიანიზმის“ იდეოლოგიით შეპყრობილი ქვეყანა იქცეოდა „ბოროტების იმპერიად“.

დეკლარირებული ლოგოცენტრიზმი, კეთილშობილური მისია სწრაფად შეცვალა მოძალადეობრივმა ეთნოცენტრიზმმა, დაუოკებელმა სურვილმა, „გადაერჩინათ“ ქვეყნები და ხალხები, ანუ დაეპყროთ და შემოეერთებინათ რუსეთის იმპერიისათვის სხვადასხვა ტერიტორია, გასულიყვნენ ინდოეთის ოკეანესა და ადრიატიკის ზღვამდე.

მესიანიზმის იდეას ამოფარებული მოსკოვი — მესამე რომი, სლავიანოფილებისა და შემდგომში რუსოფილების საოცნებო სატახტო ქალაქი, თანდათან იქცა „ერთა საპყრობილედ“, რომელიც მოგვიანებით ფსევდოინტერნაციონალური საპყრობილეთი შეიცვალა. მანამდე კი, სლავიანოფილების ცნობილი იდეოლოგის, პოგოდინის სკოლა — მუხლჩაუხრელად „მუშაობდა“, პროპაგანდას უწევდა ქრისტიანულ სამოსელში გახვეულ შავრაზმულ იდეოლოგიას, რამაც თავისი ნაყოფი გამოიღო. იმდენად მძლავრი იყო პოგოდინელთა აზროვნების ზეგავლენა, რომ დიდი რუსი ფილოსოფოსი და პოეტი ვლადიმირ სოლოვიოვი ქმნის შესანიშნავ საპროგრამო ლექსს, რომლის სათაურია „პანმონგოლიზმი“. იგი აფრთხილებს რუსეთს, რომ მესიანიზმის ბაცილა დაღუპავს რუსეთს.

“დანგრეულია მესამე რომი,
ხოლო მეოთხე აღარ იქნება.”

ეს წინასწარმეტყველური სტრიქონები ამჟამად განხორციელების პროცესშია და ჩვენ დიდი კატაკლიზმების შემსწრენი ვართ.

თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, იმავე აზრს ავითარებს უდიდესი პოლიტოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი სულ სხვა გათვლებისა და არგუმენტაციის მეშვეობით.

ადრეული და გვიანდელი სლავიანოფილების სურვილები უკიდეგანო იყო. მათი „მესიანისტური იდეოლოგია“ იქცა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო პოლიტიკის საძირკვლად და ვინც უნდა ყოფილიყვნენ ისინი, გენერლები თუ ინტელიგენტები, დიდი თუ პატარა მწერლები, თვით ამხანაგი მაქსიმ გორკიც კი, ოცნებობდნენ დაუსაბამო რუსეთზე, რომელიც კი არ იბატონებდა, არამედ მესიის სახელით გააერთიანებდა ლამის ნახევარ მსოფლიოს. ეს სურვილი, თავისთავად, ძალისმიერი იყო და ღვთის ნების ჩანაცვლება იმპერიის აკვიატებული იდეით, რა თქმა უნდა, განწირული იყო დასაღუპავად, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მართლმადიდებლობა, ზოგადად ქრისტიანობა, გამორიცხავს ყოველგვარ ძალადობას; ამიტომაც ვლადიმირ სოლოვიოვი აფრთხილებს რუსეთს მოსალოდნელ ნგრევასა და იმ ბედის გაზიარებაზე, რაც წილად ხვდა ბიზანტიას — მეორე რომს:

“კალიებივით აურაცხელი,
გაუმაძღარნი რბევით, ომებით,
არამქვეყნიურ ძალის მნახველი —
ჩრდილოეთისკენ დიან ტომები.

რუსეთო, გაქრა ძველი ედემი,
არწივი ვეღარ აღიმართება
და შენი დროშის მონაფლეთები
დღეს ყვითელ ბავშვებს მისცეს
სათრევად.”

საგულისხმოა გავიხსენოთ საბჭოთა კავშირისა და, ჩინეთის შეტაკება შორეული აღმოსავლეთის საზღვარზე (დამინსკი, სემიპალატინსკი). ამ პერიოდში „ლიტერატურნაია გაზეტაში“ იბეჭდება ლევ ტოლსტოის ერთი უცნობი ოპუსი, სადაც იგი წერს, რომ წინარე სიცოცხლეში იგი იყო სოკრატე, ამჟამად ლევ ტოლსტოია, ხოლო განსაზღვრული დროის შემდეგ იგი ჯარისკაცად მოევლინება რუსეთს შორეული აღმოსავლეთის საზღვრებზე და თავის ქვეყანას დაიცავს. სამწუხაროდ, ამ სტატიას ვერ მივაკვლიე, თუმცა გულდასმით მოძიების შემდეგ, ალბათ, ესეც შესაძლებელია. აქ მთავარი ის გახლავთ, რომ ყვითელი რასის მსოფლიოზე ბატონობის ოკულტური თვალსაზრისი კარგად იყო ცნობილი, როგორც ტოლსტოისთვის, ასევე სოლოვიოვისათვის, თუმცა სხვაობა მათ პოზიციებს შორის კატეგორიულია. ტოლსტოი წინ აღუდგება „მესამე ცხოვრებაში“ ყვითელი რასის შემოტევას, ხოლო ვლადიმირ სოლოვიოვი მარცხსა და განადგურებას უწინასწარმეტყველებს მოსკოვს — მესამე რომს და ერთადერთ გამოსავლად ის მიაჩნია, რომ რუსეთმა იცხოვროს ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულით და უარი თქვას აკვიატებულ მესიანიზმზე, რომელიც სინამდვილეში ძალადობაა და მეტი არაფერი.

არ გავაანალიზებ, რა მნიშვნელობა აქვს ვლადიმირ სოლოვიოვის ამ ლექსს დღევანდელი პოლიტიკური ფონის გათვალისწინებით. ამას მკითხველი თვითონვე მიხვდება. ერთი რამ კი უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთი მანამდეა საშიში, ვიდრე დაავადებულია თვითმპყრობლური იდეის კერპთაყვანისმცემლობით. ეს ვითარება კი დღესაც გრძელდება... „მსოფლიოს მხსნელები“ იქტიბარს არ იტეხენ და უფრო საშიშნი ხდებიან.

როცა ამ ლექსის თარგმანი გამოვაქვეყნე გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულს, პირველი, რომელმაც ყურადღება მიაქცია სოლოვიოვის ქართულ „პანმონგოლიზმს“, აკაკი ბაქრაძე იყო. იგი საგანგებოდ მოვიდა ჟურნალ „ცისკარში“, სადაც იმჟამად ვმუშაობდი, თავისი აღფრთოვანება გამოხატა და მოვლენა უწოდა თარგმანის პუბლიკაციას. თან უკვირდა: ცენზურას როგორ გაუსხლტაო.

1974 წელს „სოვეტსკი პისატელის“ მიერ გამოცემული სოლოვიოვის მომცრო პოეტური კრებული თხუთმეტათასიანი ტირაჟით გამოიცა, რაც იმჟამად, მაშინდელი ტირაჟების ფონზე, მეტად მცირე, პროკლამაციური იყო და ერთი ეგზემპლარი ხელში ჩამივარდა.

დიდმა პოეტმა და ფილოსოფოსმა, რომელმაც ღვთისმშობლის გამოცხადება ორჯერ იხილა — ერთხელ ლონდონში — ბიბლიოთეკაში ყოფნისას, ხოლო მეორედ — კაიროში მოგზაურობისას, ვინმე ცერტელევთან ერთად (ეს ცერტელევი შოპენჰაუერის პირველი მთარგმნელი იყო რუსეთში), პირველმა თქვა წინასწარმეტყველური სიმართლე რუსეთზე, სხვებზე არანაკლებად რომ უყვარდა, მაგრამ ყური არავინ ათხოვა.

სიმართლე გითხრათ, დღეს, ცოტა არ იყოს, დაეჭვებული ვკითხულობ ამ თარგმანს და პირველი, რაც მახსენდება, ალექსანდრ ბლოკის „სკვითებია“, რომელსაც ეპიგრაფად სოლოვიოვის ორი სტრიქონი აქვს წამძღვარებული (“Панмонголизм! Хоть слово дико, но мне ласкает слух оно“). სწორედ ბლოკის „სკვითებმა“ მომაძებნინა სოლოვიოვის „პანმონგოლიზმი“. უცნაურია, მაგრამ ბლოკი, რომელიც დიდ პატივს მიაგებდა უდიდეს ფილოსოფოსსა და პოეტს სოლოვიოვს, „პანმონგოლიზმის“ წინასწარმეტყველებას არ იზიარებს და ეპაექრება მას.

ასეთია ამ ლექსის თარგმანის მოკლე ისტორია. ახლა, როგორც ვხედავთ, სოლოვიოვის „პანმონგოლიზმი“ უფრო აქტუალურია, ვიდრე არასდროს. ამ ლექსის დაწერიდან (1894 წ.) თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ ლოგიკური წინასწარმეტყველება აღსრულების პროცესშია. ასე რომ, ისტორიისათვის ერთი საუკუნე ერთი დღის მეათედია („წელი ათასი, ვითარცა დღეი ერთი“).

## სააქციო საზოგადოებების დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საყურადღებოდ!

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი აწყობს ერთდღიან სემინარს **"სამეთვალყურეო საბჭოს როლი კორპორაციულ მართვაში".** სემინარის თემებია:

1. სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა და საქმიანობის წესი ქართული კანონმდებლობის მიხედვით
2. სამეთვალყურეო საბჭო - საუკეთესო პრაქტიკა.

სემინარი გაიმართება ა.წ. 14 სექტემბერს 10:00-ზე საბანკო-საფინანსო აკადემიის შენობაში (დ. აღმაშენებლის 123, II სართული).

სემინარი განკუთვნილია მხოლოდ სააქციო საზოგადოებების დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის.

სემინარზე დასწრებისათვის აუცილებელია წინასწარი რეგისტრაცია. რეგისტრაციის მიზნით, გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 91 30 96, 91 26 89, 91 29 58.

## აჭარის, გურიისა და სამეგრელოს სააქციო საზოგადოებების საყურადღებოდ!

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი აწყობს ერთდღიან სემინარს რეგიონებში არსებული სააქციო საზოგადოებებისათვის თემაზე **"კორპორაციული მართვის საფუძვლები - სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი, ფინანსური ანგარიშგება".**

სემინარი გაიმართება ა.წ. 16 სექტემბერს 10:30 საათზე, ქალაქ ბათუმში, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში (მისამართი: ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35, I კორპუსი, III სართული).

სემინარი განკუთვნილია სააქციო საზოგადოებათა დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის. სემინარის შემდეგ მსურველებს გაეწევათ უფასო კონსულტაციები იურიდიულ და ფინანსურ საკითხებში.

სემინარზე დასწრებისათვის აუცილებელია წინასწარი რეგისტრაცია. მსურველებს ვთხოვთ, წინასწარ დაგვიდასტურონ მონაწილეობა შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 8 32 91 30 96, 8 32 91 26 89, 8 32 91 29 58.

# ბიზნესი 2005 წელს

### რა ადგილი დაიკავა საქართველომ მასშტაბური კვლევის შედეგებში

*"ბიზნესის წარმოება 2005 წელს" - მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ეს მორიგი კვლევა ბიზნესის წარმოებისათვის აუცილებელი გარემოს ანალიზს მოიცავს და მსოფლიოს 145 ქვეყანას აფასებს ბიზნესისათვის უმნიშვნელოვანესი პარამეტრების მიხედვით (ბიზნესის დაწყება, მუშა-მოსამსახურეების დაქირავება-გათავისუფლება, კონტრაქტების აღსრულება, კრედიტის მიღება, საკუთრების რეგისტრაცია, ინვესტორთა დაცვა და ბიზნესის ლიკვიდაცია).*

ნინო ნარჩემაშვილი

ანგარიშში, სახელწოდებით - "ბიზნესის წარმოება 2005 წელს: ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრა", ნათქვამია, რომ მაშინ, როდესაც ევროკავშირის ახალი წევრები ითვლებიან საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების თვალსაზრისით წამყვან რეფორმატორებად, ევროპისა და ცენტრალური აზიის (ECA) რამდენიმე ქვეყანა კვლავ ინარჩუნებს ბიზნესისთვის არახელსაყრელი გარემოს მქონე ქვეყნის რეპუტაციას. ანგარიშში გაკეთებული დასკვნების მიხედვით, ბევრ ქვეყანას, ხშირად მარტივი რეფორმების განხორციელებითაც კი, შეუძლია, შექმნას ქალებისა და ახალგაზრდობისთვის საჭირო დამატებითი სამუშაო ადგილები, წაახალისოს ჩრდილოვანი ეკონომიკის გადასვლა ფორმალურ სექტორში და ხელი შეუწყოს ეკონომიკის ზრდას. ცალკე აღებული ფაქტორების დაწვრილებითი ანალიზი მიუთითებს იმ სფეროებზე, სადაც ცვლილებების გატარებამ საქართველოს შეიძლება მოუტანოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნის თვალსაზრისით. კერძოდ, **"ბიზნესის წარმართვა საქართველოში მნიშვნელოვნად შეიძლება გაიოლდეს, თუკი გაიზრდება სასამართლო სისტემის ეფექტურობა, შემცირდება საკუთრებისა და ბიზნესის რეგისტრაციისთვის საჭირო ხარჯები და რეალურ ფუნქციონირებას დაიწყებს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო".**

თუმცა არსებობს დადებითი მომენტებიც: ბიზნესის დასაწყებად საჭირო აუცილებელი დროის თვალსაზრისით საქართველოს გააჩნია გარკვეული უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით. **"ევროკავშირში გაერთიანებულ წევრებთან შედარებით, საქართველოში ყველაზე ცოტა დროა საჭირო ბიზნესის დასარეგისტრირებლად. თუმცა, აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებული ხარჯები საკმაოდ მაღალია. ის თითქმის ორჯერ აჭარბებს ანალოგიურ მოსაკრებელს რუსეთსა და სომხეთში. ასევე - მაშინ, როცა საკუთრების დარეგისტრირებას საქართველოში საკმაოდ მცირე დრო მიაქვს, იმავე რეგისტრაციის ხარჯები მნიშვნელოვნად აჭარბებს ანალოგიურ მოსაკრებლებს მეზობელ ქვეყნებში - სომხეთსა (სამჯერ) და აზერბაიჯანში (ხუთჯერ)".**

ანგარიში დეტალურად განიხილავს საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობაზე მოქმედ ფაქტორებსაც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია მზარდი ბიზნესებისთვის. კერძოდ, მსესხებელთა უფლებების საკანონმდებლო დაცვა და კრედიტორებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ამ მხრივ, როგორც ანგარიშშია აღნიშნული, საქართველო საკმაოდ წარმატებულია მსესხებელთა უფლებების დაცვაში. ECA-ს 26 ქვეყნიდან მხოლოდ ორი შეფასდა დადებითად. თუმცა, **"საკრედიტო ბიუროები საქართველოში, ისევე როგორც თანამეგობრობის დანარჩენ სხვა წევრ ქვეყნებში, პრაქტიკულად არ არსებობს. ეს ფაქტი ართულებს გამსესხებლების მიერ მსესხებლების რისკების შეფასებას, რაც მეწარმეებს ხშირად აიძულებს, სესხის მისაღებად უფრო მეტად დაეყრდნონ პირად ურთიერთობებს და გირაოს."** ხოლო ფინანსური ინფორმაციისა და მესაკუთრეთა ვინაობის გამჟღავნების პრაქტიკის მხრივ, საქართველო საკმაოდ წარმატებულია და ამ მაჩვენებლით (ყაზახეთთან ერთად) ის პირველ ადგილზეა თანამეგობრობის ქვეყნებს შორის.

კვლევის ანგარიშში დაფიქსირებულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი: **"მაშინ, როდესაც კრედიტორებს და ინვესტორებს გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი საკანონმდებლო უფლებები, ქართული სასამართლო სისტემა შედარებით არაეფექტურად გამოიყურება. სასამართლო სისტემის არაეფექტურობა კი შეიძლება ნიშნავდეს კრედიტორებისა და ინვესტორების უფლებათა შელახვას, რაც, თავის მხრივ, ართულებს საქართველოში მოქმედი კომპანიების მიერ საკრედიტო რესურსების გამოყენებას. ასევე, კონტრაქტში ჩადებული პირობების დაცვის ხარჯები ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ხარჯად რეგიონში. იგი ორჯერ აჭარბებს ანალოგიურ ხარჯებს სომხეთში და სამჯერ – უკრაინაში".**

საქართველო, რა თქმა უნდა, ერთადერთი არ არის იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც უნდა განახორციელონ ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები. ანგარიში, რომელიც ადარებს მარეგულირებელ საქმიანობასა და რეფორმებს 145 ქვეყანას შორის, მიუთითებს, რომ **"საკუთარი ადმინისტრაციული პროცედურების გამო, მდიდარ სახელმწიფოებთან შედარებით, ღარიბი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ორჯერ უფრო გაძნელებულია მეწარმეთა მიერ საკუთარი ბიზნესის დაწყება, საოპერაციო საქმიანობა და ბიზნესიდან გასვლა".** იგივე მოხსენების მიხედვით, ღარიბ ქვეყნებში კანონმდებლობით გათვალისწინებულია საკუთრების უფლებათა დაცვის ორჯერ ნაკლები ბერკეტი, ვიდრე ეს მდიდარი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებშია.

ანგარიში საგულისხმო გამოთვლებს აფიქსირებს: მაღალი შემოსავლების მქონე ევროპის თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში ბიზნესის დაწყებისათვის, საშუალოდ, საჭიროა 6 პროცედურა, ერთ სულ მოსახლეზე არსებული მთლიანი შემოსავლის 8 პროცენტი და 27 დღე. ECA-ს ქვეყნებში კი ბიზნესის დარეგისტრირებასა და ამუშავებას სჭირდება 10 პროცედურა, ერთ სულ მოსახლეზე არსებული მთლიანი შემოსავლის 15 პროცენტი და 42 დღე. ამ მხრივ ყველაზე არახელსაყრელი ბიზნესგარემოს მქონე ქვეყნებად ითვლებიან ბელორუსია (79 დღე) და აზერბაიჯანი (123 დღე).

მთლიანობაში, მდიდარმა ქვეყნებმა გასულ წელს განახორციელეს საინვესტიციო კლიმატის რეფორმებისკენ მიმართული სამჯერ უფრო მეტი ღონისძიება, ვიდრე ღარიბმა ქვეყნებმა. ამ მხრივ ყველაზე აქტიური ევროკავშირის წევრები იყვნენ, სადაც ცალკე აღებული თითო ქვეყნის წილად თითქმის ორი რეფორმა მოდიოდა. ჩატარებული კვლევის მიხედვით, საუკეთესო 10 რეფორმატორი ქყვეყნის სია შემდეგნაირად გამოიყურება: სლოვაკეთი, კოლუმბია, ბელგია, ფინეთი, ინდოეთი, ლიტვა, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია და ესპანეთი.

გამოკითხული 58 ქვეყნიდან, სადაც გასულ წელს მოხდა ბიზნეს კანონმდებლობის რეფორმირება, ან გაძლიერდა საკუთრების უფლებათა დაცვა, 16 ქვეყანა შედიოდა ECA-ში. ევროკავშირში ახლად გაწევრიანებულმა ქვეყნებმა მოახდინეს ყველაზე მეტი რეფორმა; ცენტრალური აზიის სახელმწიფოები კი იყვნენ ისინი, რომლებმაც ყველაზე ნაკლები რეფორმა გაატარეს.

145 ქვეყნიდან, ხუთი სახელმწიფო: ლიტვა, სლოვაკეთი, ლატვია, ჩეხეთის რესპუბლიკა და ესტონეთი მოხვდნენ გამარტივებული ბიზნესის წარმოების გარემოს მქონე ქვეყანათა პირველ რიგებში; საქართველომ მეორე მეოთხედში დაიკავა ადგილი. ბელორუსია, უკრაინა, რუმინეთი და უზბეკეთი რეგიონის აუტსაიდერებად დასახელდნენ.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, გასული წლის მონაცემების მიხედვით, სლოვაკეთი დასახელდა მსოფლიოს ყველაზე რეფორმატორულ სახელმწიფოდ. სლოვაკეთმა მოახერხა გაეუმჯობესებინა ქვეყანაში არსებული საინვესტიციო კლიმატი ბიზნესის წარმოებისთვის აუცილებელი პროცედურის გამარტივებით და შეუერთდა მსოფლიოს წამყვან 20 ქვეყანას, სადაც ბიზნესის წარმოება თავისი სიმარტივით გამოირჩევა.

მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის კერძო სექტორის განვითარების ვიცე-პრეზიდენტის და მთავარი ეკონომისტის მაიკლ კლეინის განცხადებით, **"ღარიბ ქვეყნებს, რომელთაც უკიდურესად ესაჭიროებათ ახალი საწარმოები და სამუშაო ადგილები, ემუქრებათ კიდევ უფრო დიდი ჩამორჩენის რისკი მდიდარ ქვეყნებთან შედარებით, ვინაიდან მდიდარი ქვეყნები ამარტივებენ მარეგულირებელ კანონმდებლობას და საკუთარ საინვესტიციო კლიმატს ბიზნესისთვის კიდევ უფრო ხელსაყრელს ხდიან".**

ერთი სიტყვით, "ბიზნესის წარმოების" პროექტის შედეგები, რომელიც 3 ათასზე მეტი ადგილობრივი ექსპერტისა და წამყვანი მეცნიერის, ბიზნეს კონსულტანტის, იურისტის, ბუღალტრისა და მთავრობის ოფიციალური პირის ერთობლივი ნამუშევარი გახლავთ, უჩვენებს, რომ გამარტივებული რეგულირების მქონე ქვეყნებს უკეთესად შეუძლიათ სოციალური დაცვის უზრუნველყოფა და უკეთესი ეკონომიკური გარემოს შექმნა ბიზნესმენებისთვის, ინვესტორებისა და ზოგადად მოსახლეობისთვის.

ახალი საპროცენტო განაკვეთი ბიზნეს სესხებზე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ბიზნეს სესხი დოლარში
მოკლევადიანი უკვე წლიური 13%-დან
გრძელვადიანი უკვე წლიური 14%-დან
სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 60 თვე

ბიზნეს სესხი ლარში
უკვე წლიური 14%-დან
სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 18 თვე



პროკრედიტ ბანკი - ლიდერი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: | 20 16 16 თამარ მეფის გამზ. 18 | 20 17 17 ვაჟა-ფშაველას გამზ. 46 | 25 28 06 ქავთარაძის გამზ. 58

# აფეთქება ჩრდილოეთ კორეაში: ბირთვული გამოცდა თუ დაუდევრობა?

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში, ჩინეთთან მოსაზღვრე რაიონში, 9 სექტემბერს მძლავრი აფეთქება მოხდა. სამხრეთ კორეის საინფორმაციო სააგენტოს "რენხაპის" მონაცემებით, აფეთქება თანამგზავრმა დააფიქსირა.

აფეთქების ადგილზე სოკოს მსგავსი ღრუბელი წარმოიქმნა, რომლის დიამეტრიც 4 კილომეტრს აღწევდა. მიუხედავად ამისა, აფეთქების მიზეზები, ჯერჯერობით, დაუდგენელია. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ჩრდილოეთ კორეის პროვინცია იანგანდოში აფეთქების სიმძლავრემ 1000 ტონაზე მეტი შეადგინა ტროტილის ეკვივალენტში. ამგვარ ინფორმაციას სამხრეთ კორეული გაზეთი "ჩოსონ ილბო" ავრცელებს. ხუთშაბათს მომხდარი აფეთქება სიმძლავრით მიმდინარე წლის აპრილში, რენჩხონში, რკინიგზის სადგურში მომხდარ სატვირთო შემადგენლობის აფეთქებას გაცილებით აღემატება. აღნიშნულ ინციდენტში 170 ადამიანზე მეტი დაიღუპა და 1300-ზე მეტი დაიჭრა.

სამხრეთ კორეის უნიფიკაციის მინისტრმა ჩუნ დონ ენმა მომხდარის შესახებ განაცხადა, რომ ეს ფაქტი ბირთვულ გამოცდასთან დაკავშირებული არ არის. მისი თქმით, უცხოური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიუხედავად, მოცემულ ეტაპზე ჩრდილოეთ კორეაში მომხდარი აფეთქების მიზეზები უცნობია, მაგრამ ატომური ბომბის გამოცდის ფაქტს მაინც გამორიცხავს.

სააგენტო "რენხაპის" მონაცემებით, ინციდენტის მიმართ აშშ-მ სერიოზული ინტერესი გამოიჩინა. "ვაშინგტონში, როგორც ჩანს, მიაჩნიათ, რომ აფეთქება ბირთვულ გამოცდებთან გარკვეულ კავშირშია", - იუწყებიან სააგენტოს წყაროები პეკინში. როგორც სააგენტო აღნიშნავს, სექტემბრის დასაწყისში აშშ-ს ადმინისტრაციაში არსებობდა მოსაზრებები, რომ ჩრდილოეთ კორეა მიმდინარე წლის ოქტომბერში ბირთვული იარაღის გამოცდას აპირებს.

ამჟამად სამხრეთ კორეა მომხდარის ყველა დეტალის გარკვევას აქტიურად ცდილობს. ჩუნ დონ ენის თქმით, ინციდენტი სარაკეტო ბაზის მახლობელ ტერიტორიაზე მოხდა.

9 სექტემბერს კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაარსების 56-ე წლისთავს აღნიშნავდნენ. ამასთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიებები და სახალხო სეირნობა გაიმართა.

როგორც რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს პრიმორსკის მხარის ოპერატიული მორიგე იუწყება, აფეთქებას რეგიონში არავითარი გავლენა არ ჰქონია. ბირთვული გაუვრცელებლობის სპეციალისტი, სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის წევრი ვლადიმირ დვორკინი კი მიიჩნევს, რომ ბირთვულ ცდებს ადგილი არ ჰქონია. "ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ბირთვული იარაღის აფეთქება და ბირთვული მოწყობილობის აფეთქება, - აღნიშნა მან, - ბირთვული იარაღი გახლავთ, როდესაც ბირთვული ენერგია კომპაქტურ მოცულობაშია თავმოყრილი, ხოლო ბირთვული მოწყობილობა - ეს ჩვეულებრივი ელექტროსადგურია, სადაც აფეთქების ენერგია კი არ ვრცელდება, არამედ დროში გამოიყენება".

მისი აზრით, ჩრდილოეთ კორეაში ატომური ბომბის აფეთქების თაობაზე საუბარი უაზრობაა. სავსებით დასაშვებია, რომ იქ მხოლოდ ბირთვული მოწყობილობა აფეთქდა.

როგორც გაზეთი New York Times-ი იუწყება, აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მალევე ჩააყენეს საქმის კურსში. გაზეთი საკუთარ და სამთავრობო წყაროებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ამერიკული სპეცსამსახურების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მოპოვებულ მონაცემებს "მზარდი აქტივობის ნიშანი" უწოდა, რომელიც, შესაძლოა, ბირთვულ გამოცდებთან იყოს დაკავშირებული. ამასთან, აშშ-ს ადმინისტრაციაში არ არსებობს ერთიანი აზრი ამ "უჩვეულო აქტივობის" ხასიათის შესახებ. ზოგიერთი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ აღნიშნული აქტივობა ბირთვული გამოცდისთვის მზადებაზე მიანიშნებს.

ერთ-ერთი მაღალჩინოსანი მეცნიერი, რომლის ვინაობაც არ სახელდება, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "მტკიცებულებები საბოლოო არ არის", თუმცა, გარკვეული შეშფოთების საფუძველს მაინც იძლევა.

*24 საათი*


## ადმინისტრაციული ასისტენტი

BP-ს საოპერაციო მიზნებისათვის და BP-ს მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ, IRA, Ltd ეძებს შესაფერის კვალიფიცირებულ პიროვნებას ადმინისტრაციული ასისტენტის თანამდებობაზე. ადმინისტრაციული ასისტენტი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი BP WREP საოპერაციო განყოფილებისათვის, რომელიც იმუშავებს BP-ს მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა:**
ადმინისტრაციული ასისტენტის პასუხისმგებლობა მოიცავს შემდეგს:
- ადმინისტრაციული და სამდივნო თანაშემწეობის გაწევა მილსადენის სუპერინტენდენტისა და საოპერაციო განყოფილებისათვის.
- მთარგმნელობითი/სათარჯიმნო მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკოორდინაციო საქმიანობის წარმოება.

**როლი და პასუხისმგებლობა:**
განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მოიცავს შემდეგს, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით:
- მილსადენის სუპერინტენდენტისა და საოპერაციო განყოფილებისათვის შეხვედრებისა და სხვა საქმიანობის დაგეგმვა, მოწყობა და კოორდინირება.
- თარჯიმნობის გაწევა მილსადენის სუპერინტენდენტისა, საოპერაციო განყფილებისა და სხვა აღმასრულებელი თანამშრომლებისათვის საქართველოს მინისტრებსა და სხვა სამთავრობო პირებთან, სსმკ-ს თანამშრომლებთან და სხვ. შეხვედრებისას.
- განყოფილების კორესპონდენციის, მათ შორის სსმკ-სა და სხვა ქართულ ორგანიზაციებთან შეხვედრების ოქმებისა და BP-ს მნიშვნელოვანი და კონფიდენციალური დოკუმენტების თარგმნა.
- მილსადენის ოპერაციების განყოფილების პერსონალის ყოველდღიური ადგილმდებარეობისა და შვებულებების განაწილების სისტემის შემუშავება და წარმოება.
- მილსადენის სუპერინტენდენტისა და ოპერაციების განყოფილებისათვის ადმინისტრაციული თანაშემწეობის გაწევა ისე, რომ ეფექტურად იწარმოებოდეს საოფისე საქმიანობა, მათ შორის სატელეფონო სქრინინგი, კორესპონდენციისა და დოკუმენტაციის მომზადება, საარქივო სისტემის წარმოება და ა.შ.
- HSE ჩანაწერებთან, საპროცესო შეფერხებებსა და უსაფრთხოების საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზებისა და ჩანაწერთა სისტემების წარმოება, მათ შორის შესაბამისი ყოველკვირეული და ყოველთვიური ანგარიშების მომზადება და გამოქვეყნება.

**გამოცდილება და განათლება:**
კანდიდატს უნდა გააჩნდეს:
- საუნივერსიტეტო განათლება ენებში, სპეციალიზაციით ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებში;
- ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა;
- ადმინისტრაციულ და მთარგმნელობით/სათარჯიმნო დარგში მინიმუმ 5 წლის გამოცდილება კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების ყველა დონეზე;
- კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Word) კარგი ცოდნა;
- წარმოდგენა სამთავრობო და სახელმწიფო საქმეთა მართვის შესახებ სასურველია.

**როგორ შევიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია**
თუკი თვლით, რომ თქვენი კვალიფიკაცია და გამოცდილება აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, წარადგინეთ თქვენი CV და შეავსეთ სათანადო განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მოიპოვოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა **ხუთშაბათი, 23 სექტემბერი, 2004.**

განხილულ იქნება ყველა მიღებული განაცხადი, მაგრამ ეს არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატს მოვიწვევთ გასაუბრებაზე და/ან შევთავაზებთ სამუშაოს.

**ადამიანთა რესურსების განყოფილება**
BP Exploration (კასპიის ზღვა) Ltd., საქართველო
ალმაშენებლის გამზირი, 123ა, თბილისი, საქართველო


## მოკლედ

**ავღანეთი.** გუშინ ჰერატის პროვინციაში წინა დღეს გადაყენებული გუბერნატორის ისმაილ ხანის ასობით მომხრემ საპროტესტო აქცია მოაწყო. დემონსტრანტები ანტიამერიკული და ავღანეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის საწინააღმდეგო ლოზუნგებით გამოდიოდნენ. "როიტერს"-ის ცნობით, საპროტესტო აქციის მონაწილეებმა გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისიარიტის წარმომადგენლობისა და ჰუმანიტარული მისიის ოფისებს ცეცხლი წაუკიდეს. მიუხედავად იმისა, რომ შაბათს, გუბერნატორის გადაყენების შემდეგ, ჰერატში მოსალოდნელი არეულობის თავიდან ასაცილებლად ამერიკული და ავღანური სამხედრო შენაერთები გაიგზავნენ, მასობრივი უწესრიგობა მაინც დაიწყო. კვირას დემონსტრანტებმა თავდასხმა მოაწყვეს და ქვები დაუშინეს ამერიკულ პატრულსაც. ამერიკელი სამხედროები დროზე მისულმა ავღანეთის სამხედრო დანაყოფმა იხსნა, რომელთაც ცეცხლი გახსნეს. "როიტერს"-ის ცნობით, სავარაუდოდ, შვიდი დემონსტრანტი დაიღუპა და ოცამდე დაიჭრა. ჰერატის ყოფილი გუბერნატორი ისმაილ ხანი დიდი ხანია წინააღმდეგობას უწევს პრეზიდენტ ჰამიდ კარზაის და მას ამ რეგიონში ხელისუფლების განმტკიცების საშუალებას არ აძლევს. მისი გადაყენება შეფასებულ იქნა, როგორც კარზაის მიერ 9 ოქტომბერს დაგეგმილი არჩევნების წინ ძალაუფლების კონსოლიდაციისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი. **ბი-ბი-სი**

■ ■ ■

**ერაყი.** კვირას ათამდე აფეთქების ხმა გაისმა ბაღდადის ე.წ. მწვანე ზონაში. ბაღდადის რაიონი, სადაც აშშ-ს საელჩო და ერაყის სამთავრობო დაწესებულებეთა უმეტესი ნაწილი მდებარეობს, ნაღმმტყორცნებიდან დაიბომბა. დაშავებულთა შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. გუშინ კიდევ რამდენიმე თავდასხმა მოხდა: ერაყის "აბუ-ღრაიბის" ციხის შესასვლელთან აფეთქდა დანაღმული მანქანა, რის შედეგადაც სამი ადამიანი დაიჭრა; ასევე თავდასხმა განხორციელდა ბაღდადის ცენტრში, ხაიფას ქუჩაზე მიმავალ ამერიკულ ტანკზე. ხაიფას ქუჩაზე მომხდარი შეტაკებისას დაღუპულთა და დაშავებულთა შესახებ სხვადასხვა ცნობები ვრცელდება. არაბული ტელეკომპანია "ალ-ჯაზირა"-ს ინფორმაციით, ხაიფას ქუჩაზე მომხდარი შეტაკების დროს ამერიკულმა სამხედრო შვეულმფრენებმა ცეცხლი გაუხსნეს აფეთქების ადგილზე შეგროვილ სამოქალაქო პირებს. სავარაუდოდ, 14-მდე ადამიანია დაღუპული და ათობით დაჭრილი. კვირას ბაღდადში მომხდარ თავდასხმებზე პასუხისმგებლობა აბუ მუსაბ აზ-ზარქავის ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ იკისრა. **24 საათი**

■ ■ ■

**კარიბის აუზი**. როგორც "როიტერსი" იუწყება, გრიგალმა "ივანი" კარიბის აუზში 56 ადამიანის სიცოცხლე უკვე შეიწირა. შაბათს ამერიკის გრიგალთა კვლევის ეროვნულმა ცენტრმა გრიგალ "ივანს" მეხუთე, ყველაზე მაღალი კატეგორია მიანიჭა. გრიგალმა უკვე გადაურა გრენადას, სადაც 34 ადამიანი იმსხვერპლა. კუნძულ იამაკაზე "ივანისგან" 16 ადამიანი დაიღუპა და ნახევარ მილიონამდე მცხოვრების ევაკუაცია გახდა საჭირო. "ივანის" შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა ვენესუელაში, თითო - კუნძულ ტობაგოსა და კუნძულ ბარბადოსზე, ხოლო დომინიკანელთა რესპუბლიკაში. ოთხი ადამიანია დაღუპული. ვარაუდობენ, რომ "ივანი" უახლოეს მომავალში კუბას "შეუტევს", ხოლო შემდეგ მექსიკის ყურესა და სამხრეთ ფლორიდას დაემუქრება. კუბის ლიდერმა ფიდელ კასტრომ უკვე გააკეთა სატელევიზიო განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ ქვეყნის მთავრობა მობილიზებულია და მზადაა გაუმკლავდეს მძვინვარე გრიგალის შემოტევას. **24 საათი**

■ ■ ■

**საბერძნეთი.** ოფიციალური წყაროების ცნობით, საბერძნეთის ჩრდილოეთ სანაპიროსთან ზღვაში აღმოჩენილი იქნა შვეულმფრენის ნამსხვრევები, რომლითაც მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი უმაღლესი წარმომადგენელი, ალექსანდრიის პატრიარქი პეტრე VII ათონის მთისკენ მიემართებოდა. შვეულმფრენი, რომელშიც, პატრიარქის გარდა, 16 მგზავრი იმყოფებოდა, აფრენისთანავე გაქრა რადარების ეკრანებიდან. მოგვიანებით საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებმა დაადასტურეს პატრიარქის დაღუპვის ფაქტი. "როიტერსი" იუწყება, რომ კვირას საღამოს ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა სპილიოს სპილიოტოპულუსმა აღნიშნული ინციდენტისას სამაშველო ოპერაციების შეფერხებით დაწყების გამო სამხედრო საჰაერო ძალების ხელმძღვანელი გაათავისუფლა თანამდებობიდან. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი კოსტას კარამანლისი აცხადებს, რომ "მორალური პასუხისმგებლობის" მოტივით ქვეყნის თავდაცვის მინისტრიც აპირებდა გადადგომას, თუმცა კარამანლისმა მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა. **24 საათი**


რუსეთის ადვოკატთა საერთაშორისო კოლეგია „კანონი და სამართალი" საქართველოს ფილიალი გთავაზობთ იურიდიულ მომსახურებას:
- სისხლის სამართლის მიმართულებით;
- სამოქალაქო სამართლის მიმართულებით;
- კორპორაციული სამართლის მიმართულებით;
- გაგიწევთ დახმარებას რუსეთის მოქალაქეობის მიღებაზე;
- უფასოდ გაგიწევთ კონსულტაციებს რუსეთის ვიზების გაფორმებაზე.
- ვიწვევთ გასაუბრებაზე დამწყებ იურისტებს.

მის: ვაჟა-ფშაველას №45, მე-5 სართული, ოთახი 501-ა.
ტელ. 42-12-07, 8-99-49-25-52, / 8 93 28-00-29.


## "თიბისი ბანკი" მსოფლიოს "წლის საუკეთესო ბანკებს" შორის ზედიზედ მესამედ დასახელდა




**"ფაინენშლ თაიმსმა" 2004 წლის მსოფლიო საბანკო რეიტინგის შედეგები გამოაცხადა.**

**7 სექტემბერს ლონდონში მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული საბანკო კონკურსის, "ფაინენშლ თაიმს გრუპის" (Financial Times Group) ყოველწლიური საბანკო რეიტინგის შედეგები გამოცხადდა, სადაც მსოფლიოს "წლის საუკეთესო ბანკებს" შორის ზედიზედ უკვე მესამედ დასახელდა ქართული "თიბისი ბანკი".**

"ფაინენშლ თაიმს გრუპი" (Financial Times Group) ყოველწლიურად განიხილავს მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნების საბანკო სექტორს და საუკეთესო ბანკების რეიტინგს ადგენს. ამ კონკურსზე ქართული ბანკების განხილვა პირველად 2002 წელს მოხდა, როდესაც მსოფლიოს "წლის საუკეთესო ბანკებს" შორის "თიბისი ბანკიც" დასახელდა. ეს ფაქტი მთლიანად ქართული საბანკო სექტორის სერიოზულ საერთაშორისო წარმატებად შეფასდა.

"თიბისი ბანკი" უკვე მესამე წელია, სტაბილურად ინარჩუნებს ადგილს "ფაინენშლ თაიმს გრუპის" (Financial Times Group) მსოფლიოს საუკეთესო ბანკების რეიტინგში ისეთი სახელგანთქმული ინსტიტუტების გვერდით, როგორებიცაა: ეიჩ-ეს-ბი-სი (HSBC), "დოიჩე ბანკი" (Deutsche Bank), "იუ-ბი-სი" (UBC), "ჯეი პი მორგანი" (JP Morgan), "ბანკ ოვ ამერიკა" (Bank of America ), "სი-თი გრუპი" (CT Group), "ბანკ ავსტრია კრედიტანსტალტ" (Bank Austria Creditanstalt) და სხვები. წელს საერთაშორისო ექსპერტების მიერ განხილულ იქნა მსოფლიოს 140 ქვეყნის საბანკო სექტორი, საიდანაც "წლის საუკეთესო ბანკების" რეიტინგში, "თიბისი ბანკის" გარდა, 132 ბანკი მოხვდა.

"თიბისი ბანკის გამორჩეულად წარმატებული მოღვაწეობა მას ადგილს ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე მზარდ ფინანსურ ინსტიტუტებს შორის. 1992 წელს დაარსებულ ბანკს მხოლოდ 10 წელი დასჭირდა იმისათვის, რომ საქართველოს უმსხვილესი ბანკი გამხდარიყო, რომლის წილი ქვეყნის მთლიან აქტივებში 29,5%-ია, ხოლო მთლიან დეპოზიტებში - 36,3%. თიბისი ბანკის საქმიანობა გვიჩვენებს ბანკის სერიოზულ ზრდას ბიზნესის დაფინანსების, მაღალი დონის რისკ-მენეჯმენტისა და კარგად დივერსიფიცირებული საინვეტიციო ბაზის კუთხით", - წერს ჟურნალი "The Banker" (სექტემბერი, 2004 წელი).

"ფაინენშლ თაიმს გრუპი" (Financial Times Group) და მისი ჟურნალი "The Banker" 1926 წლიდან ახორციელებენ ექსკლუზიურ საბანკო რეიტინგებს და ამ სფეროში მსოფლიო მასშტაბით ყველაზე კომპეტენტურ ინსტიტუტს წარმოადგენენ. ჟურნალი "The Banker" მთელი მსოფლიოს საფინანსო წრეებში ვრცელდება და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. "ფაინენშლ თაიმს გრუპის" (Financial Times Group) რეიტინგები მხოლოდ ბანკების უბრალო კლასიფიკაცია არ არის. ეს ორგანიზაცია კონკურსში მონაწილე ყველა ბანკს თავად ირჩევს, ეყრდნობა რა მათ ძირითად ფინანსურ მაჩვენებლებს.

კონკურსი სამი კატეგორიის მიხედვით განიხილავს ბანკებს: რეგიონალური ბანკები, საინვესტიციო ბანკები და ტექნოლოგიები. "ფაინენშლ თაიმს გრუპის" (Financial Times Group) და ჟურნალის "The Banker" ჯილდო მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნების საბანკო ინსტიტუტების მიღწევების ოფიციალური აღიარებაა. ამ ჯილდოს მინიჭება ხდება საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით, რომელიც აფასებს არა მარტო ბანკების ბოლო ფინანსურ მაჩვენებლებს, არამედ ითვალისწინებს ინფორმაციული ტექნოლოგიებისადმი მათი ინოვაციური მიდგომის მაჩვენებელს და, ასევე, ბანკის სტრატეგიულ განვითარებას, რომელიც გათვლილია გრძელვადიან პერსპექტივაზე და მიზნად ისახავს ბაზარზე ბანკის ძლიერ პოზიციონირებას. კონკურსში წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმია ბანკის სტრატეგიის და სტრუქტურის შესაბამისობა ბაზრის მომავალ განვითარებასთან.

*სს "თიბისი ბანკის" იმიჯის ფორმირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*

## სს "თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**14 სექტემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ბაღნარის, ბიჭვინთის, რევოლუციის, ჩიქვანაიას, სკოლის, ზაჰესის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**14 და 15 სექტემბერს, 11.00-დან 18.00-სთ-მდე:**
სოფლების: კოჯორის, კიკეთის, ბეთანიის და დიდების მაცხოვრებლებს.

14 სექტემბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:
ცინცაძის, ჩიქოვანის, ახალშენის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# საქართველო აღარ არის დეზერტირების ქვეყანა, ანუ "ქუდზე კაცი"

მამუკა ხერხეულიძე

ამ გზავნილით გახმიანდა პარლამენტართა ერთი ნაწილის გადაწყვეტილება, გაიარონ ერთთვიანი სამხედრო მზადება ქართულ ჯარში. ეს არის მაგალითი ყოველი ქართველისთვის, ვისაც სამხედრო სავალდებულო ასაკი გავლილი აქვს, ხოლო გული და ღონე სამშობლოს დასაცავად ერჩის.

ასე იყო საქართველოში ისტორიულად, განსაცდელის ჟამს, ქუდზე კაცი გამოდიოდა - იბრძოდნენ მეფეები, თავადები, გლეხები, სამღვდელოება და ქალებიც კი. ერთი სიტყვით, იბრძოდა ყველა, ვისაც კი ხელში იარაღის აღება შეეძლო (სხვათა შორის, ასეა დღეს ისრაელში).

ომისგან ღმერთმა დაგვიფაროს, სანამ ეკონომიკურად არ მოვძლიერდებით (ფინანსები ომის სისხლია), ანდა, ძველი რეჟიმის მსგავსად, სახელმწიფოში მოუგვარებელი, ინსტიტუციონალური თუ სოციალური პრობლემებისგან ყურადღების გადატანის მიზნით არ წამოვიწყებთ უსუსურ ომობანას. მაგრამ იმავდროულად, როგორც ძველი ბერძნები ამბობდნენ: civis pacem para belum - თუ გინდა მშვიდობა, ემზადე ომისთვის.

"ქუდზე კაცი" ჩემთვის ყველაზე საამაყო და ცოცხალი ეპიზოდებია ქართულ ისტორიაში. სავარაუდოდ, ამ ერთიანობის ლოზუნგებმა გადაგვარჩინა "ალგვას პირისაგან მიწისა", ან რომელიმე დამპყრობელ ერში გათქვეფას.

მგონი, კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს არც ერთი ხალხი, ეპოქა და ქვეყანა, რომელსაც ომის გარეშე და, შესაბამისად, მშვიდობიანად ეცხოვროს. ეს (ომისა და მშვიდობის) დუალიზმის უზენაესი კანონზომიერებაა - ბოროტი და კეთილი, სიკვდილი და სიცოცხლე, დღე და ღამე - ისინი პერმანენტულად ენაცვლებიან ერთმანეთს.

ჩვენი აზრით, ქართველებმა არ უნდა დავიჯეროთ, რომ ჩვენს მაგივრად სხვა იომებს, ან მტერი აღარ გვყავს, ან თანამედროვე გლობალიზაციისა და კოსმოსურ ეპოქაში მხოლოდ მოლაპარაკებებით დავიბრუნებთ ჩვენს ისტორიულ მიწა-წყალს.

საინტერესო სტატისტიკაა: 2003 წელს 11 პროცენტით გაიზარდა სამხედრო ბიუჯეტები მსოფლიო მასშტაბით და 1 ტრილიონი დოლარი შეადგინა. სამაგიეროდ, წინა წლებთან შედარებით, შემცირდა კონფლიქტების რიცხვი. კიდევ ერთხელ: civis pacem para belum.

მეცნიერებას, სამხედრო ბიუჯეტებს, ტექნიკას ზრდიან და სრულყოფენ ისეთი დემოკრატიული ქვეყნები, რომელთაც არც მიწები აქვთ დასაბრუნებელი და არც ჩვენნაირი (ირაციონალური, პათოლოგიური) მეზობელი ჰყავთ. რომ აღარაფერი ვთქვათ ნატო-ს წევრ ქვეყნებზე (რომელში გაწევრიანებაც, ალბათ, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა) ნეიტრალურ და ამქვეყნად სამოთხედ მიჩნეულ შვეიცარიაში ყველა მამაკაცი რეზერვისტია, მიუხედავად ასაკისა და პროფესიისა. ისინი წელიწადში ერთხელ გადიან სამხედრო წვრთნებს, სახლებში კი თავისი იარაღი აქვთ: პისტოლეტით დაწყებული და ტყვიამფრქვევით დამთავრებული.

ასეა ჩეხეთშიც: ყველა მამაკაცი თადარიგშია. თვით თანამედროვე დემოკრატიის მამად წოდებული - ვაცლავ ჰაველი, რიგით ჯარისკაცად ირიცხება ჩეხეთის რეზერვისტთა არმიაში. სწორედ ამას ნიშნავს "ქუდზე კაცი".

ვფიქრობთ, არსებობს კიდევ ერთი მთავარი კომპონენტი სახელმწიფოებს ან, თუნდაც, მამაკაცურ ურთიერთობებში - თუ ძლიერი არა ხარ, შენთან სერიოზულად მოსალაპარაკებლად არავინ დაჯდება, მით უმეტეს, კომპრომისზე არ წამოვა მოძალადე. ასე რომ, ომი და სისხლისღვრა არავის უხარია, მანიაკების გარდა (თუმცა, ასეთებიც არსებობენ, ჩვენს მეზობლად ცხოვრობენ და, მათზე ბევრად ძლიერი, სხვა რაციონალური ქვეყნები რომ არა, სისხლის მდინარეებს დააყენებდნენ. ისინი, როგორც კი შანსი ეძლევათ, საკუთარ ხალხს და ბავშვებსაც არ ინდობენ.)

ალბათ, სწორედ ამიტომ გვმართებს, ვემზადოთ ომისთვის (ოღონდ დინჯად და საფუძვლიანად), რათა დავიცვათ საკუთარი სამშობლო, ოჯახები და მომავალი თაობების მშვიდობიანი ხვალინდელი დღე.

ვფიქრობთ, ეს ჩვენი თაობის გასაკეთებელია და, რაოდენ სასიხარულოა, რომ ველირსეთ დამოუკიდებელ, სამხედრო ღირებულებებზე ორიენტირებულ ხელისუფლებას.

ქართველითა ქართველისა დამთრგუნველმა ჩვენმა მტრებმა ყოველთვის იცოდნენ, რომ ჩვენს დასამარცხებლად ჩვენი გათიშვა იყო საჭირო. აგერ, გუშინ, ჩვენივე თაობაში არ იყო, რომ ჭეშმარიტი მამულიშვილები აფხაზეთში სისხლს ღვრიდნენ, მათი მეზობლები და ნათესავები კი "საბარიგოდ" დაქროდნენ უცხოეთში?!

ჩვენ უნდა გვახსოვდეს ეს სამარცხვინო მაგალითი და ერთ მთავარ კითხვას გავცეთ პასუხი: რა სჯობს: დავუტოვო შვილს ბინა, აგარაკი, მანქანა და ვერ დავუტოვო საქართველო? თუ დავუტოვო ძლიერი და ბედნიერი სამშობლო, სადაც კაცური კაცი, ღირსებით სავსე ქალი, თავადაც შეძლებს ცხოვრების მოწყობას?!

პირველითგან იყო სიტყვა და ეს სიტყვები უკვე ითქვა საქართველოში. მადლობა ღმერთს, გავიგონეთ - საქართველო აღარ იქნება დეზერტირების ქვეყანა, ანუ, როგორც მანამდე ამბობდნენ, ხელისუფლების "გადეზერტირებამდე", ე.ი. გეორგიევსკის ტრაქტატამდე ათეული საუკუნეების განმავლობაში "ქუდზე კაცი". ჩვენთვის ეს არ ახალია, ჩვენ ეს ვიცოდით ისტორიით, გენეტიკით, სისხლით, მხოლოდ გახსენებაა საჭირო: 300 არაგველი, 9 ძმა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ალექსანდრე ბატონიშვილი, თუნდაც გუშინ ჩვენს გვერდით მებრძოლი: ლევან აბაშიძე, ირაკლი ამირეჯიბი, კოკა კლდიაშვილი, ავთო იოსელიანი, თიო გაბუნია და აგერ უკვე დღეს, სამაჩაბლოში გმირულად დაღუპული ზაზა დამენია და მრავალი სხვა ვაჟკაცი.

ჩვენ ერთობა გვჭირდება და კიდევ ერთი ასეთი ლოზუნგი: ქართველებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჩვენი სამშობლოსმიერი ძმებიდან, ზოგთან 26 საუკუნე გავატარეთ გვერდიგვერდ, ზოგთან - მეტი, ზოგთან - ნაკლები. ჩვენ მათთან საომარი არაფერი გვაქვს, ჩვენი საერთო მტერი ვინც არის, ეს ახლახან კიდევ ერთხელ გამოჩნდა ბესლანში. რუსეთმა კიდევ ერთხელ დაანახა მთელ მსოფლიოს, რომ ის არა მხოლოდ კავკასიის მტერია, არამედ, ზოგადად, კაცობრიობის და ჰუმანიზმის!

ჰოდა, ვისთან უნდა ვიყოთ ჩვენ ყველანი - საქართველოს მოქალაქეები?! ჩვენს სამშობლოსთან და უნდა გვახსოვდეს, რომ დაგვიანებული იმპერიის უკვე ჩავლილი მატარებელი მალე ამოყოფს თავს ჩიხში! ასეთია ცხოვრების ლოგიკა, ასეთია ადამიანებისა და სამშობლოთა გამტაცებლების, ტერორისტთა და ვადაგასულ იმპერიალისტთა დასასრული!

ჩვენი - ქართველი ხალხის - იმავე აფხაზის, იმავე ოსის, აზერბაიჯანელის, სომხის, რუსის, ქურთის, ბერძნის, ებრაელის... ვალია, ვიყოთ ერთად, ვიშრომოთ ერთად, ვიბრძოლოთ ერთად, გვიყვარდეს ერთმანეთი!

ქართველებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**სამკურნალო გაერთიანება "ლიგა"**

**სექსოპათოლოგიის კლინიკა ტელ: 32 21 21**

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა ქრონიკული დაავადებების ფონზე.

**ნარკოლოგიის განყოფილება ტელ: 31 73 24**

- ყველა სახის ნარკომანიის მკურნალობა;
- ალკოჰოლური აბსტინენციის მოხსნა;
- თამბაქოსაგან მყარი თავშეკავების მიღწევა;

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11

# ყველაზე ფართოდ გახელილი თვალებისთვის

მაკა ჭაიანი

*ასეთი თვალები ბავშვებს მაშინ აქვთ, როცა რაღაც ახალს, უცნობს აღმოაჩენენ. ცხოვრება მათთვის, ძირითადად, აღმოჩენაა და თვალებიც, ძირითადად, ფართოდ აქვთ გახელილი. ეს ბუნებრივი მდგომარეობაა. საშიში ისაა, თუ თვალები ჩამქრალია, თუ მათში ახლის დანახვის არც იმედი და არც სურვილი არ კიაფობს. დევნილი ბავშვების უდიდეს ნაწილს სწორედ ასეთი თვალები აქვს.*

ოთხი წელიწადია, ამ თვალების ასანთებად თბილისში მოქმედი აფხაზეთის თოჯინების სახელმწიფო თეატრი საქართველოში მოგზაურობს. არ იფიქროთ, მხოლოდ აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების მოსანახულებლად - მათი ტკივილი სამაჩაბლოელი პატარებიც არიან, ყოფილან საინგილოშიც. მათი გასტროლების მოკლე გეოგრაფია ასეთია: ზუგდიდის რაიონი, გალი, საინგილო, ნიქოზი, ხვითი... ამ ორ სოფელში თეატრი სულ ახლახან, 3 სექტემბერს იყო. სამაჩაბლოში ასვლას დასი რამდენიმე დღეში - 20 სექტემბრისთვის, საპირველზაროდ, საქართველოს თოჯინების სახელმწიფო თეატრთან ერთად აპირებს. სპექტაკლები თამარაშენის, ერედვისა და ლიახვის სხვა სოფლებში გაიმართება.

საქართველოს თოჯინების სახელმწიფო თეატრი ის ორგანიზმი აღმოჩნდა, რომელმაც აფხაზეთის თოჯინების სახელმწიფო თეატრს თავი მარტოდ, გარიყულად არ აგრძნობინა. ამ უკანასკნელის ათკაციანი დასი არა მარტო მეგობარი თეატრის შენობაში გრძნობს თავს შინაურულად, ფაქტობრივად, მისი



*უნდა გენახათ, როგორი ფართო თვალებით გვიყურებდნენ ბავშვები. თოჯინები ცოცხალი ეგონათ, სცენაზე ამოვიდნენ და თამაში დაუწყეს...*

უშუალო თანადგომით დგამს სპექტაკლებს - სახელოსნოები დევნილი დასისთვისაც ისევე ამზადებენ თოჯინებს, როგორც საკუთარი დასისთვის. ამას აფხაზეთის თოჯინების სახელმწიფო თეატრის დირექტორი პაატა ცუცქირიძე, პირველ ყოვლისა, საქართველოს თოჯინების სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელობას, ბატონ თემურ ბადრიაშვილს უმადლის.

ამ დახმარების წყალობით, ბავშვებმა, რომლებიც თითქმის ყოველდღე ისმენენ ტყვიების ზუზუნს და უფროსების პანიკურად დაძაბულ სახეებს უყურებენ, უჩვეულო სცენაზე გაცოცხლებული თოჯინები ნახეს. ბევრი მათგანისთვის ეს იყო პირველი შეხება თეატრთან და ცხოვრების სასწაულის პირველი აღმოჩენა. **"ორი სპექტაკლი ჩავიტანეთ სამაჩაბლოში,** - ბოლო გასტროლებს იხსენებს პაატა ცუცქირიძე, - **ძალზე მხიარული ზღაპრები - "უჩვეულო შეჯიბრება" და "სამი გოჭი". უნდა გენახათ, როგორი ფართო თვალებით გვიყურებდნენ ბავშვები. თოჯინები ცოცხალი ეგონათ, სცენაზე ამოვიდნენ და თამაში დაუწყეს... ეს ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია იყო მათთვის."**

თეატრს სპექტაკლების ჩვენება ცხინვალშიც ჰქონდა დაგეგმილი. იქაურ ხელისუფალთა მოთხოვნით, ერთი სპექტაკლი რუსულ ენაზე უნდა გამართულიყო, თუმცა, რუსეთში განვითარებული მოვლენების მომიზეზებით, შეთანხმება ჩაიშალა. სპექტაკლები საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეც მხოლოდ უსაფრთხოების მაქსიმალური ზომების დაცვის შემდეგ გაიმართა. **"რომ არა მხარის გამგებლის მიხეილ ქარელის, საგანგებო სიტუაციების შტაბის უფროსის გელა ზოზიაშვილისა და სოფლების გამგებლის კახა ერგემლიძის ძალისხმევა, არაფერი გამოვიდოდა,** - ამბობს პაატა ცუცქირიძე, - **25 კილომეტრში ოსებს სანგრები ჰქონდათ გათხრილი."**

სანგრებში იარაღიანი უფროსები ისხდნენ, კულტურის სახლში კი 300 ბავშვი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს სამი გოჭის თავგადასავალს. დევნილ პატარებს ამ სიამოვნებაში ერთი თეთრიც არ გადაუხდიათ - მათთვის აფხაზეთის თოჯინების სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებზე დასწრება უფასოა, მიუხედავად იმისა, აფხაზეთიდან არიან დევნილები თუ სამაჩაბლოდან. ამ კეთილშობილი მისიის განხორციელებაში თეატრს აქტიურ დახმარებას უწევენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავია და აფხაზეთის კულტურის მინისტრი სვეტლანა ქეცბა, რომელიც სამაჩაბლოს გასტროლებზე დასს თან ახლდა.

**"ჩვენ ვემსახურებით ბავშვების აღზრდას თინეიჯერების ასაკიდან ქვემოთ,** - განმარტავს პაატა ცუცქირიძე, - **მსოფლიო პრაქტიკა ამტკიცებს, რომ ამ ასაკის ბავშვების აღზრდაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი დრამატურგიას უჭირავს. სამწუხაროდ, დღეს ბავშვთა ეს კონტინგენტი საქართველოში, ფაქტობრივად, აუთვისებელია, მით უმეტეს, დევნილ ბავშვებში. ამდენად, ჩვენი მიზანია, განვითარებისთვის საჭირო და ყველაზე აუცილებელი ინფორმაცია მივაწოდოთ ქვეყნის იმ პატარა მოქალაქეებს, რომლებიც ყველაზე დიდი თვალებით უყურებენ სამყაროს. დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ საქმეში**

# აღდგა ორი წლის წინათ გაფორმებული მეგობრობა

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

ქუთაისსა და უკრაინის ქალაქ დონეცკს შორის ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას ჩაეყარა საფუძველი, რაც ორივე მხარეს მნიშვნელოვან ეკონომიკურ მოგებას მოუტანს. ამის შესახებ ქუთაისის მერიის თანამშრომლები აცხადებენ, რომლებიც რამდენიმე დღის წინ დონეცკიდან დაბრუნდნენ. უკრაინის მხარე აპირებს, ქუთაისში გახსნას სავაჭრო სახლი და საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებელი ქარხანა, რომელშიც სამასამდე ადამიანი დასაქმდება. დონეცკელები ქუთაისის სამრეწველო ობიექტების პრივატიზებაშიც აპირებენ მონაწილეობის მიღებას.

ქუთაისსა და დონეცკს შორის დამეგობრების ხელშეკრულებას ჯერ კიდევ ორი წლის წინ მოეწერა ხელი. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ უნდა შემდგარიყო ეკონომიკური თანამშრომლობის გეგმაც, თუმცა, ქუთაისის მერიის წინა ხელმძღვანელობას ამისთვის არაფერი გაუკეთებია. ისინი მხოლოდ დონეცკში ვიზიტით და იქაური დელეგაციის მიღებით შემოიფარგლნენ. ამის თვითმხილველები აცხადებენ, რომ ქუთაისის მერიამ მაშინ დონეცკელებს მხოლოდ ქეიფი და დროსტარება შესთავაზა. ხელშეკრულების ძირითადი მიზანი - ეკონომიკური თანამშრომლობა კი არავის გახსენებია. მეტიც: თავის დროზე "ახალგაზრდა ეკონომისტებმა" გაარკვიეს, რომ ქუთაისის დელეგაციის ვიზიტი დონეცკში და ასევე დონეცკელებისა ქუთაისში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. ეკონომიკური მოგება კი ნულის ტოლფასი იყო. ახალი იმპულსი დონეცკისა და ქუთაისის ურთიერთობაში ქუთაისის ყოფილი მერის ნუგზარ ფალიანის გადადგომის შემდეგ დაიწყო.

"ამ ეტაპზე აუცილებელია ახალი ხელშეკრულების ვარიანტის შემუშავება, რომელშიც ფართოდ იქნება ასახული ეკონომიკური ბლოკი. მასზე მუშაობა უკვე დაწყებულია. უახლოეს ერთ კვირაში ხელშეკრულების პროექტი გაეგზავნება დონეცკის მხარეს", - აცხდებენ ქუთაისის მერიაში. რაც შეეხება დონეცკში ქუთაისელთა ვიზიტის შედეგებს: უკრაინელებს გადაწყვეტილი აქვთ, დონეცკის სავაჭრო სახლი გახსნან ქუთაისში. წლის ბოლომდე კი გაიხსნება საყოფაცხოვრებო ტექნიკის ქარხანა "ნორდის" ქუთაისის ფილიალიც, რომელიც ამიერკავკასიისა და თურქეთის ბაზარს მოემსახურება. ეს ქარხანა გერმანელებისა და შვედების ერთობლივი ფირმაა. ისინი მაცივრებს, კონდიციონერებს, გაზქურებსა და გათბობის სისტემებს ამზადებენ. ამავე დროს დონეცკი მზადაა, ქალაქში არსებული სამრეწველო ობიექტებიდან ერთ-ერთი შეიძინოს და აამუშაოს. **"უკრაინელებს "ნორდის" ფილიალის გასახსნელად ოთხი საწარმო: ავტოქარნახა, სატრაქტორო, ავანგარდი, რეზინების საწარმო შევთავაზეთ. ისინი შეგვპირდნენ, რომ ექსპერტებს გამოგზავნიან და ადგილზე აარჩევენ. ასევე გვთხოვეს, რომ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მაღაზიისთვის ფართი გამოვუყოთ, რაც ასევე არ არის პრობლემა. ქარხანას 300-მდე ადამიანი მოემსახურება. ისინი უკრაინიაში გაივლიან მომზადებას. დონეცკელები პირველ ეტაპზე, ბაზრის ასათვისებლად, სავაჭრო საქონელზე 40 პროცენტიან ფასდაკლებას გვთავაზობენ. ასევე გაიხსნება ავიარეისი ქუთაისი-დონეცკი-სანკტ პეტერბურგი. შევთანხმდით ეკონომიკური ფორუმის მოწყობის თაობაზეც",** - განაცხადა მერიის ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელმა კოტე თევდორაძემ. მისივე განმარტებით, საქართველოში დონეცკელთა მთავარი დაინტერესების მიზანი ტურიზმია. ამ მხრივ ქუთაისის დელეგაციამ მათ საირმე და წყალტუბო შესთავაზა. უკრაინელები მინერალური წყლებითა და ღვინის ბიზნესითაც დაინტერესებულან. კონკრეტულ წინადადებებს ქუთაისის მერია ახლა ამზადებს. კოტე თევდორაძის ინფორმაციით, ქუთაისთან დამეგობრების სურვილი ქალაქ ხარკოვსაც გამოუთქვამს. ისინი ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის ბაზაზე ხარკოვის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების გამოშვებას აპირებენ. ახლახან კი ქუთაისი მერის მოვალეობის შემსრულებელმა გია გიორგაძემ ისრაელის კიდევ ერთი დამეგობრებული ქალაქის - აშკერონის მერის მოწვევა მიიღო. ქუთაისელები აშკერონელებისგან ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში ელიან დახმარებას.

bp btc SCP South Caucasus Pipeline gtz Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

# მოთხოვნა წინადადებების წარდგენაზე

**დასუფთავების აქციების ჩატარების და ნაგავსაყრელების მოწესრიგების პროგრამა ბორჯომის რეგიონში**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (SCP) ოპერატორი კომპანია ბი-პი-ს ინიციატივითა და დაფინანსებით

პროექტის განმხორციელებელი გერმანიის ტექნიკური დახმარების საზოგადოება -საერთაშორისო სერვისები **(GTZ IS)** ბორჯომის რაიონის გამგეობასთან შეთანხმებით იწვევს დაინტერესებულ კერძო კომპანიებს, მონაწილეობა მიიღონ სატენდერო პროცესში პროექტზე:

**მყარი ნარჩენების მოკლევადიანი პროგრამა ბორჯომის რეგიონში**

გამოქვეყნების თარიღი: **7 სექტემბერი 2004**

კონკურსის დახურვის თარიღი და დრო: **22 სექტემბერი 2004 წ, 15:00 სთ თბილისის დროით**

პროექტის მიზანია სანიტარული მდგომარეობის და ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესება ბორჯომსა და ბაკურიანში, სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების გზით:

- უნებართვო ნაგავსაყრელების დახურვა, გაწმენდა და ტერიტორიების რეაბილიტაცია,
- არსებული ნაგავსაყრელების და მათთან მისასვლელი გზების მოწესრიგება,
- ნარჩენების შეგროვებისა და ნაგავსაყრელების ოპერირებისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმებისა და აღჭურვილობის შეძენა,
- პერსონალის ტრეინინგი და ინსტრუქტაჟი,
- საზოგადოების ინფორმირების კომპანიის წარმართვა, ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართვის მიზნით,

პროექტის საქმიანობის სფერო, ამ მოწვევის ფარგლებში, მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

1. დასუფთავების აქცია ბორჯომში,
2. დასუფთავების აქცია ბაკურიანში,
3. ბორჯომის ნაგავსაყრელის და მასთან მისასვლელი გზის მოწესრიგება,
4. ბაკურიანის ნაგავსაყრელის და მასთან მისასვლელი გზის მოწესრიგება.

**პრეტენდენტებს, რომელთაც სურთ, მიიღონ დამატებითი ახსნა-განმარტება და კომენტარები, შეუძლიათ მიმართონ:**

**ბ-ნ იური მაისაშვილს**
**ტელეფონი: 8 93 674 809**
**ფაქსი: 8 32 420 990**
**ელფოსტა: borjomi@hotmail.com**

სრულად შევსებულ, გაფასებულ და თითოეულ გვერდზე ხელმოწერილ განაცხადთან ერთად, წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები:

1. პრეტენდენტის სამართლებრივი რეგისტრაციის დოკუმენტების დამოწმებული ასლები;
2. დოკუმენტები, რომლებიც დაამტკიცებს პრეტენდენტის კვალიფიკაციას, გამოცდილებას და საიმედოობას;
3. მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალი, რომლებიც გამოყენებული იქნება სამუშაოების შესრულებისას;
4. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია დავალიანება ბიუჯეტის წინაშე;
5. პრეტენდენტის დეკლარაცია (განცხადება) ტენდერში მონაწილეობის თაობაზე.

პრეტენდენტი პასუხისმგებელია წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

პრეტენდენტი ვალდებულია, ჩააბაროს დამკვეთს განაცხადი, შევსებული სახით, ყველა თანდანართულ დოკუმენტთან ერთად, დასრულებული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ, დაბეჭდილი კონვერტით, შემდეგი სახის მკაფიო წარწერით:

"განაცხადი დასუფთავების აქციებისა და ნაგავსაყრლების მოწესრიგების თაობაზე ბორჯომის რეგიონში"

განაცხადი უნდა ჩაბარდეს შემდეგ მისამართზე:

**გერმანიის ტექნიკური დახმარების საზოგადოების (GTZ) ოფისი,**
**თბილისი, 0160, შარტავას ქ. 41,**
**(საბურთალოსBბაზრის გვერდით)**

განაცხადის შეტანის მსურველებს შეუძლიათ წინადადების წარდგენის მოთხოვნის დოკუმენტაციის წაღება 2004 წლის 7 სექტემბრიდან შემდეგი პუნქტიდან:

**გერმანიის ტექნიკური დახმარების საზოგადოების (GTZ) ოფისი,**
**თბილისი, 0160, შარტავას ქ. 41,**
**(საბურთალოსBბაზრის გვერდით)**
**ან**
**ბი-პი-ს ბორჯომის საინფორმაციო ცენტრი**
**რუსთაველის ქ. 129**
**ბორჯომი, საქართველო**

პრეტენდენტების ვალდებულებები განაცხადთან დაკავშირებით ძალაშია 2004 წლის 31 დეკემბრამდე.

# კახელი ძალოვნები ქალებსაც იჭერენ

*კახეთში კრიმინალების წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ გრძელდება. თუმცა, რამდენად ობიექტურად ხდება დანაშაულში ეჭვმიტანილების დაკავება, კვლავ ძნელი სათქმელია. ამჯერად სპეცოპერაცია თელავის რამდენიმე სოფელში ჩატარდა და ერთდროულად რამდენიმე პიროვნება, აქედან ერთი მანდილოსანი - დალი ხიზანიშვილი დააკავეს. "24 საათის" ყურადღების ობიექტი სწორედ ეს ქალბატონი გახდა.*

გიორგი ბექუაშვილი

ცნობილ ნარკობარონს - გიორგი ბალარჯიშვილს თელავში საქმიანობა იმ დროს მოუწია, როცა ჩეჩენმა ლტოლვილებმა პანკისის ხეობაში გადმოსვლა დაიწყეს და ნარკობიზნესმაც ფეხი მყარად მოიკიდა. გამოძიების მტკიცებით, ბალარჯიშვილს ამ მეტად "მომგებიან" ბიზნესში თავისი მეუღლის ოჯახის წევრებიც ჰყავდა ჩართული. გიორგი ბალარჯიშვილს გარკვეული დროით "დასვენება" ციხის კედლებში მოუწია, თუმცა მისი "არდადეგები" მალევე დასრულდა. მისი საქმიანობის შესახებ თელავში ბოლო პერიოდში "ლეგენდებიც" დადიოდა.

როგორც თელავში ამბობენ, ბალარჯიშვილს და მის თანამოაზრეებს ხშირ შემთხვევაში პოლიცია უმაგრებდა ზურგს. გიორგი ბალარჯიშვილის ბიზნესი მას შემდეგ შესუსტდა, რაც ძველ ხელისუფლებას წყალი შეუდგა. სწორედ ამის შემდეგ გამოცხადდა მასზე ძებნა.

გიორგი ბალარჯიშვილის დასაკავებლად კახეთის სამხარეო პოლიციამ პირველი ნაბიჯი 25 ივნისს გადადგა, მაგრამ გამთენიისას მასთან სახლში მისულ ორმოცამდე სპეცრაზმელს იგი ხელიდან დაუსხლტდა. სპეცოპერაცია წარუმატებული რომ არ ყოფილიყო, ღონისძიებაში მონაწილე თელავის პოლიციამ ბალარჯიშვილის ცოლის ძმა - ნიკო ხიზანიშვილი აიყვანა. ბინის ჩხრეკისას კი პოლიციელებმა ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი" და "ფ-1" სისტემის ხელყუმბარა ამოიღეს.

ოჯახის დიასახლისი ირწმუნებოდა, რომ მის შვილს ხელყუმბარები და ნარკოტიკი პოლიციამ ჩაუდო და მისი დაკავება უკანონოდ მოხდა. დალი ხიზანიშვილი იმასაც აცხადებდა, რომ მას სპეცრაზმელებმა სახლიდან საგვარეულო ბრილიანტის ბეჭედი მოჰპარეს. ამის მტკიცება დალი ხიზანიშვილს ძალოვან სტრუქტურებშიც უწევდა.

საბოლოოდ კი, მან იმ პოლიციელების "ჩაშვება" დაიწყო, ვინც მას მოსალოდნელი სპეცოპერაციის შესახებ აფრთხილებდა. როგორც დალი ხიზანიშვილი თავდაპირველად ჩვენთან საუბარში ირწმუნებოდა, მას ამ ინფორმაციაში თელავის პოლიციის თანამშრომელი დავით ბერძნიშვილი 300 დოლარს სთხოვდა და ამის შესახებ პოლიციის უფროსმა ბაადურ გულიაშვილმაც კარგად იცოდა.

**"ბატონი ბაადურ გულიაშვილი, სანამ პოლიციის უფროსად დაინიშნებოდა, ნარკომანიასთან ბრძოლის სამსახურს ხელმძღვანელობდა. თუ ჩვენ მართლაც მთელი ოჯახი ვართ ჩართული ამ ბიზნესში, სად იყვენენ აქამდე პოლიციელები? ჩვენს ოჯახში ჩასატარებელი მოსალოდნელი სპეცოპერაციის გათქმისთვის პოლიციელმა ბერძნიშვილმა 300 დოლარი ითხოვა და მე ამის შესახებ გულიაშვილს ვუთხარი, მაგრამ რეაგირება არ მოახდინა. იქნებ იმიტომ დახუჭა ბატონმა ბაადურმა თვალი, რომ აქიდან მასაც ხვდებოდა წილი? არადა, 23 ივნისს მე და ბატონი ბაადური ერთმანეთს შევხვდით და ვთხოვე, რომ თუ მართლაც შემოვიდოდნენ, ნარკოტიკი არ დაედოთ. მაინტერესებს, როცა ადამიანს აფრთხილებენ მოსალოდნელი ჩხრეკის შესახებ, ამ დროს გაყოფს ყულფში თავს, თუ, პირიქით, ყველანაირ ნივთმტკიცებას გააქრობს?"** - კითხულობდა ხიზანიშვილი. ამ ბრალდებას მაშინ თელავის პოლიციის შეფი არ გამოხმაურებია. ის, რომ ხიზანიშვილის ნათქვამი სრული აბსურდია, ამის შესახებ გულიაშვილმა კომენტარი მას შემდეგ გააკეთა, როცა დალი ხიზანიშვილი წინასწარი დაკავების საკანში აღმოჩნდა.

დალი ხიზანიშვილი კახეთის სამხარეო პოლიციამ ორი დღის წინ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, საკუთარ სახლში დააკავა. როგორც პოლიცია აცხადებს, ბინის ჩხრეკისას მას ორი პაკეტი სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი" აღმოაჩნდა. როგორც თელავის პოლიციის უფროსი ბაადურ გულიაშვილი ირწმუნება, ხიზანიშვილების დიასახლისი, სიძის მსგავსად, ნარკოტიკის რეალიზებით ირჩენდა თავს: **"ჩვენთან შემოვიდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ დალი ხიზანიშვილმა ერთ-ერთ მოქალაქეს "ჰეროინი" მიჰყიდა. მან კი მოხმარებაზე უარი განაცხადა და ამის შესახებ ჩვენ გვაცნობა. რაც შეეხება ქალბატონ დალის ბრალდებას ჩემ მიმართ, ის აბსურდული და სასაცილოა, თუმცა გეტყვით, რომ მე მას შევხვდი და ვუთხარი, რომ ამ საქმეს შეშვებოდა"**, - ამბობს თელავის პოლიციის უფროსი.

დალი ხიზანიშვილის მსგავსად, ორი დღის წინ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დააკავეს რუისპირში მცხოვრები ვანო ხანჯალიაშვილი, ბუშეტელი გოჩა ოთიაშვილი, აკურელი გოჩა წამალაშვილი, ყარაჯალელი თემურ აჯიოღლი და თელაველი ალიკა ბაზერაშვილი, რომელთა ბინიდან ამოღებულია სხვადასხვა სახის იარაღი, ნარკოტიკული ნივთიერებები და "ფ-1" სისტემის ხელყუმბარა. ასევე დაკავებულია მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილი, კახეთში "აღორძინების კავშირის" ყოფილი თავმჯდომარე თემურ არაბული. ბოროტმოქმედთა და დამნაშავეთა დასაკავებლად კი ასეთ ფათომასშტაბიან სპეცოპერაციებს კახეთის სამხარეო პოლიცია უახლოეს დღეებშიც გეგმავს.



# საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

**ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს**

თეთრიწყაროს რაიონში, გუდარეხის მონასტრის XIII საუკუნის მთავარი ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო წინადადებასა და პროექტირებაზე

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ნებისმიერმა პროფესიონალმა არქიტექტორმა, კონსტრუქტორმა და პროფესიონალთა ჯგუფმა, რომელიც ზედმიწევნით გაითვალისწინებს სარესტავრაციო V სარეაბილიტაციო სამუშაოს სპეციფიკას, მეთოდოლოგიას და გააჩნია სათანადო ლიცენზია.

განაცხადი უნდა შეიცავდეს:

ინფორმაციას განმცხადებლის კვალიფიკაციის შესახებ, წინადადებას გუდარეხის მონასტრის მთავარი ტაძრის დაზიანებული სახურავის განახლების შესახებ (მასალა, ტექნიკური დეტალები, ხარჯთაღრიცხვა), კედლების მდგომარეობის შესწავლისა და დაზიანებათა რეაბილიტაციის მეთოდებზე წინადადებას, პროექტის შედგენისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვას (ბიუჯეტს), პროექტირებისათვის საჭირო სამუშაო გეგმას (დროითი ხანგრძლივობა, ვადები).

გამარჯვებული საპროექტო წინადადება შეირჩევა პროფესიონალიზმის, შემოთავაზების სამეცნიერო დასაბუთების, ფასის, ძეგლის დაცვისა თუ რეაბილიტაციის ოპტიმალური მეთოდიკის კრიტერიუმების გათვალისწინებით.
კონკურსში გამარჯვებულ ავტორი თუ ავტორთა ჯგუფი მიღებს დაკვეთას საპროექტო სამუშაოებზე.
პროექტის მიხედვით ძეგლზე შესასრულებელ ფიზიკურ სამუშაოებზე გამოცხადდება ცალკე ტენდერი, რომელში მონაწილეობის მიღების საშუალება ექნებათ პროექტის შემსრულებლებს.
შესაძლებელია პროექტის ავტორ(ებ)ის არქიტექტურული მეთვალყურეობის უზრუნველყოფაც.

შემოთავაზების ბოლო ვადაა: 1 ოქტომბერი, 2004 წელი.
საკონკურსო კომისია განაცხადს განიხილავს 10 ოქტომბრამდე.

**განაცხადების მიღება: სამშაბათს და პარასკევს 11-დან-15 საათამდე**
**მისამართი: საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტი, სანაპიროს ქ.N4, ოთახი N 404**

---

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**
**ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს**

უფლისციხის კლდეში ნაკვეთ კომპლექსთან მისასვლელი ხიდის რეაბილიტაციის საპროექტო წინადადების შესარჩევად

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ნებისმიერმა ლიცენზირებულმა, პროფესიონალმა არქიტექტორმა, კონსტრუქტორმა და პროფესიონალთა ჯგუფმა, რომელთაც გააჩნიათ სათანადო ლიცენზია.

განაცხადი უნდა შეიცავდეს:

განმცხადებლის კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციას, უფლისციხესთან მისასვლელი ხიდის აღდგენის შესახებ საპროექტო წინადადებას (A-4 ფორმატზე წარმოდგენილი), რომელმაც უნდა უზრუნველყოს: ერთადერთი მისასვლელი გზის აღდგენა და ტურისტთა ნაკადის გამტარიანობა, იქვე გამავალი სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია, მდინარე მტკვრის მახლობელი სანაპიროს დაცვა შემდგომი ჩამოშლისაგან. ასევე, განაცხადს უნდა დაერთოს საპროექტო სამუშაოებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი) და პროექტირებისათვის საჭირო სამუშაო გეგმა (დროითი ხანგრძლივობა, ვადები).

კონკურსში გამარჯვებული საპროექტო წინადადება შეირჩევა: გადაწყვეტის ოპტიმალურობის, ხიდის ძეგლთან თავსებადობის, ფასის, საინჟინრო გარანტიების კრიტერიუმებით.
გამარჯვებული საპროექტო წინადადების ავტორ(ებ)ს მიეცემათ დაკვეთა პროექტირებაზე.
პროექტის მიხედვით ჩასატარებელ სამუშაოებზე შესაძლებელია ცალკე კონკურსის (ტენდერის) გამოცხადება.

შემოთავაზების ბოლო ვადაა: 5 ოქტომბერი, 2004 წელი
საკონკურსო კომისია განაცხადს განიხილავს 15 ოქტომბრამდე.

**განაცხადების მიღება: სამშაბათს და პარასკევს 11-დან-15 საათამდე**
**მისამართი: სანაპიროს ქ.N4, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტი, ოთახი N 404**

---

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**
**ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს**

თეთრიწყაროს რაიონში, ჩხიკვთის სიონის XVII საუკუნის ტაძრის შემდგომი სტრუქტურული დაზიანების შეჩერებისა და სტაბილიზაცია-რეაბილიტაციის სამუშაოების შესახებ საუკეთესო საპროექტო წინადადების შესარჩევად

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს საპროექტო, სამშენებლო თუ სხვა შესაბამისი პროფილის კერძო ან სახელმწიფო ორგანიზაციამ, რომელსაც გააჩნია სათანადო ლიცენზია. ასევე ნებისმიერმა ლიცენზირებულმა პროფესიონალმა არქიტექტორმა ან კონსტრუქტორმა, რომელიც შექმნის პროფესიონალთა ჯგუფს. განმცხადებელს უნდა შეეძლოს ზედმიწევნით გაითვალისწინოს სარესტავრაციო Vსარეაბილიტაციო სამუშაოსთვის აუცილებელი სპეციფიკა და მეთოდოლოგია.
პროექტი უნდა შეიცავდეს მოსაზრებას:
- ტაძრის კედლების მდგომარეობის შესწავლისა და დაზიანებათა რეაბილიტაციის მეთოდების შესახებ
- დაზიანებული კედლების შემდგომი რღვევის შეჩერებისა და სტაბილიზაციის ღონისძიებების შესახებ
- თავდაპირველი სტრუქტურის აღდგენის მეთოდიკის შესახებ
- კონსერვაციისა თუ რესტავრაციის შესახებ წინადადებას (მასალა, ტექნიკური დეტალები)
- სამუშაო ჯგუფის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას პროფესიების მიხედვით

ასევე:
- პროექტირებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვას (ბიუჯეტს)
- პროექტირებისათვის საჭირო სამუშაო გეგმას (დროითი ხანგრძლივობა).

გამარჯვებული საპროექტო წინადადება შეირჩევა პროფესიონალიზმის, შემოთავაზების სამეცნიერო დასაბუთების, ფასის, ძეგლის დაცვისა თუ რეაბილიტაციის ოპტიმალური მეთოდიკის კრიტერიუმების გათვალისწინებით.
გამარჯვებული საპროექტო წინადადების ავტორსა თუ ავტორთა ჯგუფს მიეცემა საპროექტო სამუშაოებზე დაკვეთა. პროექტის მიხედვით ძეგლზე ფიზიკურ სამუშაოებზე შესაძლებელია ტენდერის გამოცხადება, პროექტთა ავტორებისათვის კი არქიტექტურული ზედამხედველობის უზრუნველყოფა.
შემოთავაზების ბოლო ვადაა: 1 ოქტომბერი, 2004 წელი
საკონკურსო კომისია განაცხადს განიხილავს 10 ოქტომბრამდე.

**განაცხადების მიღება: სამშაბათს და პარასკევს 11-დან-15 საათამდე**
**მისამართი: სანაპიროს ქ.N4, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი, ოთახი N 404**

---

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**
**ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს**

კასპის რაიონში, რკონის მონასტრის წმ. სვიმეონ მესვეტის XIV საუკუნის სამსართულიანი ეკლესიის გადარჩენის შესახებ საუკეთესო საპროექტო წინადადებაზე

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს საპროექტო, სამშენებლო თუ სხვა შესაბამისი პროფილის კერძო ან სახელმწიფო ორგანიზაციამ, რომელსაც გააჩნია სათანადო ლიცენზია. ასევე ნებისმიერმა ლიცენზირებულმა პროფესიონალმა არქიტექტორმა ან კონსტრუქტორმა, რომელიც შექმნის პროფესიონალთა ჯგუფს. განმცხადებელს უნდა შეეძლოს ზედმიწევნით გაითვალისწინოს სარესტავრაციო Vსარეაბილიტაციო სამუშაოსთვის აუცილებელი სპეციფიკა და მეთოდოლოგია.
პროექტი უნდა შეიცავდეს მოსაზრებას:
- ტაძრის კედლების მდგომარეობის შესწავლისა და დაზიანებათა რეაბილიტაციის მეთოდების შესახებ
- დაზიანებული კედლების შემდგომი რღვევის შეჩერებისა და სტაბილიზაციის ღონისძიებების შესახებ
- თავდაპირველი სტრუქტურის აღდგენის მეთოდიკის შესახებ
- კონსერვაციისა თუ რესტავრაციის შესახებ წინადადებას (მასალა, ტექნიკური დეტალები)
- სამუშაო ჯგუფის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას პროფესიების მიხედვით

ასევე:
- პროექტირებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვას (ბიუჯეტს)
- პროექტირებისათვის საჭირო სამუშაო გეგმას (დროითი ხანგრძლივობა).

გამარჯვებული საპროექტო წინადადება შეირჩევა განმცხადებლის პროფესიონალიზმის, შემოთავაზების სამეცნიერო დასაბუთების, ღირებულების, ძეგლის დაცვისა თუ რეაბილიტაციის ოპტიმალური მეთოდიკის კრიტერიუმების გათვალისწინებით.
გამარჯვებული საპროექტო წინადადების ავტორსა თუ ავტორთა ჯგუფს მიეცემა საპროექტო სამუშაოებზე დაკვეთა. პროექტის მიხედვით ძეგლზე ფიზიკურ სამუშაოებზე შესაძლებელია ცალკე ტენდერის გამოცხადება, პროექტთა ავტორებისათვის კი არქიტექტურული ზედამხედველობის უზრუნველყოფა.
შემოთავაზების ბოლო ვადაა: 5 ოქტომბერი, 2004 წელი
საკონკურსო კომისია განაცხადს განიხილავს 12 ოქტომბრამდე.

**განაცხადების მიღება სამშაბათს და პარასკევს 11-დან-15 საათამდე**
**მისამართი: სანაპიროს ქ.N4, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი, ოთახი N 404**

---

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**
**ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს**

თრიალეთში, წალკის რაიონში, სოფელ ბურნაშეთის XIII საუკუნის ტაძრის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო წინადადებასა და პროექტირებაზე.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ნებისმიერმა პროფესიონალმა არქიტექტორმა, კონსტრუქტორმა და პროფესიონალთა ჯგუფმა, რომელიც ზედმიწევნით გაითვალისწინებს სარესტავრაციო V სარეაბილიტაციო სამუშაოს სპეციფიკას, მეთოდოლოგიას და გააჩნია სათანადო ლიცენზია.

განაცხადი უნდა შეიცავდეს:

ინფორმაციას განმცხადებლის კვალიფიკაციის შესახებ, წინადადებას ბურნაშეთის ტაძრის დაზიანებული სახურავის განახლების შესახებ (მასალა, ტექნიკური დეტალები, ხარჯთაღრიცხვა), წინადადებას კედლების მდგომარეობის შესწავლის შესახებ, პროექტის შედგენისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვას (ბიუჯეტს), პროექტირებისათვის საჭირო სამუშაო გეგმას (დროითი ხანგრძლივობა, ვადები).

გამარჯვებული საპროექტო წინადადება შეირჩევა პროფესიონალიზმის, შემოთავაზების სამეცნიერო დასაბუთების, ხარჯთაღრიცხვის, რეაბილიტაციის ოპტიმალური მეთოდიკის კრიტერიუმების გათვალისწინებით.
კონკურსში გამარჯვებულ ავტორსა თუ ავტორთა ჯგუფს მიეცემა საპროექტო სამუშაოებზე დაკვეთა.
პროექტის მიხედვით ძეგლზე შესასრულებელ ფიზიკურ სამუშაოებზე გამოცხადდება ცალკე ტენდერი, რომელში მონაწილეობის მიღების საშუალება ექნება პროექტის შემსრულებლებს.
შესაძლებელია პროექტის ავტორ(ებ)ის არქიტექტურული მეთვალყურეობის უზრუნველყოფაც.

შემოთავაზების ბოლო ვადაა: 20 სექტემბერი, 2004 წელი
საკონკურსო კომისია განაცხადს განიხილავს 27 სექტემბრამდე.

**განაცხადების მიღება სამშაბათს და პარასკევს 11-დან-15 საათამდე**
**მისამართი: სანაპიროს ქ.N4, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი, ოთახი N 404**

## საქართველოს ახალგაზრდა ბანკირთა ასოციაცია

# თბილუნივერსალბანკი

*საბანკო მონიტორინგის დღევანდელი სტუმარია სააქციო საზოგადოება "თბილუნივერსალბანკი". ახალგაზრდა ბანკირთა ასოციაციის კითხვებს პასუხობს "თბილუნივერსალბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ტარიელ გვალია.*

ნინო გაჩეჩილაძე

**- პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ლარის კურსთან დაკავშირებით უნდა გკითხოთ - რა ხდება, რამდენად აისახება ეს პროცესი საბანკო სექტორზე და უბრალო ოჯახებზე?**

- არაფერი ტრაგიკული არ ხდება. ეს არის საინტერესო და არაორდინალური მოვლენა. ამავდროულად ობიექტური მოვლენაცაა, ეს არის თვალსაჩინო ქეისი, რომელზეც შეიძლება ისწავლოს მოსახლეობამ. ეს არ იყო კურსის ვარდნა, რომლითაც ვიღაც ხეირობს, ეშმაკობს. ეს არის ობიექტური მოვლენა თავისი პლიუსებითა და მინუსებით.

**- მოსახლეობას აქვს საბაბი ნერვიულობისთვის? რას ურჩევთ მათ - გადაიტანონ თუ არა დეპოზიტები ლარებში?**

- არა, სანერვიულო მოსახლეობას არა აქვს, თუმცა დეპოზიტები შეუძლიათ გადაიტანონ ლარებში. არა იმიტომ, რომ ეს ბანკირებს აწყობთ. ეს ფსიქოლოგიური მომენტია. 1998 წლიდან ერთი დოლარი უდრიდა 2 ლარს, დაახლოებით ამ შუალედში მერყეობდა. ახლა სიტუაცია შეიცვალა და დოლარი გაუტოლდა 1.7 ლარს. ეს გამოიწვია რამდენიმე ფაქტორმა. პირველი: საგადასახადო შემოსავლების ზრდამ, რაც გამოწვეული იყო შემოსავლების ლეგალიზებით; ერგნეთმა, რომელიც დაიკეტა; ბაქო ჯეიჰანის პროექტმა და ასე შემდეგ. უარყოფითი მხარე ყველასათვის ნათელია: მოსახლეობის ერთი ნაწილი, არა მხოლოდ მაღალი ფენა, იღებს შემოსავლებს დოლარებში, ყოველ შემთხვევაში, ზოგს შემოსავალი აქვს ფიქსირებული დოლარებში, მათთვის ეს მოვლენა, ცხადია, არ არის დადებითი, რადგან თუ ადრე ას დოლარში აიღებდნენ ორას ლარს, ახლა ეს გაუტოლდა 180 ლარს.

მეორე მხრივ ტრანსფერები, რომლებიც საქართველოს გარედან შემოდის. ეს მნიშვნელოვანი თანხაა, საქართველოს მოუწევს ამაზე დაფიქრება, ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანია გასული საქართველოდან და მნიშვნელოვანი ტრანსფერები შემოდის მათგან. ამ ხალხს ჯერ ვერ ჩამოვიყვანთ, რადგან რომ ჩამოვიყვანოთ, ერთი მხრივ, სად დავასაქმოთ? ადგილობრივი მრეწველობა არ არსებობს. მეორეს მხრივ, ეს ტრანსფერები შეწყდება. ეს პრობლემაა. მოსახლეობის ნაწილი, რა თქმა უნდა, დაზარალდა. მოსახლეობის 15 პროცენტი არის საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე. 15-დან 50 პროცენტამდე არის საშუალო ფენა. ამის ქვემოთ არის ორი ფენა, საშუალოზე დაბალი და ულარიბესი. ამ პროცესმა რა თქმა უნდა დაარტყა 50 პროცენტს.

**- ლარის კურსის გამყარებამ რატომ არ გამოიწვია ფასების შემცირება?**

- ფასები მანამდე გაიზარდა, ვიდრე ასეთი მაღალი ტემპით დაიწყებოდა კურსის ცვლილება, შემდეგ კი ეს პროცესი კურსის ცვლილებამ ჩაანაცვლა.

**- არაპროგნოზირებადი კურსი რამდენად ახდენს გავლენას ბანკებზე, მათ შემოსავლებზე? ბანკებს აქტივები აქვთ დოლარებში, რამდენად აისახება არაპროგნოზირებადი კურსის პრობლემა კერძოდ "თბილუნივერსალბანკზე"?**

- აისახება მტკივნეულად. ჩვენი ძირითადი აქტივები არის დენომინირებული ვალუტაში. სისტემის შედგებოდა 87 პროცენტი დოლარისგან, ეს იყო სისტემის შიდა პროპორციები. ახლა ეს ჩამოვიდა 80 პროცენტამდე ამ პროცესების გამო. ანუ ადამიანი აღარ ცდილობს პირველივე შემთხვევაში თავიდან მოიშოროს ლარი, თუ ეს პროცესი გაგრძელდება - ეს ზოგადად სისტემისთვის კარგია. როცა დოლარიზაციის კოეფიციენტი არის 85 პროცენტი, ეს სერიოზული სავალუტო რისკია. ლარის გაუფასურების შემთხვევაში გაცემული სესხების დაბრუნების პრობლემა დგება, რადგან თუ ადამიანმა აიღო სესხი დოლარში, დოლარშივე უნდა დააბრუნოს, მაგრამ თუ დოლარში არ აქვს შემოსავალი, შესაბამისად მას მეტი ლარი აქვს მოსატანი სესხის დასაფარად და ამით ექმნება მას პრობლემები. ახლა მიდის უკუპროცესი. უფრო რთული, რადგან ეს პროცესი ინფლაციურ მოლოდინს ალვივებს. ადამიანი ელოდება და გადასდებს ამ მოლოდინს სხვებს.

**- რამდენად მდგრადია საბანკო სისტემა და, საერთოდ, საბანკო სფეროს განვითარების დონეს როგორ შეაფასებდით?**

- ის, რომ აქტივები დენომინირებულია არაეროვნულ ვალუტაში, არის პრობლემა, მაგრამ ეს არ არის ბანკების პრობლემა. რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ ბანკებისთვის? უკაცრავად, მაგრამ არაფერი. მან არ უნდა შემოუშვას ბაზარზე ის ოპერატორები, რომლებიც წესებს არ იცავენ. მეტი არაფერი. სხვა მხრივ ბაზარი თავისუფალი უნდა იყოს. არასწორი ოპერირების უფლება არ უნდა მიეცეს არც ერთ კომერციულ ბანკს. რამდენად მდგრადია საბანკო სისტემა? - ვფიქრობ, რომ მდგრადია. საბანკო სისტემა 15 წლისაა, მაგალითად, მედია ბიზნესს არა აქვს ამხელა ისტორია. არის რამდენიმე საბანკო ინსტიტუტი, რომელიც თავისი კონსტრუქციით არის მდგრადი. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ბანკს პროდუქტები და კადრები ჰქონდეს კარგი. სისტემა მდგრადია, რადგან პირველი დახმარებები წავიდა საბანკო სექტორზე. დონორებს კარგად ესმოდათ, რომ ეს იყო ქვეყნის ეკონომიკის ღერძი. ეს არ იყო ფულადი დახმარება, იყო ტექნიკური სახის დახმარება. დახმარება კარგია, როცა მიმღები ამას იღებს. ცენტრალურმა ბანკმა შეასრულა დიდი როლი. კომერციული საბანკო სექტორი არ არის მის დაქვემდებარებაში, ანუ არა გვაქვს იერარქიული სისტემა, ის არის მთავრობის ბანკი. მინდა აღვნიშნო, რომ ქართულმა მთავრობამ, რომელიც იყო არაადეკვატური უმრავლეს შემთხვევაში, მოახერხა არ ჩარეულიყო ცენტრალური ბანკის ფუნქციებში, არ იყო დაწოლა.

**- ეს, ალბათ, სავალუტო ფონდის დამსახურებაცაა?**

- რა თქმა უნდა, მაგრამ მათ არ დაუჯერეს ფონდს ენერგეტიკის სფეროში, აქ კი დაუჯერეს.

**- რამდენად ხელშემწყობი იყო ცენტრალური ბანკის პოლიტიკა? თქვენი პრობლემების შემთხვევაში რამდენად ადვილად წყვეტთ ამ პრობლემებს, განსაკუთრებით - საკანონმდებლო თვალსაზრისით?**

- რთულად. რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად არ იყო. საბანკო სექტორი არ არის ხალხმრავალი, ყველა ერთმანეთს იცნობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცენტრალური ბანკი ფამილიარულ და შინაურულ ურთიერთობაში ვერ შევა ბანკებთან. შესაბამისად, მათი ხისტი პოზიცია ხელს უშლიდა ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტას. მე კარგად მესმის და ლმობიერად ვუდგები ამ საკითხს.

**- რაც შეეხება კონკრეტულად "თბილუნივერსალბანკს" - რატომ მოდის მომხმარებელი თქვენთან? რა კონკურენტული უპირატესობა გაქვთ, რაც იზიდავს მომხმარებელს?**

- მუდმივად არის საუბარი, რომ მომხმარებელს არა აქვს ბანკების ნდობა. არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დეპოზიტების მოცულობა იზრდება საშუალოდ 20 პროცენტით წლიურად. ეს მცირე სიდიდეა, მაგრამ ზრდა მაინც სახეზეა. საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე მცირდება, მაკროპარამეტრები წესრიგშია, ტემპი კი ნელია. სესხებზე საპროცენტო განაკვეთები უფრო სწრაფად მცირდება, ვიდრე დეპოზიტებზე. მაგრამ ამ ფაქტორებმა მაინც არ უბიძგეს საბანკო სექტორის გარეთ არსებულ ფულს შემოსულიყო საბანკო არხებში. საბანკო სექტორში მოგება კაპიტალზე არის 18-20 პროცენტი. არც ერთი სხვა ბიზნესი არ არის თანახმა მოგებაზე ამ პროცენტით. 30-40 პროცენტი უნდათ. ჩვენთან, როგორც წესი, თვეში უნდათ 20 პროცენტიანი მოგება. ბრუნვა უმეტეს შემთხვევაში არის "მარცხენა", საბანკო სექტორში კი არ არის "მარცხენა" ბრუნვა. ნაკლებად წარმომიდგენია ბანკში ქრთამის აღება. აქ ნდობის მომენტი ნაკლებად არის. ვისაც დანაზოგი არა აქვს, მისი ნდობის ხარისხი ნაკლებად საინტერესოა, ხოლო ვისაც აქვს დანაზოგი - ის პირდაპირ ინვესტიციებს აკეთებს. მოგების მარჟა იქ მაღალია. პოტენციურად საბანკო სექტორს აქვს ზრდის დიდი პოტენციალი. მაგრამ ეს ხდება ძალიან ნელა. ლატვიის ბანკებში 12–ჯერ მეტი თანხაა შეტანილი, ვიდრე საქართველოში. მოსახლეობა იქ ნაკლებია, ტერიტორიაც ნაკლებია. საქართველოში საბანკო სექტორს შეუძლია გაიზარდოს 10-ჯერ. საბანკო სექტორი არის ძვირიანი. ტექნიკა ძვირია, კადრი ძვირია, ამიტომ მარჟა დაბალია. მიუხედავად ძალიან დაბალი მარჟებისა, ბანკები მუშაობენ და ქვეყნისათვის დიდ საქმეს აკეთებენ.

**- საკრედიტო ბიუროზე და დეპოზიტების დაზღვევაზე რას ფიქრობთ. თუ დაგეხმარებათ, და რაში დაგეხმარებათ?**

- დეპოზიტების დაზღვევა შეგნებულად იყო გაჭიანურებული, რადგან ბანკები იყვნენ არათანაბრად მომზადებულნი ამისთვის, რადგან სხვადასხვა წარსული და დღევანდელობა ჰქონდათ. მიდგომა იყო ასეთი: "მოდით ჯერ ბოლომდე გაიწმინდოს ბაზარი"; "რამდენი მოთამაშეა ბაზარზე", ან "მოდით არ იყოს სავალდებულო". დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღება კიდევ უფრო დააჩქარებს კრისტალიზაციის პროცესს. მისი შემოღება დაგვიანებულია. შეგვეძლო თუ არა ადრე ამის გაკეთება - ეს სხვა საკითხია.

**- ვინ უნდა შექმნას საკრედიტო ბიურო, ბანკებმა თუ ნეიტრალურმა ორგანიზაციამ?**

- ეს არანაკლებ მტკივნეული საკითხია. ადრე ეს შეუძლებელი იყო. ბანკების ნაწილი არ იყო მზად. "იქნებ კარგებზე მივაწოდოთ და ცუდებზე არა". ეს ჩემთვის გაუგებარია. კარგი საკრედიტო ისტორიის მქონე კლიენტისათვის ეს კარგია. ცუდი ისტორიის კლიენტს, რა თქმა უნდა, არ აქვს ინტერესი მის შესახებ არსებობდეს ინფორმაცია. ვინ გააკეთოს? ბანკები გავერთიანდით, მაგრამ შემდეგ დავანებეთ თავი. ასე ხდება ხოლმე ქართველებში. - ენთუზიაზმით მოვეკიდებით და საქმე მეთოდურად და სისტემურად არ მიგვყავს ბოლომდე. ბოლო დროს ამ მიმართულებით გარკვეული წინსვლები არის. არის ტექნიკური დახმარების იმედი. საერთოდ, ეს საკმაოდ რთული საკითხია. არ არსებობს უნივერსალური რეცეპტი. შეიძლება ბანკებმაც გააკეთონ ასეთი ბიურო.


*ნინო ოხანაშვილი, თემურ აბულაძე.*

**- "თბილუნივერსალბანკი" მზარდი ბანკია. წლევანდელი წელი არის ნაყოფიერი. რაში მდგომარეობს თქვენი წარმატება, რა ფაქტორებს გამოჰყოფდით?**

- ბანკში მომხმარებელი არ მოდის. ეს ხომ არ არის მეღვინეობა, რომ მაღაზიაში შევიდეს და ღვინო იყიდოს. თუ არ სჭირდება, არ მოდის. ანგარიშსწორების უნაღდო ფორმები არ არის გავრცელებული. ბანკებმა დანერგეს საკრედიტო ბარათები, რომელიც, ჯერჯერობით, წამგებიანი პროდუქტია, მაგრამ აუცილებელია, რომ ეს პროდუქტი ბანკებმა კლიენტებს შესთავაზონ. თუ ფულის მიმოქცევა არის უნაღდო, მაშინ ბრუნვაც დიდია, ნაშთებიც და ა.შ. ახლა "თბილუნივერსალბანკი" ხდება 9 წლის და ამ დროის განმავლობაში გვინდოდა კარგი კონსტიტუცია შეგვედგინა. რა თქმა უნდა, შეგვეძლო მეტი რისკის ფასად მეტი ფულის შოვნა, მაგრამ ჩვენი გადაწყვეტილებები, როგორც წესი, გრძელვადიანი და სტრატეგიული იყო, რომელთა შედეგებსაც ახლა ვიმკით. გვინდა მეტი კარგი კადრი მოვიზიდოთ, მარკეტინგი ავამაღლოთ, ცნობადობაც ავამაღლოთ, ამას სჭირდება თანხები.

**- თქვენი აზრით, რეალურად რამდენი მოთამაშეა საბანკო სისტემაში?**

- ბანკი არის ბევრი, ფუნქციონირებს - 15, 16, ბანკს ჰგავს - 12, სერიოზულია - 8.

**- ვინ არიან თქვენი ძირითადი კონკურენტები?**

- "პროკრედიტბანკი" და "საქართველოს ბანკი".

**- საპროცენტო განაკვეთების მკვეთრ დაცემაზე რას ფიქრობთ?**

- ზოგის მხრიდან ეს ჰგავს დემპინგს. 12 პროცენტიანი საკრედიტო რისკი საქართველოში არ არის.

**- თქვენი საფასო პოლიტიკა როგორია?**

- ჩვენ ამ დემპინგს არ გავყვებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პროცენტის შემცირება არ მოგვიწევს. ცხადია - მოგვიწევს.

**- ამ მძიმე კონკურენციის პირობებში როგორ ახერხებთ კლიენტების შენარჩუნებას?**

- ჩვენი მიზნობრივი სეგმენტია მცირე და საშუალო ბიზნესი. ძირითადად ჩვენი პროდუქტები ამ სეგმენტისთვის არის გათვლილი და ხარისხიც მაღალია.

**- თქვენ პირველებმა დაიწყეთ პირადი ბანკირების ინსტიტიტის შემოღება. მზად იყო კლიენტურა ამისთვის?**

- ჩვენ ძალიან ვამაყობთ ამ პროდუქტით, 9 თვე ამაზე ვმუშაობდით. რუსებმა ამ პროდუქტს რუსული სპეციფიკა შესძინეს, იქ პირადი ბანკირი შვებულებას გიგეგმავთ, საზღვარგარეთ სწავლას და ა.შ. ჯერჯერობით, ეს ჩვენთან არ არის. მცირე და საშუალო სეგმენტს რაც სჭირდება, იმას ვთავაზობთ. ეს არ არის ძვირიანი პროდუქტი. თავიდან ზოგმა ჩათვალა, რომ ეს იყო მთავარი ბუღალტერი, ზოგმა კურიერი, ზოგმა ფინანსური მენეჯერი. არა, არც ერთი არ არის.

**- ფასიანია ეს მომსახურება?**

- დიახ ფასიანია, მაგრამ ეს არის ნომინალური ფასი.

**- მცირე და საშუალო ფენა ძირითადად არის თბილისში კონცენტრირებული, მაგრამ არის რეგიონებშიც, იქ კი თქვენ ფილიალების ფართო ქსელი არ გაქვთ. არ არის ეს თქვენთვის პრობლემა?**

- გარკვეულწილად, ეს არის პრობლემა, მაგრამ რეგიონები თავისი შემოსავლებით ძალიან დაბლა დგანან. თუმცა შეინიშნება სიტუაციის გაუმჯობესება. ამაზე მეტყველებს ის რეაქცია, რაც ბანკებმა მოახდინეს ბათუმზე. გვქონდა არჩევანი - მაშინვე გაგვეხსნა ფილიალი ან კარგად მოვმზადებულიყავით და ახალ წელს შევსულიყავით. ჩვენ მეორე გზა ავირჩიეთ.

**- თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ბანკის დამფუძნებლის მონაწილეობა მის მართვაში?**

- თუ ბანკის მართვაზეა ლაპარაკი, ცხადია, დამფუძნებელმა არ უნდა მართოს იგი. რაც შეეხება მენეჯმენტის დაკომპლექტებას, სწორ მოტივირებას, აქ დიდი მნიშვნელობა აქვს დამფუძნებელს. ვინც ეს კარგად გააცნობიერა, სწორედ მათ მიაღწიეს წარმატებას. თუმცა, პარტნიორებმაც უნდა იცოდნენ საბანკო საქმიანობა. ერთი პერიოდი მე აღმასრულებელი დირექტორიც ვიყავი და პარტნიორიც. ახლა მთელი შეგნებით ვცდილობ, რომ აღმასრულებელ საქმიანობაში არ ჩავერიო.

**- რა იყო ის ძირითადი ფაქტორები, რამაც დაარწმუნა EBRD, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი - საკმაოდ კონსერვატორული ორგანიზაცია - რომ თქვენთან განეხორციელებინა ინვესტიცია?**

- ჩვენ 1998 წელს მივიღეთ 1 მილიონიანი საკრედიტო ხაზი ამ ბანკისაგან. მაშინ ჩვენ ძალიან ახალგაზრდა ბანკი ვიყავით. ეტყობა, მაშინდელმა მენეჯმენტმა მოაწონა ბანკი. ჩვენ გვაქვს მიზანი შევქმნათ გამართული ფინანსური ინსტიტუტი, კარგი კადრებითა და მოტივაციით, მისი სიდიდისაგან დამოუკიდებლად.

**- გამსხვილების პროცესი საბანკო სისტემაში - რამდენად სწრაფად და სწორად მიდის ის?**

- გამსხვილება მიდის, მაგრამ არა მერჯერების ხარჯზე. ჯერ საქართველოში მერჯერი არ მომხდარა. საცალო და კორპორატიულ გაყიდვებზე ორიენტირებული ბანკები ვერ გაერთიანდებიან. ერთ სეგმენტზე უნდა მოიყაროს თავი სამმა ბანკმა და მათი გაერთიანება იქნებოდა ლოგიკური. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, მოვა.

**- როგორ ფიქრობთ, ამ პროცესს ბაზარზე მსხვილი კონკურენტების შემოსვლა ხომ არ დააჩქარებს?**

- მე არ ვფიქრობ, რომ 2-3 წელიწადში მსხვილი კონკურენტი შემოვა ბაზარზე. თუმცა ადრე თუ გვიან ის აუცილებლად შემოვა.

**- თქვენ აღნიშნეთ, რომ მნიშვნელოვანი უპირატესობა გაქვთ კადრების თვალსაზრისით. როგორია თქვენი ხედვა ამ მხრივ?**

- ძალიან რთული საკითხია. ზოგ ორგანიზაციას აქვს რთული მემკვიდრეობა. ადრე ეს პროცესი არ იყო სისტემური და მეთოდური. აღმოჩნდა, რომ ეს არის დიდი მეცნიერება. შევქმენით შესაბამისი სამსახური. არის გაზომვადი და არაგაზომვადი პარამეტრები. არსებობს მოტივაციის სისტემები. ადრე გაზეთში ვაქვეყნებდით განცხადებებს. ახლა საკვალიფიკაციო მოთხოვნები დავამატეთ. გვაქვს ხელშეკრულებები ESM-თან, კავკასიის ბიზნეს სკოლასთან, უნივერსიტეტთან.

**- დელეგირების პროცესი როგორ მიმდინარეობს "თბილუნივერსალბანკში"?**

- როცა ვიყავით 20, დელეგირება იყო 0. მაგრამ როცა თანამშრომელთა რაოდენობა გახდა 50 და 100, დელეგირება გაიზარდა. ეს არის რთული პროცესი, მაგრამ თუ ადამიანი ვერ გადალახავს ამ პროცესს, მას სერიოზული პრობლემები ექნება.

**- ლიზინგის საკითხი: თქვენ ხართ საქართველოში პირველი სალიზინგო კომპანიის დამფუძნებელი. როგორ ხედავთ მის განვითარებას, ლიზინგის ბაზარს და ბანკთან მის ურთიერთობას?**

- ერთი მხრივ, არის კონკურენციის მომენტი. მეორე მხრივ - ლიზინგი არის ფინანსური მომსახურება. საქართველოში კომერციულ ბანკს არ აქვს უფლება, აწარმოოს ლიზინგური მომსახურება, მაგრამ შეუძლია, შექმნას შვილობილი კომპანია. ეს კომპანია დავაარსეთ 3 წლის წინ. ვიმედოვნებდით, რომ უფრო სწრაფად იქნებოდა მიღებული კანონი ლიზინგის შესახებ. ეს კომპანია 3 წელია, ბიუჯეტზე გვყავს. სულ ახლახან კი OPIC-მა გამოგვიყო საკრედიტო ხაზი, რამაც გაზარდა სალიზინგო კომპანიის კაპიტალი 500 000 დოლარამდე.

**- საკანონმდებლო დონეზე რა შეიძლება გაკეთდეს?**

- მიღებულია კანონი ლიზინგის შესახებ, მაგრამ მან ხელი ვერ შეუწყო ლიზინგის განვითარებას.

**- კომპანიის ცნობადობა უნდა ამაღლდეს?**

- არ ვფიქრობ, რომ ამ კომპანიას სჭირდება სერიოზული მარკეტინგული ღონისძიებები. რუსეთში 7 პროცენტი მთლიანი ინვესტიციებიდან მოდის ლიზინგის სახით. ესტონეთში კი - 42 პროცენტი. გარკვეულ შემთხვევებში ლიზინგი უფრო ხელსაყრელი და ეკონომიკურად ეფექტურია, ვიდრე საკრედიტო ინსტიტუტი, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ლიზინგის მიმღები არის კანონის ფარგლებში მოღვაწე კომპანია.

**- სამართლებრივი გარემო, რომელშიც ბანკებს უხდებათ მუშაობა. რამდენად დახვეწილია ის დღეს. არბიტრაჟის თემა მუსირებს აქტიურად. რამდენად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ეს ბანკებისთვის?**

- რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ იმით, რაც ხდება დღეს სასამართლოში. მაგრამ სიტუაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში გაუმჯობესდა. უფრო მეტი უნდა ვიყვიროთ, რომ გამოიბერტყონ ყურები. ზოგიერთ მოსამართლეს ჰგონია, რომ თუ ვიღაცას 2 კვირით გადაუვადებს სესხის დაფარვას - არაფერი მოხდება.

**- "თბილუნივერსალბანკის" სამომავლო გეგმები?**

- გაზომვადი პარამეტრებით თუ ვისაუბრებთ, გვინდა გვეჭიროს სისტემის 5 პროცენტი და ეს არის 150 მილიონი ლარი 2-3 წელიწადში. მიზნობრივ სეგმენტს არ ვცვლით და ვიმედოვნებთ, რომ ის გაიზრდება.

**- ბოლოს, თქვენი რჩევა ახალგაზრდა ბანკირებისათვის?**

- თუ ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში პატიოსნად შეისწავლი პროფესიას, ეს არის ყველაზე კარგი რამ, რაც შენ შეიძლება ცხოვრებაში გააკეთო. ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ერთ კონკრეტულ საქმეს პატიოსნად აკეთებ.


*ტარიელ გვალია.*

| ბანკის ზოგადი მონაცემები 31.08.04 | |
|---|---|
| ბანკის დასახელება | სს თბილუნივერსალბანკი |
| ბანკის დაარსების თარიღი | 18 დეკემბერი, 1995 |
| ბანკის აქციონერები | ფიზიკური პირები, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD). |
| ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე | ტარიელ გვალია |
| ბანკის ფილიალების რაოდენობა | 4 |
| ბანკის თანამშრომელთა რაოდენობა | 115 |
| ბანკის CAMEL-ის შემაჯამებელი რეიტინგი | 2 |
| ბანკის ვებ-საიტი | www.tbiluniversalbank.ge |

| საბალანსო უწყისი 31.08.04 (ათასი ლარი) | |
|---|---|
| ნაღდი ფული და ფულადი სახსრები | 9,887 |
| ფასიანი ქაღალდები | 6,237 |
| მთლიანი სესხები | 17,667 |
| მინუს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | (1,086) |
| წმინდა სესხები | 16,581 |
| დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები | 187 |
| ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 2,657 |
| სხვა აქტივები | 977 |
| **მთლიანი აქტივები** | **36,526** |
| | |
| მიმდინარე ანგარიშები | 12,830 |
| ვადიანი დეპოზიტები | 11,185 |
| ბანკების დეპოზიტები | 25 |
| ნასესხები სახსრები | 2,784 |
| დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | 318 |
| სხვა ვალდებულებები | 517 |
| **მთლიანი ვალდებულებები** | **27,659** |
| | |
| ჩვეულებრივი აქციები | 6,274 |
| პრივილეგირებული აქციები | - |
| საემისიო კაპიტალი | 88 |
| გაუნაწილებელი მოგება | 2,506 |
| **სულ სააქციო კაპიტალი** | **8,868** |
| **მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი** | **36,526** |

| მოგება-ზარალის უწყისი 01.01.04-31.08.04 (ათასი ლარი) | |
|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 3,279 |
| საპროცენტო ხარჯები | 831 |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | **2,448** |
| | |
| საკომისიო შემოსავლები | 677 |
| საკომისიო ხარჯები | 176 |
| **წმინდა საკომისიო შემოსავლები** | **501** |
| სხვა არასაპროცენტო შემოსავლები | 473 |
| სხვა არასაპროცენტო ხარჯები | 1,501 |
| **წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი** | **(1,029)** |
| | |
| წმინდა მოგება დარეზერვებამდე | 1,921 |
| ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 438 |
| მოგება გადასახადის გადახდამდე | 1,483 |
| მოგების გადასახადი | 101 |
| **მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ** | **1,383** |









## წერეთელი ჰუძონზე არ შეუშვეს



B2

## ინგლისური ტრიუმფი ვაჭრებით სავსე ვენეციაში



B3

## სპორტსმენი ბუშის წინააღმდეგ



B4

ნოდარ ლადარია

სხვადასხვა მიზეზების გამო, ბოლო დღეებში აღშფოთება ყველაზე გავრცელებული გრძნობაა, ამიტომ სწორედ აღშფოთებით მინდა დავიწყო დღევანდელი მიმოხილვა. აი, თუნდაც 8 სექტემბრის “24 საათი” ავიღოთ, სადაც ვკითხულობთ შემდეგს: “**გუშინწინ, გვიან ღამით, მეტეხის ხიდთან გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავმა ავტომანქანამ ავტოავარია მოახდინა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დროს შეჯახება ისეთი ძლიერი იყო, რომ ორივე ავტომანქანა შუაზე გაიხლიჩა. საბედნიეროდ, ავტომანქანებში მყოფი მგზავრები არ დაშავებულან. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ავტომანქანას, რომლის მიზეზითაც ავარია მოხდა, ერთ-ერთი თანამდებობის პირი მართავდა, თუმცა მისი ვინაობა კატეგორიულად არ სახელდება. შინაგან საქმეთა სამინისტრო მხოლოდ ავტომანქანის მარკას ასახელებს.**” ასეთი რამის წაკითხვის შემდეგ არ გიჩნდებათ ვარაუდი, რომ იქნებ კენჭაძისა და კიდევ იმ აჭარელი მოსამართლის დაპატიმრების ნამდვილი მიზეზები რამდენადმე განსხვავდება მათ მიმართ წაყენებული ოფიციალური ბრალდებისაგან? არა, ახლა, რა თქმა უნდა, გადავაჭარბე და ვარაუდების გაბედულებაში ლამის რომელიმე მირონოვს ან ლავროვს გავუტოლდი, მაგრამ ერთი რამ კი დღესავით ნათელია: სანამ საქართველოში “მაღალჩინოსანთა” პრივატული ცხოვრება ფართო საზოგადოებისთვის გამჭვირვალე არაა, ჩვენ არაფერი გვეშველება. თუ გნებავთ, უფრო რეალისტურ ვარაუდს შემოგთავაზებთ: მადლობა ღმერთს, არავინ დაღუპულა, ჰოდა, ჩვენს მაღალჩინოსანსაც საკმაო თანხა ექნება მატერიალურ-მორალური ზარალის ასანაზღაურებლად და, შესაბამისად, საქმის ჩასაფარცხად. აანაზღაურებინეთ, ბატონო, მაგრამ მისი სახელი უნდა ვიცოდეთ! აუცილებლად უნდა ვიცოდეთ — სწორედ ამაზეა დამოკიდებული იმ ერის მომავალი, რომლის ლამის ასი პროცენტი სირცხვილად მიიჩნევს სასამართლოში მოწმედ გამოსვლას და თავისი ეროვნული ვალის აღსრულებას.

ეს კი გადაჭარბებად არ მიიჩნიოთ, მაგრამ თუ ამ სახელს ვერასოდეს გავიგებთ, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ინაუგურაციაზე ატეხილი ოლიმპიური ჭექა-ქუხილი სულ ამაოა. იმად თუ გამოდგება, მის სიტყვებში დაფარული აზრი ვეძებოთ. რას ვგულისხმობ? — აი, თუნდაც იმას, ბიზნესმენები არ ვნახო ციხეშიო, რომ თქვა. თურმე, თემიდა მაშინაც უნდა სდუმდეს, როცა მავანი ბიზნესმენი ქრთამის მიმცემი აღმოჩნდება. ამისთვის **მიხეილ სააკაშვილმა** საინტერესო კლაუზულა შემოგვთავაზა: სხვანაირად არ შეეძლო. წარმოგიდგენიათ ამგვარი ტექსტი, მაგალითად, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ კოდექსში? მაინც რამ გაამწარა პრეზიდენტი, ასე რომ დაეტაკა მოსამართლეებს და მანამდე აუჭრელა საჯდომი, სანამ რამეს დააშავებდნენ?

ავაგოთ ასოციაციური ჯაჭვი: ბიზნესმენი — ფული — ... სტოპ! საკმარისია.

ფულთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ახლა ლარის კურსის “გამყარებაა”. არა, ბრჭყალებში ეს სიტყვა ეკონომიკური თვალსაზრისით არ ჩამისვამს. უბრალოდ, მგონია, რომ “მყარი” შეიძლება რაღაც ძალიან პატარაც იყოს, მთავარია არ იცვლებოდეს. ამ შემთხვევაში, “გამყარების” ნაცვლად ჯობია ისევ “კურსის ზრდა” ან “ამაღლება” ვთქვათ. მაგრამ ფილოლოგიას მოვეშვათ და საქმეს მივხედოთ.

7-დან 11 სექტემბრამდე “24 საათმა” საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო ამ თემას. ლარის აღმასვლაზე ისაუბრეს ოთხი კატეგორიის ადამიანებმა: ბიზნესმენებმა, ბანკირებმა, ექსპერტებმა და პოლიტიკოსებმა. ბანკირები და ექსპერტები ორ ქვეჯგუფად იყოფიან: თავისუფალი და ანგაჟირებული, თუმცა ამ ზედსართავთა ანალიზს ახლა არ მოვყვებით — არსებული მიახლოებით დავკმაყოფილდეთ. ამათგან ზოგი იხტიბარს არ იტეხს, ზოგიც განგაშის ატეხვას ცდილობს, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: საყოველთაო აჟიოტაჟი სუფევს, რომ არა ვთქვათ პანიკა! ახლა კი უფრო დეტალურად განვიხილოთ საქმის ვითარება.

შეფასებები ორი მიმართულებით ნაწილდება: შინაარსობრივი და ინტენციური. ცალ-ცალკე ეს შეფასებები ისევ ორად იყოფა: შინაარსობრივი თვალსაზრისით ერთნი ამბობენ, რომ ლარის კურსის ზრდა ცუდია, რადგან ეკონომიკას აზარალებს, მეორენი — რომ კარგია, რადგან კარგი და ძლიერი ვალუტა გვექნება. ინტენციური თვალსაზრისით, ერთნი ამბობენ, რომ კურსის ზრდა ხელისუფლების მიერ ხელოვნურადაა გამოწვეული საგარეო ვალების გასასტუმრებლად, მეორენი — რომ ეს ყველაფერი თავისთავად მოხდა სხვადასხვა მიზეზების გამო.

ახლა კი ვნახოთ, როგორ განაწილდა ეს თვალსაზრისები ადამიანებზე. ყველაზე ადვილით დავიწყოთ: პოლიტიკოსთა ნათქვამი შეიძლება საერთოდ არ მივიღოთ მხედველობაში. რატომ? — **მაია ნადირაძე**, მაგალითად, ასეთ რამეს ამბობს: “**ეროვნული ვალუტა სახელმწიფოს სერიოზულ ატრიბუტიკას წარმოადგენს. ლარის გამყარება შეუძლებელია უარყოფითად შევაფასო, ვინაიდან ეს სახელმწიფოს სერიოზული სიძლიერის ნიშანია.**” ამ ლოგიკით, საფრანგეთი ხუთჯერ უფრო სუსტია აშშ-ზე, იაპონია — ოცჯერ, ჩვენ კი იაპონიაზე ლამის ათჯერ ძლიერები გამოვდივართ. ბრავო, მაია! — თქვენ არასოდეს გექნებათ პრობლემები ხელისუფლებასთან. დანარჩენების აზრებიც იმის მიხედვით ნაწილდება, როგორი დამოკიდებულება აქვთ გენერალურ ხაზთან.

რაც შეეხება ბიზნესმენებს, მათი თვალსაზრისები ყველაზე გულწრფელია: ვინც ექსპორტზეა ორიენტირებული, მას არ მოსწონს, ვინც იმპორტზე — უფრო თავშეკავებულია, მაგრამ პოზიტიური. ასე რომ, მათი პოზიციაც შეიძლება გამოვტოვოთ, რადგან არაფერს მოულოდნელს არ გვთავაზობს და არც რაიმე დაფარულ ტენდენციებზე მიუთითებს.

ექსპერტების აზრიც ორად იყოფა, როგორც მოგახსენეთ: ხელისუფლების მიერ ანგაჟირებული და შედარებით თავისუფალი ექსპერტების მიერ გამოხატულ თვალსაზრისებად. თავი ავარიდოთ ტექნიკურ ტერმინოლოგიას და თვალსაზრისთა ზოგადი დახასიათება ვცადოთ. ვინც წინააღმდეგია, ამბობს, რომ მთავრობამ ხელოვნურად მოახდინა ლარის კურსის ზრდა, რათა საგარეო ვალები იაფად გაისტუმროს. მომხრეები ამ ინტენციას საერთოდ არ ეხებიან. მოწინააღმდეგეები ასახელებენ მოსახლეობის ფენებს, რომელთა მდგომარეობაზე ეს ვითარება უარყოფითად აისახება. მომხრეები არაფერს ამბობენ ამაზე, ან იფარგლებიან მტკიცებით, რომ ზარალდება მოსახლეობის ყველაზე შეძლებული ნაწილი (საინტერესო ნუგეშია, არა?).

აი, ბანკირების სიტყვა კი ყველაზე საინტერესოა, მით უმეტეს, რომ აზრს სულ ორი მათგანი გამოთქვამს. 7 სექტემბრის ნომერში ვკითხულობთ: “**პირდაპირ უნდა ითქვას, რომ “24 საათთან” საუბარს ბანკების უმეტესობის წარმომადგენლებმა სხვადასხვა “საპატიო” და კატეგორიული მიზეზების გამო თავი აარიდეს.**” დავიმახსოვროთ ეს გარემოება. ერთი მაინც აღმოჩნდა მათში — “თბილუნივერსალბანკის” დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, **სულხან გვალია**. მისი კომენტარი გამოქვეყნებულია გაზეთში, მაგრამ ბანკირის პასუხიდან მისი დამოკიდებულება არ ჩანს. ეტყობა, რომ რესპონდენტი თავგამოდებით ერიდება ცალსახა შეფასებას. და მაინც, სულხან გვალია ერთადერთია, ვისაც ლარის კურსის ზრდის ასახსნელად ასეთი არგუმენტიც მოჰყავს: “**ასევე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ამ პროცესზე თანამდებობის პირებისაგან ამოღებულმა თანხებმა.**”

კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ეს არგუმენტი და დაუკავშირეთ, ერთი მხრივ, საქართველოს პრეზიდენტის გრგვინვასთან (ნუ დაიჭერთ ბიზნესმენებს!), მეორე მხრივ კი, დანარჩენი ბანკირების დუმილთან (გაგვეცალე, შენი ჭირიმე, ორი თავი ვისა გვაქვს!). შეჯამება მკითხველისთვის მიმინდვია, მაგრამ ჯერ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, **ირაკლი მანაგაძეს** მივაქციოთ ყურადღება. ეს მეორე ბანკირია, რომელიც რაღაცას ამბობს. რაღაცას კი არა, გასული კვირის ლამის ყველა ნომერში ჩანს მისი სიტყვაც და ფოტოც. გასაგებია, რომ ირაკლი მანაგაძე ლარის კურსის ზრდას ცალსახად დადებითად აფასებს, მაგრამ ასეთი მრავალსიტყვაობა და შემართება მაინც რას უნდა ნიშნავდეს?

ორი მომენტი გამოვყოთ სახელმწიფო ბანკირის ცნობიერების ნაკადიდან.

ერთი: “**თუ ვინმე ფიქრობს, რომ მყარი ეროვნული ვალუტა ცუდია და კუპონების დრო მოენატრა, ჩვენ ამაში მონაწილეობას ნამდვილად არ მივიღებთ.**” ნუთუ ლარის კურსის ამ თავქუდმოგლეჯილი ზრდის ალტერნატივა კუპონებია? აქ ბანკირი ლაპარაკობს არა როგორც პროფესიონალი, არამედ როგორც “პიარშჩიკი”! კარგად დაუკვირდით, მე არ ვამბობ, რომ მანაგაძე პროფესიონალი არაა: უბრალოდ, რაღაც აიძულებს ილაპარაკოს ისე, რომ ამგვარ ნათქვამს მხოლოდ მაია ნადირაძის დონეზე შეიძლება ჰქონდეს წარმატება. თანაც როგორ იწყება წინადადება: “თუ ვინმე ფიქრობს...”. ეს უკვე იარაღის ჟღარუნია: ბანკის პრეზიდენტი კი არ არწმუნებს ოპონენტებს, არამედ ანათემას უცხადებს მათ. ეს სახიფათო ტენდენციაა: ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მოხელეა და არა პოლიტიკოსი. ჰოდა, უნდა ლაპარაკობდეს კიდეც, როგორც მოხელე!

მეორე: კითხვაზე, ხელოვნურია თუ არა ლარის კურსის ზრდა, ირაკლი მანაგაძე პასუხობს: “**როცა ასეთი განცხადება კეთდება, სულ მცირე, უნდა აიხსნას მაინც, თუ როგორ შეიძლება თვეების განმავლობაში კურსის აწევის ხელოვნურად მიღწევა. ეს არის, უბრალოდ, იმ რეალობის იგნორირება, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება. როგორ შეიძლება ხელოვნური ვუწოდოთ ისეთ პროცესებს, როგორიცაა საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა, ეკონომიკის ლეგალიზაცია და ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობის ამაღლება?**”. ავუსრულოთ ბანკის პრეზიდენტს სურვილი და ვიკითხოთ: თუ შევარდნაძის იმპოტენტი რეჟიმის დროს წლების განმავლობაში ხერხდებოდა ლარის კურსის ერთ დონეზე დაჭერა, რატომაა შეუძლებელი, რომ სააკაშვილის შედარებით ქმედითი მმართველობისას უზრუნველვყოთ ლარის ორთვიანი ზრდა? მეორეც, მინდა დავარწმუნო ბ-ნი მანაგაძე, რომ საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა სწორედ რომ ხელოვნური პროცესია: საქართველოში არც ნავთობის საბადო აღმოუჩენიათ და არც გიგანტური ოქროს ძარღვი. ყველაფერი, რაც მოხდა გარკვეული პოლიტიკური ნებისა და პოლიტიკური ქმედების შედეგი იყო. “ხელოვნურის” უკეთესი განმარტება ამ სფეროში არ არსებობს. იგივე ითქმის ეკონომიკის ლეგალიზაციაზე, რომელიც განსაზღვრების თანახმად ხელოვნური პროცესია, რადგან მხოლოდ ადამიანის ნებასა და ქმედებაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება ეროვნული ვალუტისადმი ნდობის ამაღლებას, საერთოდ ვერ გამიგია, რატომ ლაპარაკობს ბანკის პრეზიდენტი ამაზე როგორც საყოველთაოდ ცნობილ და აღიარებულ ფაქტზე? პირიქით, კურსის ასეთი ცვლილება, მიუხედავად მისი მიმართულებისა, აშკარად ამცირებს ვალუტისადმი ნდობას. ყველა ხომ გაიძახის, რომ ქართველების დანაზოგები, ძირითადად, დოლარშია. რატომაა ასე, თუ ქართველები საკუთარ ვალუტას ენდობიან? მთავარი სახელმწიფო ბანკირი კი იმდენს მაინც უნდა ახერხებდეს, რომ არ მოუწიოს სულელსა და მატყუარას შორის არჩევანი.

ერთი სიტყვით, ბნელი და იდუმალი რამ მოსდის ჩვენს ეროვნულ ვალუტას. საკითხავი კი ერთია: რატომ ლაპარაკობენ ექსპერტები მომავალ დროში? — წარამარა გვესმის: “ეს გამოიწვევს”, “ეს მოახდენს გავლენას”. ჯერაც არაფერია მკითხაობის გარდა, თუმცა კურსის აწევა უკვე რამდენიმე თვე მიმდინარეობს. აინტერესებს კი ამ ქვეყანაში ვინმეს ჭეშმარიტება?

როგორც ეტყობა, სულ სხვა ტენდენცია მძლავრობს: ჭეშმარიტების დეზავუირება. ყოველთვის მაინტერესებდა “24 საათის” პუბლიკაციათა საზოგადოებრივი რეზონანსი ან, ყოველ შემთხვევაში, რაიმე შედეგი მაინც. ახლა მომეცა ამაზე დაკვირვების საშუალება სრულიად მოულოდნელი მხრიდან: “საპატრიარქოს უწყებანის” 31-ე ნომერი გადავშალე და შევამჩნიე ერთი მოკლე განცხადება, უფრო სწორად, “განმარტება” (ასეთი სათაურითაა გამოქვეყნებული), რომელიც პასუხი იყო 24 აგვისტოს “24 საათში” გამოქვეყნებული ტექსტისა *მიმართვა ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებს, მსოფლიოს რელიგიურ ლიდერებს, საერთაშორისო თანამეგობრობას*, რომელსაც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სამი მღვდელმთავარი აწერს ხელს: დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი **აბრაამი**, ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსი **გრიგოლი** და დმანელი ეპისკოპოსი **ზენონი**. შეგახსენებთ, რომ ტექსტი მიმართული იყო რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ექსპანსიონისტური პოლიტიკის წინააღმდეგ და მისი კონკრეტული საბაბი იყო ცხინვალის კრიზისი. “საპატრიარქოს უწყებანის” მოკლე და ანონიმური “განმარტება” გვამცნობს, რომ თურმე მრავალმა ადამიანმა დასვა შეკითხვა: იყო თუ არა შეთანხმებული საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან მღვდელმთავართა მიმართვის ფაქტი და ადრესატები, პასუხად “საპატრიარქოს უწყებანი” გვამცნობს, რომ არც ფაქტი და არც ადრესატები არ იყო შეთანხმებული და ეს ყველაფერი წარმოადგენს ხსენებულ მღვდელმთავართა “პირად ინიციატივას”. საბჭოთა დროიდან კი ვიცით, რომ პირადი ინიციატივა დასჯადია! საინტერესო სხვა რამეა: “განმარტებიდან” პირდაპირ არ ჩანს, რა დამოკიდებულება აქვს საპატრიარქოს მღვდელმთავართა წერილის შინაარსთან. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რასაც არ უერთდები, იმას ეწინააღმდეგები. მეორე მხრივ, საპატრიარქოს ოფიციალური ტექსტი, გამოქვეყნებული იმავე ორგანოს 29-ე ნომერში და იმავე კრიზისის საბაბით შედგენილი ტექსტი, ერთნაირად “ამუნათებს” როგორც ქართველებს, ასევე სეპარატისტებს და დიდად არ განსხვავდება რუსული მედიის ბესლანამდელი ვარიანტისაგან. ასე გამოდის, რომ სინდისის ხმა, სულიერი ტკივილი მხოლოდ დასჯადი “პირადი ინიციატივა” ყოფილა, ოფიციალური განცხადება კი ისეთივე ორაზროვანი, გაუგებარი და ბრტყელი უნდა იყოს, როგორც წმინდა სინოდის ავადსახსენებელი დადგენილება აჭარის თაობაზე, სადაც საქართველოს ხელისუფლება და **ასლან აბაშიძის** ხროვა ერთ დონეზე განიხილებოდა, თანაც “ქვეყანასა ზედა მშვიდობისა და კაცთა შორის სათნოების” სახელით!

სამწუხაროა, რომ ხანდახან ასეთ უბადრუკ შედეგამდე აღწევს ჩვენი პუბლიკაციები, მაგრამ ესეც გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ცხოვრების საზრისი დეტალებშია. ერთი შეხედვით შეუმჩნეველ დეტალებში, რომელთა მნიშვნელობა შეიძლება გარკვეულ სიტუაციაში საოცრად გაიზარდოს და ტრაგიკულ შედეგებამდე მიგვიყვანოს. აი, მაგალითად, დაგვინიშნეს კონფლიქტების მოგვარების დარგში სახელმწიფო მინისტრად **გიორგი ხაინდრავა**, რომელიც 1997 წელს ეკლესიის წინააღმდეგ ამბოხებულ ფუნდამენტალისტთა ჯგუფს უჭერდა მხარს. თითქოს არაფერი, ხომ? მაგრამ მიეცა საბაბი და პირველი არხის პირდაპირ ეთერში ავადსახსენებელი **ბასილ მკალავიშვილის** ერთ ინტერვიუს დაეყრდნო (ამერიკელი პროტესტანტები ლომის ბოკვერებს ნათლავენ — ამაზე მეტი მარაზმი რა გინდა რომ იყოს?!). დავანებოთ თავი იმას, რომ ეს კაცი გარკვეული ტიპის კონფლიქტების მოგვარებისას იმთავითვე ვერ იქნება მიუკერძოებელი, მაგრამ სახელმწიფო მინისტრის ხარისხში საქართველოს უმთავრეს ტელეეთერში რატომ ქადაგებს რელიგიურ შეუწყნარებლობას და რატომ არღვევს საქართველოს კონსტიტუციას, ჩვენი ქვეყნის ძირითად კანონს?

თუმცა, როგორც ძირძველი ქართული ანდაზა ბრძანებს, კანონმა იკანონოს, ნდობამ კი იბატონოსო — ორმაგი სტანდარტი, როგორც ეტყობა, ჩვენი ჩვეული, მე ვიტყოდი, ეროვნული მდგომარეობაა.

არა გჯერათ? — ხომ ვხედავთ, როგორ ჩადის საქართველოს პრეზიდენტი დმანისში და ერთნაირად შედის ეთნიკური ქართველებისა და აზერბაიჯანელების ოჯახებში, როგორ მიმართავს დმანისის ეპისკოპოსი მოსახლეობას აზერბაიჯანულად. ვხედავთ ამას და სულს ვითქვამთ: ეროვნული საწყისი ითავისებს და მოიცავს ეთნიკურს. ამასთან ერთად კი, მდინარე მაჭახელაზე მუსლიმანთა ჯგუფური ნათლობის შემდეგ პრემიერ-მინისტრი თავის სიხარულს ვერ მალავს და აღტაცებული ლამის ქადაგებას იწყებს, თითქოს მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანების პრემიერ-მინისტრი იყოს და არა ყველასი. ჩვენ კი გვიკვირს, რატომ უნდა გვიხაროდეს საქართველოში კიდევ რამდენიმე ათეული კონფორმისტის დაფიქსირება?

ერთიანი პოლიტიკური ნების შესუსტების გაცილებით უფრო ხილული მაგალითების მოყვანაც შეიძლებოდა, მაგალითად, რუსეთთან მიმართებაში აშკარა უპირატესობის დაკარგვა, ეკონომიკური რეფორმების დამუხრუჭება და დაწვრილმანება, რაც ცხადად აისახა გასული კვირის “24 საათის” ნომრებში. მაგრამ ეს იმიტომ ვარჩიე, რომ, როგორც ერთხელ უკვე ვთქვი, რაც უფრო ღრმად შეტოპა პროცესმა, მით უფრო აშკარად გამოისახება ის დეტალებში.

დიახ, პოლიტიკური ნება თითქოს ოდნავ დაიქსაქსა და დაბნეულობაში გაირინდა. ამ ყველაფერს კი ზემოდან იავნანასავით დაჰნარნარებს პარლამენტის თავმჯდომარის ლექსიკონს შერჩენილი ორად ორი ყველაზე დასამახსოვრებელი სიტყვა: თითოეული თქვენგანი... თითოეული თქვენგანი... თითოეული თქვენგანი გრძნობს, როგორ იზრდება ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობა, როგორ ნელა და დამამშვიდებლად იღვრება თითოეული თქვენგანის სხეულსა და სულში ეროვნული არმიის საბრძოლო მზადყოფნის ზრდა, თითოეულმა თქვენგანმა იცის, რომ ყველაფერი კარგადაა... ყველაფერი კარგადაა... ყველაფერი კარგადაა?



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge




B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ვაზი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

ნესტან კვინიკაძის სვეტი

# BYE, BYE ULYSSES



სევდამისჯილი ქვეყნების ფონზე მაინც ყველაზე პერსპექტიული, ცნობიერება - დანტესავით გაზღაპრებული. წლების მანძილზე პასუხგაუცემელი კითხვების ბრუნვა, - მაგალითად, - რატომ ღიღინებს აბაზანაში ადამიანი? სწამდა თუ არა თავად ჰომეროსს იმ ღმერთების და ქალღმერთების, ასე რომ მოგვახვია თავს?

ძალიან მშვენიერზე ორიენტირებული კლასიკის უარყოფა და იქვე გამოსავალი - ექსპერიმენტი.

ელექტრონული მუსიკა. რა არის ეს?! ექსპერიმენტი. თუ ეს ასეა, მაშინ სტრავინსკი რომ წერდა არ არსებობს ექსპერიმენტალური მუსიკაო?! მუსიკა - ან არის კარგი, ან საერთოდ არ არისო?!

ერთი სიტყვით, საზოგადოება ელოდება მესიჯს, - აქვს კონკრეტული კითხვა და ითხოვს კონკრეტულ, პირდაპირ პასუხს, - მაგალითად თუ კითხვა ჟღერს შემდეგნაირად: - რა აღიზიანებს ყველაზე მეტად ირლანდიელს? - პასუხი ასეთია, - რასაკვირველია, ინგლისელის ღიმილი.

მთა ისევ წარმართულია, ხელუხლებელი ლანდშაფტები კი პოტენციურად შესაძლებელი.

დადებითი გმირის პორტრეტის შექმნაში, ქრისტიანული გავლენა მადომინირებელია. მიუხედავად მიმზიდველი სისუსტეებისა, ფეხდაფეხ რომ მიჰყვები და გამოუცდელობით მაინც თანაუგრძნობ, მან (გმირმა), საუკეთესოდ იცის - სულიერი სიმტკიცის მოპოვებაში თამბაქო და ალკოჰოლი ვერ დაგეხმარება. მისთვის ემოციური ფონიც კი დილეტანტობის მანიშნებელია, რადგან სხვაობა ადამიანურსა და ღვთიურს შორის უკვე ნაგრძნობი აქვს.

ეს უფრო მითს ჰგავს - იდეალური გმირის შესახებ. ნამდვილი ფაქტოლოგია სრულიად განსხვავებულ ილუსტრაციას იძლევა: დინების საწინააღმდეგოდ მიცურავდა ვიღაც, მტერი აუტყდა და დამარცხდა. ცნობიერებამ იწყო ცვლა. ბედსვიანობა, იმ ხანად, არავის ეწერა.

თვითდამკვიდრება, - ხან უცენზურო სიტყვების, ხანაც უცნაური სამოსის დემონსტრირების ხარჯზე. ყოფნა საზღვარს მიღმა და პირიქით, - საკუთარ ოთახში გამოკეტვა.

საზოგადოება ოჯახზე ძლიერია. იგონებს სტერეოტიპებს და მასში ცხოვრებას გაიძულებს. "დანაშაულს ჩადის ოტელოსავით და დანაშაულსაც სიყვარულით ამართლებს". "ფრანგული ქათინაური". საბოლოოდ - ინერციის მსხვერპლი ხარ. შემგუებლობა საფრთხეს უქმნის არამარტო მომავალს, წარსულსაც კი.

ამას წინათ ღია კაფეში ერთი ყმაწვილი გავიცანი; ასე თქვა "შენ აფრენ," არ ყოფილა მესიჯი და არც "მე გადავცურავ ზღვასო", - რასაკვირველია, ეს განცხადება დაგვიანებული იყო. რადგან იმ დროისათვის დიაცებს უკვე გადაცურული ჰქონდათ ეგეოსის ზღვა და ლოგინად ჩავარდნილი "ამაზონების" მომვლელები გამხდარიყვნენ.

ალტერნატივა ასე გამოიყურება - ან სამურაების ბედს ავირჩევთ და სამუდამოდ შემოვრჩებით მსოფლიოს მგრძნობიარე მეხსიერებას, ან არადა თორმეტი წლის ბიჭებსაც ჩავრთავთ ომში.

და თუ ხსნა მართლაც იქ უნდა ეძებო, საიდანაც ყველაზე ნაკლებად მოელი, რატომღაც დევი მახსენდება - ერთადერთი ქართული მითოლოგიური ხატი - მსუქანი, ღონიერი, სევდიანი და რქიანი. დევი და არა "ჭინთვაში გაჩენილი" "ულისე".

ასე რომ, ინტრიგა! ხავსმოდებულ ცნობიერებასთან გამომშვიდობება! საზოგადოების ნაკლის მხილება! მესიჯი! რამე სხვა! უფრო კარგი ვიდრე დემოკრატია.

# სამოცდაათი გზის შვიდი

აზნი ფორჩხუა

"ძველმა გალერეამ" ნიჭიერი ქართველი მხატვრის ამირან კუპრავას პერსონალურ გამოფენას უმასპინძლა. ექსპოზიცია სახელწოდებით "სამოცდაათი გზის შვიდი" დაახლოებით ერთი კვირა გაგრძელდება. ათ წელიწადზე მეტია, რაც ამირან კუპრავა გერმანიაში მოღვაწეობს, მაგრამ სამშობლოსთან სულიერი კავშირი არასოდეს გაუწყვეტია.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვრის ბოლო პერიოდის ნამუშევრები. თითოეულ ტილოში იგრძნობა ავტორის ფაქიზი დამოკიდებულება გარესამყაროსადმი. ამირან კუპრავას შემოქმედება მდიდარი და მრავალფეროვანია. გამოფენის გახსნისას სიტყვით გამომსვლელთაგან იგრძნობოდა უშუალო, თბილი დამოკიდებულება განცდილისადმი, მხატვრის შემოქმედებისადმი, რომელიც ჟანრობრივი მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. სულ ახლახან ბატონმა ამირანმა გერმანიაში (სადაც მხატვარს შემოქმედებითი წინსვლისთვის საუკეთესო პირობები აქვს) ხეზე მუშაობის ტექნიკას კარგად გაართვა თავი, რაც საქართველოში ძვირად ღირებული ფუფუნებაა. ამირან კუპრავას შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს რელიგიური თემატიკა. მისი ტილოები სადა, ლირიკული, თბილი და ახლობელია.

ამირან კუპრავა საქართველოში 1999-2000 წლებში ჯგუფურ გამოფენებში მონაწილეობდა. ახლანდელი გამოფენა კი მხატვრის პერსონალურ გამოფენად შეიძლება ჩაითვალოს. "საქართველოში პერსონალური გამოფენის მოწყობა ნიშნავს, წარდგე ყველაზე კრიტიკული და ინტელექტუალური საზოგადოების წინაშე", - ამბობს მხატვარი. ოქტომბრის პირველ ნახევარში ბატონი ამირანი მიემგზავრება მადრიდში, სადაც მეორედ მოეწყობა მისი პერსონალური გამოფენა.

# წერეთელი ჰუძონზე არ შეუშვეს

სალომე კიკალეიშვილი

*2004 წლის 11 სექტემბრს ჯერსი-სიტიში, წერეთლის მონუმენტი "მწუხარების ცრემლი" უნდა აღმართულიყო.*

### მანამდე კი...

ჯერ კიდევ რამოდენიმე თვის წინ, ჩვენს გაზეთში სტატია გამოქვეყნდა - "კიჩის მეფე": ზურაბ წერეთელზე, მის ნამუშევრებზე და ზოგადად, წუხილსა და უიმედობაში გადავარდნილ რუს ინტელიგენციაზე. რომლებიც ველარ უძლებენ "კიჩის მეფედ" წოდებული წერეთლის მონსტრებს, და საპროტესტო წერილებს ათავსებენ გაზეთებსა თუ ინტერნეტ საიტებზე. თუმცა რუსი ინტელიგენციის არც ფურცელზე გადმოტანილი SOS ემუქრება, სახელმწიფო "მფარველობაში" მყოფ მოქანდაკეს, და არც საზღვრებს გარეთ მოღვაწე კულტუროლოგთა თუ ჟურნალისტთა რისხვა.

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ სტატიაში კი (არა, ამას გვერდს ნამდვილად ვერ აუვლიდი. რადგან აქ მოჩანს სადამდე შეუძლია უიმედობას ადამიანის მიყვანა) განხილული იყო კულტუროლოგ იგორ გოროდეცკის წერილი, რომელიც მან საქართველოს პრეზიდენტს გაუგზავნა - "უმორჩილესად გთხოვთ, თქვენ გონებამახვილურ საკადრო სტრატეგიას სალომე ზურაბაშვილსა და კახა ბენდუქიძეზე ნუ შეაჩერებთ და მოქანდაკე წერეთელიც თან წაიყოლეთო." გარდა იმისა რომ წერეთელი გოროდეცკის აზრით ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ-დიპლომატიურ საქმიანობაშიც გამოადგება, კულტუროლოგი გვპირდება რომ ის ოჯახებშიც წესრიგს დაამყარებს, რომლის დროსაც ქართველი დედები წერეთლის ქმნილებებით უწესო ბავშვებს დააშინებენ. ხოლო წერეთელის სამშობლო ქალაქში მოპატიჟებით, ქალაქს ურიცხვი ცხენოსანი თუ ფეხოსანი ქანდაკებები შეემატება... რუს კულტუროლოგს დასავლელი კოლეგები თუ ჟურნალისტებიც უერთდებიან. კერძოდ კი, საკუთარ ქალაქში წერეთლის მორიგი მონსტრის ხილვით დაშინებული "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტი, რომლის აზრითაც "მწუხარების ცრემლი" ყველაზე საკამათო და ხმაურიანი იქნება წერეთლის ბიოგრაფიაში.



*"დიდი მადლობა, მაგრამ არ გვინდა ეს თქვენი საჩუქარი". ამბობენ ჯერსი-სიტის მოქალაქეები.*

### რაც შეეხება წერეთლის ცრემლებს

"მწუხარების ცრემლი" - მონუმენტი, რომელიც 11 სექტემბერის ტრაგედიიდან სამი წლის შემდეგ, ტერაქტის ადგილის მოპირდაპირე მხარეს ჯერსი-სიტიში, ჰუძონის სანაპიროზე უნდა აღმართულიყო. თავად მოქანდაკეს "მძიმე" ქმნილებების ფონზე, ცრემლი დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა: 30 მეტრის სიმაღლის, შუაში გახლეჩილი ბრინჯაოს ჩარჩო, რომელშიც ბროლის უშველებელი ცრემლია მოთავსებული. ცრემლი, რომელიც მუდმივად და უფასოდ იტირებს ამერიკელებისთვის, შიგ მოთავსებული საქაჩების და წვეთ-წვეთად ჩამოწრეტილი წყლის წვეთების წყალობით. კომპოზიციის საფუძველში კი დაღუპულთა სახელები იქნება მოთავსებული. მაგრამ, თურმე ნუ იტყვი და, რუსეთის მთავრობის საჩუქარი ჯერსი-სიტის მოქალაქეებს არც ისე ახარებთ და "მწუხარების ცრემლის" წინააღმდეგ საზოგადოებრივი მოძრაობაც კი აუგორებიათ ქალაქში -"დიდი მადლობა, მაგრამ არ გვინდა ეს თქვენი საჩუქარი, არ ჯდება ჩვენი ქალაქის განაშენიანებაშიო." მოკლედ მონუმენტი 11 სექტემბერს, 9 საათსა და 15 წუთზე უნდა გახსნილიყო. "უნდა" იმიტომ რომ... არ გაიხსნა. თუმცა, ვის ესტუმრება გამზადებული "ცრემლი" ჯერ არავინ იცის. და სწორედ ეს აშინებს ყველას.

### "ზურაბ წერეთელს აწყენინეს"

ასე იწყებს თავის სტატიას ერთ-ერთ რუსული ყოველდღიური გაზეთი. ქალაქ ჯერსი-სიტის მერიის, ერთ-ერთი თანამშრომელი ქალბატონი უღრმეს მადლობას უხდის მოქანდაკეს "შეწუხებისთვის". მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მთელი პრობლემა მონუმენტისთვის ადგილის შერჩევაშია (ყოველ შემთხვევაში ჰუძონის სანაპიროზე, რომ არ "ეღირსებათ" წერეთლის "ცრემლებს" აღმართვა, ფაქტია). ამავე ქალბატონის განცხადებით, ეს საკითხი ქალაქის საბჭოს კომპეტენციაა და მის განხილვას გარკვეული დრო კიდევ დასჭირდება. თუმცა, სიტყვა "გარკვეული" არ დაუკონკრეტებია და ასევე დარჩა "გაურკვევლად". "არადა ხომ ყველაფერი მოგვარებული იყო" - აგრძელებს რუსული გაზეთი - "ჯერ კიდევ 2003 წლის სექტემბერში, წერეთელი ქალაქის მაშინდელ მერს (მაშინდელს, იმიტომ რომ, მოკვდა საწყალი) გლენ კანინგემს შეუთანხმდა მონუმენტის აღმართვაზე, რომელსაც ჰუძონის სანაპირო უნდა "დაემშვენებინა". მაგრამ, რა საწყალი კანინგემის ბრალია, რომ მოკვდა და ამით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა წერეთლის "ცრემლების" ღვრა?! როგორც ჩანს, ქალაქის ახალ მერს - ელ ჰარვი სმიტს, არც ისე ძალიან ეხატება გულზე "მწუხარების ცრემლი", რაც რბილად აღნიშნა ტელეკომპანია CNN-თვის მიცემულ ინტერვიუში - "ცრემლი წუხილის, სევდის ნიშანია. ჩვენ ქალაქს კი არც უმაგისოდ აკლია ცრემლი და უბედურებებიო." მერის განცხადებით, ხალხში ჩატარებული გამოკითხვებიც იგივეს მოწმობს, და მის სიტყვებს 10 გამოკითხულიდან 9 ადამიანი ეთანხმება. "თუმცა, საჩუქარზე უარის თქმა ვის გაუგია? ეს უკვე ზედმეტი იქნებოდა, და ამიტომაც მერმა პირობა მოგვცა, რომ აუცილებლად დადგავს მონუმენტს სადმე" - აგრძელებს რუსული პრესა - "მადლობა ღმერთს, რომ ძღვენს მიიღებენ ამერიკელები, ესეც გამშვიდებს კაცს. აბა, მთლად უარი რომ ეთქვათ და წერეთელს თავისი "ცრემლი" მოსკოვისთვის შემოეთავაზებინა? მერე?"

# ამ პირობებში ჩაყენებული ქართველი ხალხი არის ამაზრზენი

კახა ცერცვაძე

მატარებელს, როგორც ალეგორიულ სიმბოლოს, ხელოვნებაში საზოგადოების გარკვეული ფენის იდეოლოგიურ-აზრობრივი მოძრაობის გამოსახატავად მიმართავენ ხოლმე. ბოლო წლების საქართველოში ასეთი სიმბოლური მატარებელი შოუ ბიზნესში გამოჩნდა - "უცნობის მატარებლის" სახით, შემდეგ ორატორულ ხელოვნებაში "სააკაშვილის მატარებელმა" მოიპოვა პოპულარობა. სად მივყავართ მატარებლის ლიანდაგსო? კითხვას სვამდა უცნობი. სააკაშვილი კი კონკრეტულ მიმართულებას სთავაზობდა საზოგადოებას, თან შეახსენებდა - უკვე დაიძრა და ჯერ კიდევ არის შანსი, ვისაც გაქვთ სურვილი, შემოახტითო.



დღეს კიდევ ერთმა ასეთმა მატარებელმა მიიქცია საზოგადოების ყურადღება. მასმედიის საშუალებებით შევიტყვეთ, რომ კინორეჟისორი გიორგი შენგელაია იღებს ფილმს, რომლის სახელწოდება თავდაპირველად იყო "მატარებელი მიდის ბათუმში".

ეს მატარებელი თურმე ორი წლის წინ აპირებდა სტარტის აღებას, სცენარისტ ბიძინა კალანდაძისა და გიორგი შენგელაიას ინიციატივით, მაგრამ დაუფინანსებლობის გამო ადგილიდან ვერ დაიძრა. ამასობაში ბათუმში "სააკაშვილის მატარებელმა" შეასწრო და მოვლენებიც სხვაგვარად წარიმართა.

"საბოლოოდ ამ ფილმს ჰქვია - "მატარებელი მიდიოდა ბათუმში", ძალიან მინდოდა არჩევნებამდე გადამეღო ეს ფილმი, სანამ ჯერ კიდევ არავინ იცოდა დარჩებოდა შევარდნაძე, გაიმარჯვებდა სააკაშვილი თუ არა, - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას გიორგი შენგელაიამ, - ამ ფილმის იდეა პირდაპირ მიმართული იყო შევარდნაძე-აბაშიძის რეჟიმის წინააღმდეგ.

მე ჩავიფიქრე ეს სამი წლის წინ და მინდოდა ჩემი დამოკიდებულება გამომეხატა იმ მდგომარეობისადმი, რაშიც იყო საქართველო ბოლო ათი წელი. სოციალიზმისა და ჩამოყალიბებული კორუფციული ურთიერთობის ფონზე შემოსულმა კაპიტალიზმმა ძალიან უცნაური ფორმა მიიღო ჩვენში, ყველამ გაიგო ისე, თითქოს თაღლითობისათვის, ერთმანეთის მოტყუებისათვის, "ჟულიკობისათვის" კარგი პირობები შეიქმნა. ბოლო ათი წელი ცხოვრების ისეთი სტილი დამკვიდრდა და ამ ყველაფრის გვირგვინი იყო ორი პიროვნება - შევარდნაძე და აბაშიძე.

**"მე ვწერდი, რომ პრეზიდენტის შვილები უნდა იყვნენ ექიმები, პედაგოგები და არა კერძო კომპანიის მფლობელები. ახლა საბედნიეროდ შეიცვალა სიტუაცია, ვინც მართავს სახელმწიფოს, ისინი არ იპარავენ მაინც, ყოველ შემთხვევაში, მე მაგის ინფორმაცია არ მაქვს და იმედია, არ მოხდება, იმიტომ, რომ იქ რომ იწყება კორუფცია, ხალხს ეს მიაჩნია ცხოვრების სტილად. მიუხედავად ამისა მე მაინც არ დავანებე ამ იდეას თავი - ავადმყოფობა ისეთი რამეა... რომ მორჩება ავადმყოფი, იმას მაინც უნდა ახსოვდეს, წლების განმავლობაში, რომ ეს ავადმყოფობა ჰქონდა".**

"შენგელაიას მატარებელი" დაიძრა. დაიძრა დაგვიანებით, მაგრამ საკმაოდ იმედიანი სტარტი აიღო "ქართუ" ჯგუფის დახმარებით, რომლებმაც გადამღებ ჯგუფს, გრანტის სახით, მათ საკუთრებაში მყოფი ტელეკომპანია "მე-9" არხის აპარატურა და 300 ათასი დოლარი გადასცეს.

უკეთესი სათაღლითო პირობების მოსაძებნად, თბილისიდან გამოსულმა "ჟულიკებით" სავსე მატარებელმა, იმთავითვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება და აინტერესებდა თუ სად წავიდოდა ამჯერად იგი. 3 სექტემბერს, გადამღები ჯგუფის მიერ მასმედიით გავრცელებულ ინტრიგას წერტილი დაესვა - "შენგელაიას მატარებელი" ჭიათურაში შევიდა, სადაც სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ფინალური ეპიზოდის გადაღებები. აქვე გიორგი შენგელაიამ მატარებლის მთლიანი მარშრუტი გაგვაცნო: **"მატარებელი მიდის ბათუმში, შემდეგ მეისრე აურევს რაღაცას და წავა აფხაზეთისკენ, სადაც სამხედროები არიან. სამხედროები იქცევიან შესაბამისად იმიტომ, რომ მატარებელში კონტრაბანდას ეძებენ, "შმონავენ", წაართმევენ, მგზავრებს რაცა აქვთ და გამოაგდებენ იქიდან. როცა გამოივლის მატარებელი, მეისრე კიდევ ერთხელ დაუშვებს შეცდომას და გაუშვებს სულ სხვაგან - ჭიათურაში. აქ ისეთი ეპიზოდი გადავიღე, რომ ყველანი, ჭიათურაში შემოსული მატარებლიდან გადმოდიან... კიდევ ერთი აბსურდული სიტუაცია - ამ დროს ჭიათურაში ბათუმის საოპერო დასი იმყოფება გასტროლებზე. რა შუაშია ეს... კაციშვილი არ ესწრება. ჭიათურაში როცა სინათლე არ არის, დენი არ არის და არაფერი არ არის, მარტო თეატრია გაჩახჩახებული... თეატრის ადმინისტრატორი რკინიგზის ბაქანზე გამოჩენილ ხალხს პატიჟებს წარმოდგენაზე. შემდეგ ყველაფერი აბსურდულად მთავრდება - ესენი შედიან თეატრში, იქ სცენაზე ოპერის მომღერლები "აიდა"-დან არიებს მღერიან და ამათ კი, ამდენი "ჟულიკობითა" და აქეთ-იქით სიარულით გადაღლილებს ჩაეძინებათ - ეს კიდევ ერთი მინიშნება, რომ წინა წლებში ეძინა საქართველოს.**

**აბსოლუტური კომედიაა, რომ, ქართველი ხალხი უგზო უკვლოდ დადის აქეთ-იქით, დადიოდა ყოველ შემთხვევაში, ეს ფილმი მარტო მთავრობას კი არ ეხება და "დიდ" პიროვნებებს, ვინც კორუმპირებული იყო. მე ისე ვაკეთებ, რომ ყველა ჩემი გმირი დადებითი პიროვნება არის, მსახიობები ავიყვანე ასეთი, მე ვამბობ იმას, რომ ამ პირობებში ჩაყენებული ქართველი ხალხი არის ამაზრზენი.**

**მე ყოველთვის იმ დროს, რაც შეესაბამება ისეთ სიუჟეტს ვიღებ, მაგრამ შემდეგ მნიშვნელოვნად ვამუშავებ - სახეები, დიალოგები შემაქვს, შემდეგ - რაღაც მოსაზრებები და ყველაფერი მხატვრული ფორმებით. ამ ფილმს არავითარი პოლიტიკური დატვირთვა არ ექნება, ეს არის კომედია რომელიც ყველა დროში შეიძლება მომხდარიყო. მე ვიცინი კეთილი სიცილით იმიტომ, რომ ეს ჩემი ხალხია, ქართველი ხალხი კი ნიჭიერია. ეს ყველაფერი გამოჩნდება სურათში, სადაც თამაშობს რამაზი, კახი, გივი, ოთარი, ზურა ყიფშიძე და ბევრი, ბევრი კარგი მსახიობი.**

ფილმში 80-მდე პერსონაჟია, რომელსაც ქართული კინოს და თეატრის ყველა თაობის საუკეთესო მსახიობთა თანავარსკვლავედი განასახიერებს. ასევე ფილმზე მუშაობენ ოპერატორი ნუგზარ ნოზაძე, დამდგმელი მხატვარი ნიკუშა შენგელაია, კოსტიუმების მხატვარი ქეთინო ფალავანდიშვილი და სხვები.

**P.S.** "სააკაშვილის მატარებელი" ბათუმის შემდეგ, ცხინვალს მიადგა, "შენგელაიას მატარებელი" აფხაზეთიდან გამოაგდეს და ჭიათურაში აღმოჩნდა, "უცნობის მატარებელი" კი თბილისის ქუჩების დასუფთავებით არის დაკავებული. მატარებელის ალეგორიული სიმბოლოები თავზე საყრელი გვაქვს, ხოლო ქართული ხელოვნების ალეგორიული სიმბოლოების საკუჭნაოში, თუნდაც გემის ან თვითმფრინავის ან კოსმოსური ხომალდის სიმბოლოები ძნელად თუ მოიძებნება.

მიუხედავად იმისა, რომ არცთუ პატარა სანაპირო ზოლი გვაქვს ზღვაზე გასასვლელი, არც ისტორიულად მოგვეპოვება რაიმე ცნობა იმის შესახებ, რომ ქართველებს ან საზღვაო ფლოტი ჰყოლოდათ, ან გემებით ემოგზაურათ, ან ებრძოლათ. იქნებ ხელოვანებმა მაინც წარმოიდგინონ, როგორ გამოავლენდა ქართველი თავს გემზე, შუა ზღვაში თუ ოკეანეში, იქ, სადაც არც ლიანდაგებია, არც მეისრეები არიან, უფრო თავისუფალი სივრცეა და არ დაველოდებით კუპეებში, თუ კაიუტებში წამოწოლილები, სად წაგვიყვანს მატარებლის ლიანდაგი, თუ მეისრე. იქნებ საინტერესოა ქართველი ცაშიც, იმ თვითმფრინავში, სადაც გაწყვეტილია კონტაქტი მიწასთან. იქნებ კოსმოსური ხომალდიც აღარ შეგვიჭამოს ბუმ, იმ შემთხვევაში თუ კოსმოსში გავიჭრებით და მარტო "აფრები, აფრები"-სა და "იძირება გემი მაგრამ, ყველაფერი რიგზეა"-ს იმედად არ დაგვტოვოს ჩვენმა ნიჭიერმა ხელოვანებმა.

ამერიკული ისტორია

# სან ფრანცისკოდან ნიუ იორკამდე

მაგდა ანიკაშვილი

კონტრკულტურაზე საუბრისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ჯაზს, აფროამერიკელების ბუნებისა და მენტალიტეტის გამომხატველ მუსიკას, რომელიც ყოველთვის იყო მათი თვითიდენტიფიკაციისა და თვითგადარჩენის საშუალება, რომელიც მათ კულტურას და გენს ინახავდა. საყოველთაო პროტესტის ეპოქაში ჯაზი ბრძოლის იარაღად იქცა. ღამის ნიუ იორკი იზიდავა და აერთიანებდა არა მხოლოდ შავკანიანებს, არამედ ნონკონფორმისტულად განწყობილ თეთრკანიან ახალგაზრდებსაც. მდიდარი ოჯახის შვილები ხშირად იპარებოდნენ კიდეც ღამის კლუბებში, ცეკვავდნენ და თან ახალი იდეებითა და ახალი ცხოვრების სურვილით იმუხტებოდნენ. ამ დროს თავად ჯაზიც შეიცვალა, მეორე მსოფლიო ომის დროს პოპულარული სვინგი ბი ბოპმა შეცვალა, რომელიც ე.წ. მოდერნ ჯაზად და ახალგაზრდული სულის გამოხატულებად იქცა. იმ პერიოდის ნიუ იორკის ყველაზე ბოჰემური უბანი, გრინვიჩ ვილიჯი დასახლებული იყო ახალგაზრდა მხატვრებით, მუსიკოსებითა და ლიტერატორებით, რომლებიც მეგობრობდნენ და შემოქმედებით ძიებებს უზიარებდნენ ერთმანეთს. ჯეკ კერუაკის რომანებს ბი ბოპის ტექსტუალურ ანალოგებად თვლიან, ხოლო ჯაზმენმა ორნეტ კოულმენმა საკუთარი დისკის გარეკანზე აბსტრაქციონისტის ჯექსონ პოლაკის ნახატი გამოიყენა. ღამის კლუბებში დაწყებული ეს ურთიერთობა მოგვიანებით საპროტესტო დემონსტრაციებზე გაგრძელდა.

ამ სამყაროში ცხოვრობს კასავეტესის ფილმის, "ჩრდილების" გმირი, საოცრად ლამაზი და პოეტური ლელია. ის ხატავს, წერს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ცხოვრებას სწავლობს. ყველაფერი თავიდან უნდა აღმოაჩინოს, რადგან იცის, რომ ცხოვრების უკვე არსებული განსაზღვრებანი მიუღებელია. ქუჩაში სეირნობისას ლელია აღწერს თავის გრძნობებს, ის არ არის უბედური, მაგრამ თითქოს ტყვეობაშია. 20 წლის გოგოს მიერ ნათქვამი ეს სიტყვები 60-იანი წლების ზღვარზე ნმიშვნელოვნად ჟღერს.

კასავეტესის ფილმში მთელი ქალაქი იხატება - ბოჰემური ცხოვრება, ინტელექტუალთა შეკრებები, რომელთაც რეჟისორი ოდნავი ირონიითაც გვიჩვენებს სცენაში, სადაც ცხარე დავა გაიმართება სარტრის სტატიის გამო. ლელიას ძმა უბრალო უსაქმურია, რომელიც მთელ დღეებს კაფეში ჯდომასა და გოგონების "შებმაში" ატარებს. თუმცა, კასავეტესი არ არის მორალისტი და სულაც არ თვლის ამ წრეს საზოგადოების სამარცხვინო სახედ. პირიქით, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ბოდიალისას ეს უსაქმური ბიჭები ერთ ძალიან მნიშვნელოვან ფრაზასაც კი ამბობენ: "ხელოვნების აღქმას არ სჭირდება ცოდნა, ის უნდა იგრძნო" ისევე, როგორც უნდა იგრძნო თავად კასავეტესის ფილმები.

"ჩრდილებში" იმ პერიოდის ამერიკის ერთი მტკივნეული პრობლემაც ჩნდება. ლელიას ძმა შავკანიანი მუსიკოსია, შეყვარებულმა კი ეს არ იცის და შეხვედრისას აღმოჩნდება, რომ მისთვის ეს პრობლემას წარმოადგენს. ამგვარი დამოკიდებულება საკმაოდ გავრცელებული იყო იმ დროს.

შავკანიანთა უფლებებისათვის ბრძოლა 60-იანი წლების საპროტესტო მოძრაობის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი იყო. თუმცა შავკანიანთა საზოგადოებრივი მდგომარეობისათვის მნიშვნელოვანი მეორე მსოფლიო ომი გახლდათ, რადგან ომის მონაწილეებს გარკვეული პრივილეგიები გაუჩნდათ. ბევრი მათგანი დაწინაურდა, გადმოსახლდა მეგაპოლისებში და, რაც მთავარია, განათლების მიღების საშუალება მიეცა. თუ 30-იან წლებში შავკანიანთა მოსახლეობის მხოლოდ 19 პროცენტი იღებდა განათლებას, 40-იან წლებში ეს რიცხვი 35 პროცენტამდე გაიზარდა. ამან დიდი გავლენა მოახდინა მენტალიტეტზე და მალე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სოციალური უფლებების მოსაპოვებლად. შეიქმნა რასობრივი თანაბარუფლებიანობის კონგრესი, სტუდენტთა საკოორდინაციო კომიტეტი არაძალადობრივი ქმედებების საკითხში და ამ პერიოდში ჩამოყალიბდა იმ პოლიტიკური ლიდერების ცნობიერება, რომლებიც 60-იან წლებში გამოვლენ ასპარეზზე, რომელთაგან ერთის, მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობა 1968 წელს მოვლენათა გამწვავების ბიძგი გახდება. შეიქმნა ორი მოძრაობა "შავი პანტერა" და ძალაუფლება შავებს", რომელთაც ხშირად ბრძოლა ერთმანეთის წინააღმდეგაც უხდებოდათ, რადგან ვერ თანხმდებოდნენ გარკვეულ საკითხებში, რაც მათ ძალებს ასუსტებდა. მაგრამ ხელისუფლებას მაინც უწევდა დათმობებზე წასვლა. ბრძოლის მეთოდები რადიკალური, ხშირად კრიმინალურიც იყო. მხოლოდ 1964-69 წლებში აფროამერიკულ გეტოში 1893 ამბოხი მოხდა, დაჭერილი იყო 53 ათასი შავკანიანი, დაჭრილი - 8 500, მოკლული კი 220 ადამიანი.

შეიძლება ითქვას, რომ შავკანიანთა ბრძოლა უფლებებისათვის ყველაზე მწვავე იყო. მაგრამ მათ მიაღწიეს მიზანს და სოციალური შეღავათები მოიპოვეს, უფრო მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ მათ თეთრკანიანი მეამბოხეები დაუდგნენ გვერდით, რადგან თანასწორობა მათი იდეების ამოსავალი წერტილი იყო. ახალგაზრდებს უნდოდათ ისეთი საზოგადოების მოწყობა, სადაც არავინ დაიჩაგრებოდა.




ნიუ იორკი - Velvet underground-ის მუსიკითა და LSD-თაი გაბრუებული "ფაბრიკის" სტუმრები.

ეს თემა საკმაოდ მნიშვნელოვანია კასავეტესის "ჩრდილებში", ლელიაც საკმაოდ მკაცრი იქნება საყვარელის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უყვარს ის. თუმცა, კასავეტესი ამ სიყვარულისგან ტრაგედიას არ ქმნის. მისი გმირების ცხოვრება გრძელდება, ისევე როგორც რეალობაში ადამიანები ხვდებიან ერთმანეთს, შორდებიან და შემდეგ ყველა თავის გზაზე მიდის, მაყურებელიც და კასავეტესის ნიუ იორკიც. ფილმი არ მთავრდება, უბრალოდ, ჩერდება ერთ ადგილას და უკვე მაყურებლის გარეშე აგრძელებს ცხოვრებას, შეიძლება კიდევ შეხვდნენ სადმე ერთმანეთს, მაგრამ მაინც მეეჭვება როდესმე განმეორდეს ეს განწყობა ქალაქისა "რევოლუციის წინ".

თუ ამერიკის დასავლეთ ნაწილში სან ფრანცისკოს გარშემო მოიყარა თავი ახალგაზრდობამ და ეს ქალაქი გახდა მათი თავისუფლების სიმბოლო, აღმოსავლელთათვის კულტურის და საზოგადოებრივი ცხოვრების ტრადიციული ცენტრი ნიუ იორკი იყო. ქალაქი, რომელიც გვიჩვენა კასავეტესმა, რომლის ცხოვრებაც იმ ჯაზურ რითმებს ჰგავდა, ღამით რომ აჟღერებდნენ კლუბებში, სადაც ანდერგრაუნდის წევრები გიჟობდნენ და აფრთხობდნენ მთელ ამერიკას, სადაც არსებობდა ენდი უორჰოლი და "ველვეტ ანდერგრაუნდის" მუსიკითა და LSD-თი გაბრუებული "ფაბრიკის" სტუმრები, გრინვიჩ ვილიჯი ფოლკის მამებით, მხატვრებითა და ბითნიკებით დასახლებული, სადაც ტარდებოდა ჰეფენინგები და პერფორმანსები. მაგრამ იყო სხვა ქალაქიც, იყო ნიუ იორკის ფსკერი, რომელიც პირველი დაინახა ბრიტანელმა ჯონ შლეზინგერმა ამერიკაში ჩამოსვლისთანავე და ფილმიც ამაზე გადაიღო.

# ინგლისური ტრიუმფი ვაჭრებით სავსე ვენეციაში

თამარ ბაბუაძე

მაიკ ლის "ვერა დრეიკი", რომელიც ნამდვილ ამბავზეა დაფუძნებული, მოგვითხრობს 1950-იანი წლების ამბავს, თუ როგორ ეხმარება ერთი დამლაგებელი ქალი გაჭირვებულ გოგონებს და აბორტს ყოველგვარი ფინანსური გამორჩენის გარეშე საიდუმლოდ უკეთებს მათ. ამ ქალს აპატიმრებენ და თავისი "სიკეთისთვის" განსჯიან, ანუ თავიანთ, ზოგად ინგლისურ მორალს უპირისპირებენ მის სიმართლეს და საფუძველს უდებენ დიდ ოჯახურ ტრაგედიას. ამ ქალს ვერა დრეიკი ჰქვია და ის ხმაურიანი რეჟისორის მორიგი არასწორხაზოვანი, რთული პერსონაჟია, რომელიც შაბათს დასრულებულ ვენეციის კინოფესტივალზე ორმაგად დაჯილდოვდა - "ოქროს ლომი" მას გადაეცა, როგორც საუკეთესო მხატვრულ ფილმს, ვერცხლის ლომი" კი - იმელდა სტაუნტონს, მსახიობს, რომელმაც ვერა დრეიკის ნამდვილი ამბავი გადასაღებ მოედანზე დიდი ოსტატობით გააცოცხლა.

რეცენზენტები მაიკ ლის მისამართით ქებას არც ამ გამარჯვებამდე იშურებდნენ. წერდნენ, რომ ეს ზედმიწევნით ინგლისური ისტორიაა; რომ "ვერა დრეიკში" უწვრილმანეს დეტალებამდეა აღდგენილი 50-იანი წლები. ინტერიერი, კაბები, იდიომები, სასაუბრო თემებიც კი იმ ეპოქისაა, მაიკ ლის გენია კი პერსონაჟების სრულყოფილად გამოძერწვაშიც მჟღავნდება.

თუმცა, პროგნოზს ამ ინგლისური ტრიუმფის სასარგებლოდ არავინ აკეთებდა. "ინთერნეშნლ ჰერალდ თრიბუნის" რეცენზენტიც ვარაუდობდა, რომ რადგანაც აბორტი აქტუალური თემა არ გახლავთ, მას ბრიტანეთში დიდი რეზონანსი არ მოჰყვება და უფრო იმ ქვეყნებში მიიზიდავს პუბლიკას, სადაც ეს პრობლემა ჯერაც მწვავედ დგას. პუბლიკის რა მოგახსენოთ, მაგრამ ვენეციის კინო-ფესტივალის ჟიურის აღფრთოვანება კი ფილმმა ნამდვილად შეძლო. თავის მხრივ, აღფრთოვანებული, თამამი და ხმაურიანი განცხადებები დარბაზში შეკრებილთათვის არც თავად ხმაურიანმა რეჟისორმა დაიშურა:

"მადლობა მინდა ვუთხრა კანის ფესტივალის ორგანიზატორებს ამ ფილმის იმ დონეზე უარყოფისთვის, რომ ჩვენ ამ საღამოს აქ აღმოვჩნდით...

ყოველთვის თვითრწმენით ვივსები ხოლმე, როცა ცინიზმით აღსავსე მსოფლიოში ასეთი არაჩვეულებრივი ამბავი ხდება - როცა დაბალბიუჯეტიანი, სერიოზული, დამოუკიდებელი და თამამი ევროპული ფილმი დიდი პრიზით ჯილდოვდება, დიდ პუბლიკამდე აღწევს და აღიარებას მოიპოვებს. გმადლობ, ვენეცია ამისთვის", - განაცხადა ლიმ.

ერთი სიტყვით, ფილმების - "საიდუმლოებები და ტყუილების" (1996 წ.) და "შიშველის" (1992 წ.) შემდეგ 61 წლის რეჟისორი ბრიტანული სოციალური პრობლემების შესახებ მორიგ ნატურალისტურ სურათს ქმნის და მისი დაჯილდოებისთვის ლამის მთელ ვენეციას უხდის მადლობას. სამაგიეროდ, თვითონ ლის მადლობელია იმელდა სტაუნტონი: "მართლაც ვფიქრობ, რომ ფილმი ძალიან კომპლექსურ თემას უდიდესი სერიოზულობით უდგება. მაიკ ლი ნამდვილი გენიოსია", - აცხადებს ის და თავისი თამაშით კიდევ ერთხელ ამტკიცებს აქამდე გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ლი მსახიობებთან ურთიერთობის სასწაულია; რომ რეჟისორი ყოველთვის ახერხებს შესანიშნავი თამაში, როლისთვის ბოლომდე გახსნა მათ, უბრალოდ, "აიძულოს".

მაიკ ლი ნამდვილად არ გამოჩენილა ესპანური ფილმის Mar Adentro-ს ("შუაში მოქცეული ზღვა") გადასაღებ მოედანზე, მაგრამ ამ არტისტული სასწაული ხავიერ ბარდემმა მის გარეშეც მოახდინა. რეჟისორ ალეხანდრო ამენაბარს სულაც არ გაჭირვებია მისგან წელსქვევით მოწყვეტილი კაცის სახე შეექმნა, რომელსაც თავის მოკლვა სურს. ბარდემმა იმდენად აღაფრთოვანა ყველა, რომ ის ვენეციის საუკეთესო მსახიობი მამაკაცი გახდა (შეგახსენებთ, შარშან ეს პატივი შონ პენს ერგო, თავად ბარდემი კი ვერცხლის ლომით 2000 წლის ვენეციაზეც დაჯილდოვდა, ჯულიან შნაბელის ფილმში Before Night Falls შესრულებული როლისთვის), ხოლო თავად ფილმს კი, სხვათა შორის, "ოქროს ლომის" ერთ-ერთ პრეტენდენტადაც მოიაზრებდნენ.

11 სექტემბრის საღამოს საკუთარი წილი ლომის წასაღებად სცენაზე კორეელი რეჟისორი კიმ კი-დუკიც ავიდა. ის ფილმისთვის "ბინ-ჯიპ" - საერთაშორისო ბაზარზე გატანილი სათაურით "3-რკინა" - ვენეციის საუკეთესო რეჟისორი გახდა. ეს პრიზი კორეელს ნამდვილად ეკუთვნოდა, მისმა უსიტყვო, მაგრამ ემოციებითა და სიმძაფრით დატვირთულმა ფილმმა ხომ მთელი კინოფესტივალი აალაპარაკა.

კიმ კი-დუკის მთავარი გმირი ტაე სუკია - მაწანწალა, რომელიც დაკეტილ სახლებში შეიჭრება ხოლმე და სანამ პატრონები არ ბრუნდებიან, იქ ცხოვრობს. ერთხელაც ტაე სუკი შედის სახლში, რომელიც ცარიელი ჰგონია, მაგრამ იქ ახალგაზრდა ავადმყოფი ქალი ხვდება. როცა ქმარი ბრუნდება, მაწანწალა მის დამარცხებას ახერხებს და ქალთან ერთად გარბის. შემდეგ ისინი უკვე ერთად დაძრწიან სახლიდან სახლში, სანამ პოლიცია არ მიაგნებს მათ კვალს. მთელი ფილმის განმავლობაში ტაე სუკი ერთ სიტყვასაც არ ამბობს, ქალი კი - ერთადერთ წინადადებას. ასე რომ, კორეელი რეჟისორი ახერხებს ამბავი მთლიანად ვიზუალური ხერხებით გადმოგვცეს, დამაინტრიგებელი სიყვარულის ისტორია გვიამბოს და უცნაური, ორიგინალური იუმორით გაგვახალისოს. თუმცა, ზოგიერთ რეცენზენტში რეჟისორის არჩევანი - 21-ე საუკუნის მუნჯი კინო შექმნას, ცინიზმს იწვევს. რატომ მიისაჯა კიმ კი-დუკმა ეს სასჯელი, არავინ იცის, ნეტავ, მან ეს უსიტყვო ფილმი ნაძლევზე ხომ არ გადაიღოო - ასეთი კომენტარებიც გაჩნდა. თუმცა, ასეა თუ ისე, კორეელი კიმ კი-დუკი უძველესი ევროპული ფესტივალის საუკეთესო რეჟისორია.

დაბოლოს, ვენეციის დახურვის ცერემონიალს სულ სხვა პათოსი შეჰმატა 80 წლის სტენლი დონენის გამოჩენამ. რეჟისორს კინოში შეტანილი წვლილისთვის საგანგებო პრიზი გადასცეს უკვდავი მიუზიკლის "სიმღერა წვიმაში" თანარეჟისორობისთვის. დონენმა სოფია ლორენთან ერთად მსუბუქი და დახვეწილი მოძრაობებით ერთი წაიცეკვა, ჯილდო ჩაიბარა და პუბლიკას მხიარულად განუცხადა: "შესანიშნავი ცხოვრება მქონდა. ბევრი ფილმი გადავიღე. მაგრამ ჯერ არ დამიმთავრებია. კიდევ რამეს მოვიფიქრებ. მიხარია, რომ დღეს აქ ვარ".

შემდეგ კი ვენეციის კინოფესტივალის ფარდა ერთი წლით დაეშვა. კულისებში დარჩენილმა დირექტორმა მარკო მიულერმა კი შვებით ამოისუნთქა და შუბლზე ოფლი მოიწმინდა - ამ ორი კვირის განმავლობაში ხომ მას რაში აღარ დასდეს ბრალი: ცუდ ორგანიზებაში - ჩვენებები გვიან იწყებოდა, მაგალითად, ჯონი დეპის ფილმი ღამის ორ საათზე უჩვენეს (რეჟისორი კი შეთხელებულ და რულმორეულ პუბლიკას მწარე იუმორით შეხვდა: "მოგესალმებით ფილმის ჩვენება-საუზმეზე. დღეს დილას მიულერი კროასანებით გაგიმასპინძლდებათ, მე კი მას დროის ფასს ვასწავლი); ალ პაჩინოს ფეხზე მდგომს აცდევინებდნენ, სკამი არ გაქვსო; ერთი და იმავე 200 ბილეთს ორ-ორჯერ ჰყიდდნენ, კომპიუტერს შეეშალაო; განგაშს ტეხდნენ, დარბაზში ბომბი დევსო; ანტონიონის, სოდერბერგისა და კარ ვაი-ვონგის გახმაურებელი ფილმის, "ეროსის" ჩვენებას შუაში სხვა ფილმით წყვეტდნენ, გამშვებს ფირები აერიაო; დახურვის ცერემონიალზე გამომცხადებელს, მსახიობ კლაუდია ჯერინის პრიზების გადაცემის რიგი აერია, უკაცრავად, შემეშალაო...

იყო მეორე ბრალდებაც - მარკო მიულერმა ვენეცია ვაჭრებით (ჰოლივუდელი ბიზნესმენებით, ან, თუ გნებავთ, გადამყიდველებით) აავსო, რომელთაც თვალების ნაცვლად მწვანე დოლარები აქვთ გამოსხმული, კინოს ხელოვნებად ვერ აღიქვამენ, სულ ბლოკბასტერები, მეძავიკონკიები, რობოტები და მომავალში მოგზაურობები ელანდებათ, და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ყველაფერს არაფერი აქვს საერთო შექსპირთანო; მოკლედ, მიულერმა ევროპის უძველესი კინოფესტივალი მეორე "ოსკარად" აქციაო, ის მოყვარული რეჟისორის დადგმულ შოუს დაამსგავსაო...

თუმცა, მარკო მიულერი მშვიდი კაცი აღმოჩნდა და დიდ სკანდალს მაინც დაუძვრა ხელიდან. ლოკარნოს კინოფესტივალის ყოფილ ხელმძღვანელს სიმშვიდის საფუძველი, ალბათ, იმანაც მისცა, რომ 4-წლიანი კონტრაქტი ვენეციაში უკვე გაფორმებული აქვს - ხმას ველარავინ ამოიღებს. ამიტომაც მიულერი ფარდის დახურვის შემდეგ იმედიანად ამბობს: "არა მგონია, ერთი და იგივე შეცდომა ორჯერ დავუშვათ". არსებობს სამომავლო პროექტებიც: არტ დეკოს ტრადიციული თეატრის შეცვლა დიდი კინოდარბაზით, საკონკურსო პროგრამაში მონაწილე ფილმების რიცხვის შემცირება, "ჰორიზონტის" სექციის გადახედვა და ამერიკული ფილმების საკითხის მოგვარებაც - "ჩემი პირადი პრობლემა ამერიკული პროდუქციააო", - განმარტავს ფესტივალის დირექტორი. ასე რომ, გეგმები არის. ვენეციასაც ისღა დარჩენია, 2005 წელს დაელოდოს.



იმელდა სტაუნტონი



მაიკ ლი



ხავიერ ბარდემი



კიმ კი-დუკი



სტენლი დონენი

მოკლედ

## მერიონ ჯონსი: "ვამაყობ ჩემი სხეულით"



მერიონ ჯონსის ერთადერთი შემოსავალი შეიძლება ფოტომოდელობა გახდეს.

"ვამაყობ ჩემი სხეულით, - განაცხადა ჟურნალ "მაქსიმისთვის" მიცემულ ინტერვიუში სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ამერიკელმა მორბენალმა მერიონ ჯონსმა, - მაგრამ ამაზე ბიზნესს არ ვაგებ. ამიტომ, თუ ხვალ ჩემს სხეულს რაიმე დაემართება, ამით ჩემი კარიერა არ დასრულდება". ამის მიუხედავად, ათენის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ის ჟურნალის ფოტოგრაფების წინაშე მაინც გაშიშვლდა.

მაშინ მერიონ ჯონსმა არ იცოდა, რომ ოლიმპიური თამაშები მის გარეშე გაიმართებოდა. მშობიარობის შემდეგ (ბავშვის მამა 100 მეტრ დისტანციაზე სირბილში მსოფლიო რეკორდსმენი ტიმ მონტგომერია), სპორტსმენი სარბენ ბილიკებს დაუბრუნდა და ათენის ოლიმპიურ თამაშებზე დიდ იმედებს ამყარებდა. სიდნეიში მერიონმა 5 მედალი მოიპოვა (3 ოქრო და 2 ბრინჯაო), ათენში კი შავკანიანი მორბენალი თავისი წინა მიღწევის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად.

მაგრამ მერიონ ჯონსის ყოფილმა მეუღლემ სი ჯეი ჰანტერმა აღიარა, რომ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ჯონსი დოპინგს ხმარობდა. ბადროს მტყორცნელმა ჰანტერმა საკონტროლო ლაბორატორიის წარმომადგენლებს აცნობა, რომ აკრძალულ პრეპარატებს თავის მეუღლეს თვითონ უკეთებდა.

ჯონსი დიდი ხნის განმავლობაში ებრძოდა ბრალდებებს დოპინგისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების თაობაზე. სავარაუდოა, რომ სწორედ ეს გარემოება დაეტყო მის გამოსვლას ათენის სარბენ ბილიკებზე. სპორტსმენმა საკვალიფიკაციო ბარიერი ვერ დაძლია.

ამრიგად, შეიძლება ჯონსმა იჩქარა, როცა განაცხადა, გაშიშვლება ჩემი საქმე არ არისო. გამორიცხული არაა, ფოტომოდელის კარიერა მის ცხოვრებაში შემოსავლის ერთადერთი წყარო გახდეს.

ფეხბურთი

# გასეირნება ბრძოლის წინ

მიხეილ აბაიშვილი



ლევან ხერხეულიძის ფოტო

კრაკოვში გამგზავრების წინ გია გეგუჩაძე იმედიანადაა განწყობილი.

ხვალ თბილისის "დინამო" სეზონის უმთავრესი მატჩის ჩასატარებლად პოლონეთს გაემგზავრება. უეფას თასის ძირითადი ბადის პირველი ეტაპის დასაძლევად და ჯგუფურ ტურნირში მოსახვედრად ქართული საკლუბო ფეხბურთის ლიდერმა პოლონეთის "ვისლას" წინააღმდეგობა უნდა დაძლიოს. თუ რაოდენ ძნელად გადასაჭრელია ეს ამოცანა, თავის თავზე უკვე გამოსცადა თბილისის "ვიტ ჯორჯიამ". მართალია, წყვილში ფავორიტად კრაკოვის გუნდი ითვლება, მაგრამ "დინამომ" წლეულს რამდენჯერმე დაამტკიცა, რომ ანგარიშგასაწევი მეტოქეა და პოლონელებს უბრძოლველად არაფერს დაუთმობს.

"დინამოს" ძალა გუშინ საკუთარ თავზე გამოსცადა ფოთის "კოლხეთმა", რომელიც ორი დღის წინ თბილისს საქართველოს ჩემპიონატის მე-6 ტურის კალენდარული მატჩის ჩასატარებლად ეწვია. წინდაწინვე ნათელი იყო, რომ ზღვისპირელები "დინამოს" სერიოზულ სპარინგ-პარტნიორად ვერ ივარგებდნენ. ჯერ ერთი, "კოლხეთი" ჩემპიონატის პირველ ტურებს სტაბილურად ცუდად თამაშობს - ხუთი მატჩიდან ოთხი წააგო. ამას გარდა, თავად "დინამო" საუკეთესო ფორმაშია - მან პირველ ტურებში ჩემპიონობაზე პრეტენზიის მქონე ყველა გუნდთან დამაჯერებლად გაიმარჯვა. იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის გამო ჩემპიონატში ორკვირიანი შესვენება იყო გამოცხადებული და ფეხბურთელებს სათამაშო პრაქტიკა აკლდათ, გეგუჩაძემ ძირითადი შემადგენლობის არც ერთი ფეხბურთელი არ დაასვენა და ფოთელებთან სათამაშოდ უძლიერესი შემადგენლობა შეარჩია. თავად განსაჯეთ: მამალაძე, შაშიაშვილი, ჭიჭვეიშვილი, სალუქვაძე, კვირკველია, კანკავა, გრიგალაშვილი, ნემსაძე, კაკალაძე, მელქაძე, გონჩაროვი - ასეთი შემადგენლობით დაიწყეს მასპინძლებმა თამაში. მატჩის მეორე ნახევარში შაშიაშვილის, კანკავასა და კაკალაძის ნაცვლად მოედანზე შემოვიდნენ კანდელაკი, კაშია და ალადაშვილი. რაც შეეხება "დინამოს" ძირითად მეკარეს, ირაკლი ზოიძეს, შეგახსენებთ, რომ მან პრაღის "სლავიასთან" განმეორებით მატჩში, რომელიც "დინამოს" გამარჯვებით დასრულდა, ტრავმა მიიღო. თუმცა, "კოლხეთთან" სათამაშოდ იგი უკვე მზად იყო, მაგრამ გეგუჩაძემ არ გარისკა და ზოიძე სათადარიგოთა სკამზე დატოვა. ცხადია, კრაკოვში ირაკლი ძირითად შემადგენლობაში დაიკავებს ადგილს.

ახლა რამდენიმე სიტყვა თავად მატჩზე. მართლაც, მხოლოდ რამდენიმე, რადგან "დინამომ" პირველივე წუთებიდან ყველა ეჭვი გააქარწყლა. კვირკველიამ მე-5 წუთზე გახსნა ანგარიში. მე-14, 45-ე და 90-ე წუთებზე კი "დინამოს" სამივე თავდამსხმელმა, კაკალაძემ, გონჩაროვმა და მელქაძემ გაიტანეს გოლები, რითაც გეგუჩაძე სერიოზული არჩევანის წინაშე დააყენეს. საეჭვოა, რომ მან კრაკოვშიც 4-3-3 ტაქტიკური განლაგება აირჩიოს და გასვლით მატჩში სერიოზულ მეტოქეს სამი თავდამსხმელით დაუპირისპირდეს. ამიტომ გეგუჩაძეს სწორი არჩევანის გაკეთებაში მხოლოდ მწვრთნელის ინტუიცია თუ დაეხმარება, რასაც ამ სეზონში მისთვის ჯერ არ უმტყუნია.

ფოთელები მხოლოდ მატჩის მეორე ნახევარში გააქტიურდნენ, როცა ანგარიში 3:0 იყო და "დინამოც" აქტიური თამაშით თავს მაინცდამაინც აღარ იწუხებდა. სტუმრებმა რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ მამალაძის კარის დალაშქვრა მაინც ვერ მოახერხეს. ასე რომ, "ვისლასთან" მატჩის წინ "დინამომ" გამარჯვებით ბრწყინვალე ფსიქოლოგიური განწყობა შეიქმნა და პოლონეთში კარგ გუნებაზე გაემგზავრება. საგანგებოდ ამ მატჩზე დასასწრებად "ვისლამ" თავისი მზვერავები გამოგზავნა - გუნდის ტექნიკური დირექტორი და ერთ-ერთი მწვრთნელი, რომლებიც შეხვედრის შემდეგ შეფიქრიანებულები ჩანდნენ. კარგი იქნება, თუ მათ კრაკოვის მატჩის შემდეგაც ასეთი განწყობა ექნებათ.

შეხვედრის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, "დინამოს" მთავარი მწვრთნელი მაინცდამაინც კმაყოფილი არ ჩანდა. "შედეგი ჩვენთვის სავსებით მისაღებია. თუმცა, მეორე ტაიმში ჩემმა ფეხბურთელებმა შედარებით მოადუნეს ყურადღება, რის გამოც ჩვენს კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა. იმის თქმაც შეიძლება, რომ ამ დროს დიდი ანგარიშით ვიგებდით და ფეხბურთელებს, რომლებიც ფსიქოლოგიურად უკვე პოლონეთში არიან, მოტივაცია აღარ ჰქონდათ, მაგრამ ეს არ არის საპატიო მიზეზი. ჩემს რამდენიმე ფეხბურთელთან სერიოზული ლაპარაკი მომიწევს", - კატეგორიული იყო გეგუჩაძე,

**სხვა მატჩების შედეგები**

| | |
|---|---|
| **ლოკომოტივი - ვიტ ჯორჯია** | **0:0** |
| **ტორპედო - დინამო (ბთ)** | **2:0** |
| **ზესტაფონი - დილა** | **2:0** |

## სპორტსმენი ბუშის წინააღმდეგ



კარლ ლუისი ჯორჯ ბუშის პოლიტიკას აკრიტიკებს.

ცხრაგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მორბენალმა კარლ ლუისმა განაცხადა, რომ ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ათენის ოლიმპიური თამაშები თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენა. ლუისის თქმით, ბუშის მთელი რიგი განცხადებები მის წინასაარჩევნო რეკლამას ემსახურებოდა. კერძოდ, მძლეოსნის თქმით, ბუშმა ტელევიზიით გამოცვლისას განაცხადა, თითქოს ოლიმპიურ თამაშებზე ავღანელი და ერაყელი სპორტსმენების მონაწილეობა პირადად მისი, ბუშის დამსახურებაა.

ლუისი აკრიტიკებს ბუშის პოლიტიკას ავღანეთსა და ერაყში და ამბობს: "რა თვალთმაქცურია ეს ყველაფერი. ჩვენ ავღანეთის გამო მოსკოვის ოლიმპიადას ბოიკოტი გამოვუცხადეთ. ახლა კი ამ ქვეყანას ვბომბავთ".

"რასაკვირველია, ჩვენ ერაყის ტერიტორიაზე შევიჭრეთ, - აგრძელებს კარლ ლუისი, - და ამას პოლიტიკური სარგებლობისთვის ვიყენებთ. ეს მთრგუნავს და კარგად მესმის, თუ რატომ გრძნობენ ერაყელი სპორტსმენები თავს შეურაცხყოფილად. სპორტსმენების მხარდაჭერა კარგია, მაგრამ ეს პირადი გამორჩენის მიზნით არ უნდა კეთდებოდეს".

## გასკოინი დაზიანდა

ინგლისის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, ამჟამად კი "ბოსტონ იუნაიტედის" მოთამაშე მწვრთნელმა პოლ გასკოინმა ტრავმა მიიღო. ინგლისური კლუბის "ლუთონის" სპორტულმა დირექტორმა მარკ ჰარტფორდმა განაცხადა, რომ პოლ გასკოინს თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის განმავლობაში მრავალი ტრავმა მიუღია, მაგრამ ამჯერად მან ბარძაყის კუნთი დაიზიანა, მაშინ, როცა ავტოგრაფების მოყვარულებს გაურბოდა.

უკვე დიდი ხანია, გაზა (ასე უწოდებს მას მთელი მსოფლიო) საფეხბურთო მინდორზე აღარ ბრწყინავს. მან ჩინეთის მეორე დივიზიონშიც კი ვერ მოიკიდა ფეხი. თუმცა, ინგლისის ნაკრების ყოფილი ლიდერი დღემდე პოპულარულია. სადაც არ უნდა გამოჩნდეს ფეხბურთელი, რომელიც ალკოჰოლურ პრობლემებს განიცდიდა, ავტოგრაფების მოყვარულებს ვერსად გაურბის.

გასკოინი, რომელიც გასული სეზონის დაწყებიდან მოსკოვის "ტორპედო-მეტალურგში" გადასვლის კანდიდატიც იყო, მას შემდეგ, რაც მკურნალობის კურსი არიზონას ალკოჰოლისა და დეპრესიისგან განკურნების კლინიკაში გაიარა, ალკოჰოლს აღარ ეტანება.

ფორმულა 1

# "ფერარი" ორმაგად



"ფერარელების" მომგები გუშინ არავინ იყო.

ბიგა გურასაშვილი

*"იტალიის დიდი პრიზი", ყველაფერთან ერთად, იმით იყო გამორჩეული, რომ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის ლიდერს - "ფერარის" შინაურ კედლებში უწევდა ასპარეზობა. მიუხედავად იმისა, რომ იტალიურმა საჯინიბომ "უნგრეთის დიდ პრიზზე" დაისაკუთრა კონსტრუქტორთა თასი, ხოლო მიხაელ შუმახერმა "ბელგიის დიდ პრიზზე" ნაადრევად გაინაღდა ჩემპიონობა, იტალიელი ტიფოზები სკუდერიელებისგან კვლავაც გამარჯვებას ითხოვდნენ.*

ვიდრე ბოლიდები "მონცას" ტრასას შეესეოდნენ, საჯინიბოები, მათი ტექნიკური პერსონალი ერთთავად ცისკენ იყურებოდა, მერე კი იმაზე მარჩიელობდა, ბოლიდები რომელ საბურავებზე გადაეწყოთ - საწვიმარზე თუ მშრალზე. საფიქრებელი ჭირვეული ამინდისგან მოდიოდა. გუნდებს განსაკუთრებით ხეებით გადაფარული "ლესმოსის" მონაკვეთი აფრთხობდათ.

...საბურავების გადაწყობა-გადმოწყობაში ორმაგ სტრატეგიას მიმართეს ფერარელებმა. ბარიკელო სველი საფარისთვის განკუთვნილი საბურავებით შეუშვეს ტრასაზე, ხოლო მიხაელი - მშრალი საფარის "ბრიჯსტოუნით". თუმცა, ცვალებადი ამინდის გამო მოგვიანებით ბოქსებში შესულ ბრაზილიელს საბურავების რაღაც საშუალედოზე გადაწყობა მაინც მოუხდა. ტაქტიკამ გაამართლა. რუბინიომ სეზონის პირველი რბოლა მოიგო, "შუმიმ" კი მეორეემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი. საგულისხმოა, რომ პირველი-მეორე ადგილები ფერარელებისთვის სეზონის მერვე ასეთი შედეგია.

კვალიფიკაციამოგებულ ბარიკელოს რომ უნდა გაემარჯვა, ალბათ, ყველაზე ადვილად გამოსაცნობი გახლდათ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მიხაელს ჩემპიონის ტიტული განაღდებული ჰქონდა, მეორე ის, რომ სკუდერიელებს მეორე ადგილიც თავისთვის უნდოდათ. ბოქსებში შემუშავებული სტრატეგია "მონცაზე" გამოაშკარავდა. თავიდან არა, მაგრამ მერე და მერე ბარიკელოს ბორბალზე დამჯდარი "შუმი" ყველანაირად ცდილობდა, თანაგუნდელის მოცილეებისთვის გზა გადაეღობა. არადა, რბოლის დაწყებამდე მიხაელი ამბობდა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ჩემპიონი ვარ, ბარიკელოს არაფერს დავუთმობო, თუმცა, მის ნათქვამში თავიდან შეიძლებოდა ეჭვის შეტანა. გუნდური ტაქტიკიდან გამომდინარე, ასეთი რამ თავიდანვე არასერიოზულად ჟღერდა.

და, საერთოდ, "ფერარის" სტრატეგია არც გუშინ გაშიფრულა და არც დღეს. რა ხანია, გუნდი პირველ და მეორე ნომრებადაა დაყოფილი. უფრო სწორად, თანაგუნდელებს შორის არათანასწორუფლებიანობაა. სკუდერიისთვის უმთავრესი ჯერ მიხაელია და შემდეგ - ბარიკელო. არადა, მათ შორისაც რომ ჯანსაღი კონკურენცია ყოფილიყო, რბოლა მეტ ელფერსა თუ ინტრიგას შეიძენდა. მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუბინიოს "შუმისთან" გაჯიბრება აკრძალული აქვს. ერთი სიტყვით, ჯერ შუმახერი და მერე ბარიკელო.

ახლა რაც შეეხება გერმანელისა და ბრაზილიელის გუშინდელი რბოლის მოცილეებს. მათთან ჭიდილს ცდილობდნენ ბარელები ჯენსონ ბატონი და ტაკუმა სატო. ერთხანს ბატონი ლიდერობდა კიდეც რბოლას, მაგრამ საბოლოოდ "ფერარისთან" BAR-ი მაინც უძლური აღმოჩნდა. სკუდერიელთა უპირატესობა იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ აშკარა ხდებოდა: მე-15 ეტაპი წითელი ბარონის მფლობელობში დარჩებოდა, ჯენსონი კი მესამე ადგილით უნდა დაკმაყოფილებულიყო. ტაკუმა სატომ მეოთხე ადგილი დაიკავა, რაც იმას ნიშნავს, რომ კონსტრუქტორთა ჩათვლაში ბარელებმა "რენოს" მეორეობა ჩამოართვეს.

შიგადაშიგ, როდესაც "ფერარის" ტექნიკურ პერსონალს აჩვენებდნენ, ყოველი მათგანი რბოლას ოლიმპიური სიმშვიდით შეჰყურებდა. მათში განსაკუთრებული თავდაჯერებულობა რბოლის დასრულებამდე ათი წრით ადრე იგრძნობოდა.

როდესც კიმი რაიკონენმა "ბელგიის დიდი პრიზი" მოიგო, მაკლარენელებს, შესაძლოა, იმედი გაუჩნდათ, რომ "მონცას" ტრასაც წარმატებული იქნებოდა მათთვის, მაგრამ ისე მოხდა, რომ მე-14 ეტაპის ტრიუმფატორი "იტალიის დიდ პრიზს" 13 წრის შემდეგ გამოეთიშა. სრული კრახისგან მაკლარანელები იხსნა დევიდ კულჰარდმა, რომელმაც ჩასათვლელი მეექვსე ადგილი დაიკავა.

**"იტალიის დიდი პრიზი". "მონცა". 53 წრე**

**პირადი პირველობა**

| | |
|---|---|
| 1. რუბენს ბარიკელო "ფერარი" | 1:15.18.45 |
| 2. მიხაელ შუმახერი "ფერარი" | 1:15.19.79 |
| 3. ჯენსონ ბატონი BAR | 1:15.28.64 |
| 4. ტაკუმა სატო BAR | 1:15.33.82 |
| 5. ხუან-პაბლო მონტოია "BMW-უილიამსი" | 1:15.50.80 |
| 6. დევიდ კულჰარდი "მაკლარენ-მერსედესი" | 1:15.51.89 |
| 7. ანტონიო პიცონია "BMW-უილიამსი" | 1:15.52.20 |
| 8. ჯანკარლო ფიზიკელა "ზაუბერი" | 1:15.53.88 |
| 9. მარკ უებერი "იაგუარი" | 1:16.15.21 |
| 10. იარნო ტრული "რენო" | 1:16.24.76 |

**კონსტრუქტორთა ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. "ფერარი" | 234 |
| 2. BAR | 94 |
| 3. "რენო" | 91 |
| 4. "BMW-უილიამსი" | 60 |
| 5. "მაკლარენ-მერსედესი" | 52 |
| 6. "ზაუბერი" | 29 |
| 7. "იაგუარი" | 10 |
| 8. "ტოიოტა" | 9 |
| 9. "ჯორდანი" | 5 |
| 10. "მინარდი" | 1 |

კალათბურთი

# იღბლიანი სტარტი

## ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი

**საქართველო - ფინეთი 85:78 (21:23, 16:22, 21:11 27:22 )**

პაატა თოთაძე

**საქართველო:** გამყრელიძე, ვ. ბოისა (15), ა. ბოისა, ფაჩულია (30), ცინცაძე (4), ტულუში, უილიამსი (19), მარკოიშვილი (12), ბერძენიშვილი, ხეცურიანი (1), კილაძე, ცქიტიშვილი (4)

**ფინეთი:** ულანდერი, კუისმა, მატინენი (23), ლეჰტონენი, მუურინენი, ნოოპილა (5), კოტი (12), რიიელა (3), ლეჰტორანტა (2), მოტოლა (21), ვირტანენი, რანიკო (12)



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ფინელებმა ვერც ცინცაძე შეაჩერეს და ვერც საქართველოს ნაკრები.

პირველი ბრძოლა მოგებულია - საქართველოს ნაკრებმა ევროპის 2007 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ფინეთის ეროვნულ გუნდს სძლია, მაგრამ მთლიანად ომის მოგებამდე ჯერ ადრეა. წლეულს კიდევ ორი ბრძოლის გადატანა გველის - 15 სექტემბერს მაკედონიასთან და 18 სექტემბერს ლუქსემბურგთან. ბევრ რამეს მაკედონიასთან თამაში გადაწყვეტს. ჩვენს ჯგუფში უმთავრეს ფავორიტებად ექს-იუგოსლავიელები მიიჩნევიან. ასე რომ, მათთან გასვლით მატჩში წარმატება ჯგუფიდან გასასვლელად გადადგმული სერიოზული ნაბიჯი იქნება. ეს ყველაფერი მომავლის საქმეა, გუშინწინ კი...

დიდი ხანია, ასე გადატენილი სპორტის სასახლე არ მინახავს. ტრიბუნებზე ადგილი რომ აღარ იყო, გულშემატკივრები კიბეებზე მოკალათდნენ და იყო დიდი გულშემატკივრობა, ისეთი, დრაჟენ ბრაიკოვიჩს მატჩის შემდეგ მადლობა რომ გადაახდევინა, ასეთი რამ არ მინახავს, დღეს გულშემატკივარი მეექვსე მოთამაშე იყოო.

პირველი ბურთი ფინელებმა ჩააგდეს - ფაჩულიას მოგებული ბურთი კოტის ჩაუვარდა ხელში და 0:2. ამის შემდეგ სამწუთიანი მონაკვეთი ქართველებმა 8:0 მოიგეს, რის შემდეგაც ქართველთა დაცვაში მრავალი ხარვეზის მპოვნელმა ფინელებმა ქულების აკრეფვა დაიწყეს. და ამას მშვენივრადაც ახერხებდნენ - სამი მსროლელიდან რომელიმე უმეთვალყურეოდ რჩებოდა და სამი ქულაც ჩვენს კალათში გარანტირებული იყო. ყველაზე მეტად მატინენი და მოტოლა აქტიურობდნენ. ასე გაგრძელდა დიდ შესვენებამდე. ფინელთა მწყობრ თამაშს პირველ ორ მეოთხედში ქართველებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. შეტევაში დაცვაზე უკეთ გამოგვდიოდა თამაში, თუმცა, ეს უფრო ზაზა ფაჩულიას დამსახურება იყო, რომელიც ბოისასთან ერთად ებრძოდა ფინელებს. ვერც უილიამსი გამოირჩა ვერაფრით, თუმცა, გულშემატკივრებს მისი ნამდვილად ეიმედებოდათ.

ათამაშდა კიდეც შესვენების შემდეგ, მასთან ერთად მთელი გუნდიც, ნიკოლოზ ცქიტიშვილის გარდა. ნიკამ მეორე მეოთხედის მიწურულს ტრავმა მიიღო და მატჩის ბოლომდე არაფრით დახმარებია თანაგუნდელებს. პირველი, რაც თვალში გეცემოდათ, დაცვაში კარგი თამაში იყო. ჩანს, შესვენებაზე ბრაიკოვიჩმა ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრა მოქმედების გეგმა, კალათბურთელებმა კი ის სისრულეში მოიყვანეს.

მესამე მეოთხედში ერთხანს ჩამორჩენამ ანგარიშში 12 ქულას მიაღწია და გულშემატკივართა ნაწილს შეეშინდა კიდეც, ვაითუ ველარ მოვახერხოთ მატჩის გადარჩენაო და...

უილიამსი ამერიკულად ათამაშდა. პასების დარიგება არც მანამდე ეშლებოდა, მაგრამ ახლა ყველაფერს უკეთ აკეთებდა და საჭირო მომენტში ორი სამქულიანიც ჩაუშვა. ხუთწუთიანი მონაკვეთი 13:0 მოვიგეთ და წინაც გავედით. ზაზა ფაჩულიამ და ვოვა ბოისამ ხომ დაიპყრეს "ფარქვეშეთი" და დაცვაში კარგი თამაშის წყალობით ვერც ფინელები ახერხებდნენ, სამქულიანი ზონიდან წარმატებულად შეეტიათ. ყველაფერთან ერთად, ჩვენს კალათბურთელებს სამქულიანი სროლებიც წაუვიდათ. ამის შემდეგ ფინელებმა ორჯერლა მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მოედანზე უკვე სულ სხვა საქართველოს ნაკრები იყო. გამორიცხული იყო, ეს მატჩი წაგვეგო. ტრიბუნებზე კი ისეთი ამბავი იყო, ენით გადმოცემა შეუძლებელია. მატჩის შემდეგ თქვა კიდეც თბილისში ჩამოსულმა ფიბა-ევროპის აღმასრულებელმა დირექტორმა ნარ ზანოლინმა, თბილისში დიდი საკალათბურთო დღესასწაული იყოო. ამაში იგულისხმება როგორც თამაში, ისე გულშემატკივრობა. ასეთი ამბავი, რაც აქ, ტრიბუნებზე ხდებოდა, არსად მინახავსო.

მომდევნო მატჩისთვის ეჭვქვეშ დგას ცქიტიშვილის თამაში. არადა, მისი ყოფნა ნაკრებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, ამ ეტაპზე, როცა გუნდში არც სტეფანიაა და არც სანიკიძე. ნიკას ხვალ გასინჯავს ოლიმპიური ნაკრების ექიმი და მაკედონიაში მისი თამაშის საკითხიც ამის მერე გადაწყდება. შაბათსვე მაკედონიის ნაკრებმა სტუმრად ლუქსემბურგის ეროვნული გუნდი დაამარცხა - 94:69 და სათავეში ჩაუდგა ჯგუფს.

წყალბურთი

# ქართულ-ფრანგული აკვატორიული ზავი



ლევან ხერხეულიძის ფოტო

გიგა გურასაშვილი

როდესაც ჭაბუკ წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური მეტოქეები (საფრანგეთი, სლოვაკეთი, სერბია და მონტენეგრო) გახდა ცნობილი, საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ თქვა, ჯგუფიდან გასასვლელად, პირველ რიგში, ფრანგებსა და სლოვაკებს უნდა ვებრძოლოთო. სერბებთან მოგებაზე ფიქრი კი, არათუ ჩვენ, ჩვენზე ბევრად ძლიერი გუნდებისთვისაც წარმოუდგენელია. სერბები მარტო ჯგუფის ლიდერები კი არა, ჩემპიონატის ფავორიტები არიან, ამასთან, შარშან მოპოვებული ჩემპიონობა აქვთ შესანარჩუნებელი.

საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებს გუშინ პირველი მატჩი ჰქონდა ფრანგებთან. შეხვედრა ფრედ - 7:7 დამთავრდა. პირველი ბურთი ქართველებმა გაიტანეს, პირველი ორი პერიოდი კი 2:5 წააგეს.

დანარჩენ ორ პერიოდში ჩვენებს ძალიან მოუნდომებიათ და 5:2 დაუსრულებიათ დარჩენილი დრო. ოთხივე პერიოდის ჯამში 7:7 დაფიქსირდა ტაბლოზე. საქართველოს ნაკრებში ყველაზე გამორჩეული ყოფილა მეკარე ზურაბ ჭუმბურიძე. ბურთები ზურაბ რურუას (2), ტატო ნიკოლეიშვილს (2), გურამ კოტარიას (1), ბექა ქენქაძესა (1) და მიხეილ ბალათურიას (1) გაუტანით.

დღეს ქართველი ჭაბუკები სლოვაკებს შეხვდებიან. იმისთვის, რომ ჯგუფიდან გასვლაზე იფიქრონ, მათთან მოგებაა აუცილებელი.

აქვე დავძენთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ყველა ადგილი თამაშდება. ამასთან დაკავშირებით ისევ სოსო მაისურაძის პროგრამა მაქსიმუმს შეგახსენებთ. მალტაზე გამგზავრებამდე ნაკრების მწვრთნელმა თქვა: კარგი იქნება, თუ ათეულში შესვლას მოვახერხებთო.

მოკლედ

# დააპატიმრეს ფეხბურთელები

პალესტინის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ახლო აღმოსავლეთში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის მსხვერპლი გახდა. საომარი მოქმედებების გამო სპორტსმენები ვერ ახერხებენ, მოხვდნენ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩზე.

ისრაელის მთავრობა ქვეყნიდან არ უშვებს პალესტინის ნაკრების ხუთ ფეხბურთელს. პალესტინის ფეხბურთის ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დირექტორის ტაიშირ ბარაკატის თქმით, გუნდი ქვეყნიდან ვერ გასულა იმისთვის, რომ ყატარში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩში უზბეკეთის გუნდს შეხვდეს. "ჩვენ უკვე ვერ შევძლებთ ოთხშაბათს თამაშს, - განაცხადა ბარაკატმა, - იმედი გვაქვს, ფიფა ამ პრობლემას მოაგვარებს".

პალესტინის ნაკრების დებიუტი საერთაშორისო არენაზე ამ სეზონში შედგა და თავისი პირველი მატჩი მან შესანიშნავად ჩაატარა. 5000 მაყურებლის თანდასწრებით (უფრო მეტი სტადიონზე მისვლას ვერ ბედავს) პალესტინელებმა ტაივანის ნაკრები გაანადგურეს - 8:0. პალესტინელები შესარჩევი ციკლის მომდევნო ეტაპზე გასვლაზე პრეტენზიას აცხადებენ, მაგრამ მათ უზბეკეთისა და ირანის ნაკრებ გუნდებთან კონკურენცია უწევთ.

ჩოგბურთი

# რუსების ნიუ-იორკი

სანდრო ნავერიანი



სვეტლანა კუზნეცოვა ამერიკის ღია პირველობის ტრიუმფატორი გახდა.

ათი წლის წინათ ბორის ელცინმა რუსულ ჩოგბურთში ფულის ჩადება დაიწყო. ჩოგბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, თუ როგორი გადამკვდარი გულშემატკივარია ბორის ელცინი. დღემდე რუსი ჩოგბურთელები ელცინის ფონდიდან თვეში 15 ათას დოლარს იღებენ. რა თქმა უნდა, ამ თანხას ყველა ვერ იღებს, მაგრამ ისინი, ვინც მსოფლიო რეიტინგის ასეულში არიან, ყოველ თვეში 15 ათასი გამოწერილი აქვთ. შეიძლება იკითხოთ, რა შუაშია აქ ელცინიო. მაგრამ შუაშია: ამერიკის ღია პირველობაზე ერთეულთა თანრიგის ფინალში ქალებს შორის იმიტომ ითამაშა ორმა რუსმა გოგონამ, რომ თავის დროზე ელცინმა დიდი ყურადღება დაუთმო თანამემამულე ჩოგბურთელებს. 2004 წელს გამართული "დიდი სლემის" ოთხი ტურნირიდან სამი რუსმა გოგონებმა მოიგეს.

11 სექტემბერს, იმ დღეს, როდესაც მთელი ამერიკა სამი წლის წინათ ტერაქტის დროს დაღუპულებს გლოვობდა, ნიუ იორკის კორტებზე ქალთა ფინალი იმართებოდა. არტურ ეშის სახელობის ცენტრალურ კორტზე ორი რუსი გოგონა გამოვიდა - სვეტლანა კუზნეცოვა და ელენა დემენტიევა. ფინალის დაწყებამდე კორტზე გამოვიდა ბიჭუნების გუნდი, რომელმაც დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად იმღერა. შემდეგ ტაბლოზე ნიუ იორკის პოლიციისა და სახანძრო დეპარტამენტებისადმი მიძღვნილი მილოცვა გამოჩნდა. მერე მთელ კორტს ამერიკის დროშა გადააფარეს, შემდეგ ისევ აიღეს და მატჩიც დაიწყო.

პირველი გეიმი კუზნეცოვამ მშრალი ანგარიშით დათმო. ერთი კი გავიფიქრე, დემენტიევა ძალიან ადვილად მოიგებს-მეთქი, მაგრამ შევცდი, თანაც, ძალიან. მეორე გეიმი, დემენტიევას მოწოდებაზე, კუზნეცოვამ ადვილად მოიგო. დემენტიევას მოწოდებები, რომელიც ყველასგან განსხვავებულია, კუზნეცოვასთვის ადვილი ნადავლი ხდებოდა. სვეტლანა კუზნეცოვა ფიზიკურად ძალიან ძლიერია. კუზნეცოვას დარტყმებს დემენტიევა იშვიათად იგერიებდა, და თუ იგერიებდა, მეტოქე უფრო ძლიერად ურტყამდა მის ნახევარზე. დემენტიევა დაბნეული დარბოდა კორტის ერთი კუთხიდან მეორეში, მაგრამ თითქმის ვერ ასწრებდა ბურთის მოგერიებას. მატჩში ორივე ჩოგბურთელის სათამაშო ტაქტიკა გამოაშკარავდა, კუზნეცოვა შემტევ ჩოგბურთს თამაშობდა, დემენტიევა - დაცვითს.

შეხვედრას ტელევიზორში ვადევნებდი თვალყურს. ტრანსლაცია ანა დმიტრიევას და ალექსანდრე მეტრეველს მიყავდათ. უსინდისო ვიქნები, რომ ვთქვა, ამ კაცმა ჩოგბურთი არ იცის-მეთქი. რა თქმა უნდა, იცის და ძალიან კარგადაც იცის, მაგრამ ერთი რამ მაინტერესებს: რატომ უნდა განაცხადოს პრეტენზია საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტობაზე იმ კაცმა, რომელიც რუს ჩოგბურთელებზე ამბობს, "ნაში ტენისისტი" ან "ნაში ტენისისტკიო"? კი ბატონო, თქვას კუზნეცოვასა და საფინზე, დემენტიევასა და დავიდენკოზე, ჩვენიანები არიანო, მაგრამ ამის მერე აღარ გაუკვირდეს, თუ რატომ არ აირჩიეს პრეზიდენტის პოსტზე. ეს ისე, სხვათა შორის, ნერვებს ავყევი. რაც უნდა ეთქვა მეტრეველს, მატჩი მაინც ისე დამთავრდებოდა, როგორც დამთავრდა. კუზნეცოვამ კიდევ ერთი გეიმი მოიგო დემენტიევას მოწოდებაზე, რამაც მას სამგეიმიანი უპირატესობა მისცა. დემენტიევას ეტყობოდა, რომ ტრავმირებული ფეხი აწუხებდა, ერთხელ ექიმიც კი გამოიძახა. პირველი სეტი კუზნეცოვამ 6:3 მოიგო. მეორე სეტი დემენტიევას მოწოდებით დაიწყო და გეიმიც მოიგო. დემენტიევამ მთლიანად შეცვალა სათამაშო სტილი, რაც დაცვითი ტაქტიკიდან შეტევითზე გადასვლაში გამოიხატა. მან მოწოდებაც გამოასწორა, რაც კუზნეცოვასთვის სიახლე აღმოჩნდა და დიდი გაჭირვებით ახერხებდა მოგერიებას. დემენტიევამ მეორე სეტის მეორე გეიმიც მოიგო და გეიმებში ანგარიშით 2:0 წაიყვანა. ამის შემდეგ სვეტლანა, შეიძლება ითქვას, ორგეიმიანი ძილის შემდეგ გამოფხიზლდა და დანაკარგი აღმოფხვრა. ჩოგბურთელები თავიანთ მოწოდებებზე ადვილად იგებდნენ გეიმებს, რამაც ანგარიში 5:5-მდე მიიყვანა. აქ კუზნეცოვა უფრო მტკიცე ხასიათის აღმოჩნდა და დარჩენილი ორი გეიმი თავის სასარგებლოდ დაამთავრა. მატჩის საბოლოო ანგარიში კუზნეცოვას სასარგებლოდ დაფიქსირდა - 6:3, 7:5.

კუზნეცოვამ აწია კუთვნილი თასი, მიიღო კუთვნილი ფული, მადლობა გადაუხადა ყველას, გაიხსენა სამი წლის წინათ დაღუპული უდანაშაულო ამერიკელები, და, რაც მთავარია, დემენტიევას ისე ჩაეხუტა, ვიფიქრე, ამათ რა დააშორებს-მეთქი. დემენტიევა კი, ტიროდა. იტირებდა, აბა რა იქნებოდა, წლეულს "დიდი სლემის" მეორე ტურნირის ფინალში გავიდა და ორჯერვე დამარცხდა.

TV-სპორტი

## ორშაბათი. 13 სექტემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV. ფინალის ხმები. პირველი მატჩი
06:30 NBA TV. სეზონი 2001-2002. "MEMPHIS GRIZZLIES" - "SAN ANTONIO SPURS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 იტალიის ჩემპიონატი
14:10 ესპანეთის ჩემპიონატი
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. "სოშო" - "მარსელი"
18:00 ბრაზილიის ჩემპიონატი
19:40 საფეხბურთო უიკენდი
20:25 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:30 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:25 პორტუგალიის ჩემპიონატი. "ბრაგა" - "პორტუ"
01:10 01:10-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - დღიური
03:30 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
04:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1998. ფინალი. "UTAH JAZZ" - "CHICAGO Bulls". პირველი მატჩი

**НТВ+СПОРТ**

10:00, 13:15, 16:10, 19:00 პრესცენტრი
10:20, 19:15 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:30 "ფორმულის ჰარმონია"
11:15 მძლეოსნობა. "IAAF Golden League "ISTAF" გერმანიაში
13:55 ბილიარდი. "ჩემპიონთა მატჩი" სანკტ პეტერბურგში
16:25 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:25 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
20:00 ველოსპორტი-მაუნთინბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი საფრანგეთში. ქალები. ელიტა. სწრაფდაშვება
20:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. მიგელ კოტო - კელსონ პინტო
23:00 "სპორტული გლობუსი" "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
23:30 დოღი "Prix Vermeille" საფრანგეთში
00:15 ახალი ამბები
00:30 "რკინის ფაქტორი"

**EUROSPORT**

10:30 "ოლიმპიკ ექსტრა". ტელეჟურნალი
11:00 "სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში". ტელეჟურნალი
12:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი იაპონიაში
13:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. სეზონის მიმოხილვა
14:30 ჩოგბურთი. ამერიკის ღია ჩემპიონატი. ვაჟები. ფინალი
16:45 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!!!
17:00 ველოსპორტი. ესპანეთის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
20:00 ფეხბურთი. ევროგოლები
21:00 მულტისპორტი
21:30 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო) იაპონიაში
22:30 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
00:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
01:00 ფეხბურთი. ევროგოლები
02:00 ახალი ამბები
02:15 სუპერმოტო. შეჯიბრება ჩეხეთში
02:45 სუპერმოტო. შეჯიბრება გერმანიაში
03:15 ახალი ამბები

# ქართული ვაზის ჯიშთა ძვირფას ფონდს შველა სჭირდება

ნ. ცერცვაძე
ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი

საქართველო მევენახეობის უძველესი რაიონი და მეღვინეობის კლასიკური ქვეყანაა. აქ თავმოყრილია ვაზის კულტურული ჯიშების მდიდარი გენოფონდი (ლიტერატურული წყაროებით, 500-ზე მეტი დასახელების), რომელიც ხასიათდება დომინანტურ გენთა დიდი კონცენტრაციით და მსგავსებით გარეული ვაზის ადგილობრივ ფორმებთან, რაც საფუძველს აძლევს ცნობილ მეცნიერებს, იგი მიიჩნიონ კულტურული ვაზის ფორმათაწარმოქმნის ერთ-ერთ ძირითად კერად (დასავლეთ ევროპის კერასთან ერთად).

ქართული ვაზის ადგილობრივი ჯიშებისა სორტიმენტი ძირითადად ლოკალიზებულია ცალკეულ ენდემურ, იზოლირებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ჯგუფებში (კახური, ქართლის, იმერეთის ... და ა.შ.).

ადგილობრივი წარმოშობის ჯიშთა შენარჩუნებისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იქნება საკოლექციო ნაკვეთები და საგენოფონდო ბანკები.

დასაცავი ჯიშების გენოფონდის კვლავწარმოების და შევსების წყაროდ ითვლება მათი ბუნებრივი და ხელოვნური გამრავლება და გადაშენების პირას მისული ჯიშების მოძიება, გამოვლენა და აღდგენა, რისთვისაც საჭიროა მოეწყოს რეგიონული ექსპედიციები და ჯიშების გასამრავლებელი მასალის შეგროვება.

აგრეთვე, კონტროლი უნდა დაუწესდეს ვაზის გენოფონდის გავრცელების არეალის დაცვას.

1946-1970 წლებში მოსკოვში გამოცემულ 10-ტომიან "საბჭოთა კავშირის ამპელოგრაფიაში" წარმოდგენილია 414 ქართული ვაზის ჯიშების მონოგრაფიები.

ადგილობრივი ვაზის ჯიშების რეალურად არსებული გენოფონდი 1930-1950 წლებში შეგროვილი და დაფიქსირებული იყო საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტისა (255 ჯიში) და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექციებში (219 ჯიში).

შემდეგში, ადგილობრივი ჯიშების რეგიონული დანიშნულების საკოლექციო ვენახები გაშენდა ინსტიტუტის საცდელ სადგურებზე და დასაყრდენ პუნქტებზე.

1976 წელს მოძველებული, ამორტიზებული საკოლექციო ვენახების განაწილების მიზნით, ინსტიტუტის აფხაზეთის დასაყრდენ პუნქტზე (სადაც ეკოლოგიური პირობები ხელსაყრელია სიმწიფის ყველა პერიოდის ვაზის ჯიშების ზრდა-განვითარებისათვის) თავმოყრილი და ერთ ადგილზე ფიქსირებული იყო საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ იმ დროისათვის არსებული 312 ქართული ვაზის ჯიში.

სამწუხაროდ, ეს ახლად გაშენებული სრულყოფილი კოლექცია აფხაზეთში, სრულად განადგურდა.

ამრიგად, სადღეისოდ შექმნილი ვითარების გამო, როდესაც ახალგაზრდა დამოუკიდებელ ქვეყნის ხელისუფლებას სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების არსებობის გამო, ნაკლებად შესწევს ძალა ვითარების გამოსასწორებლად, საქართველოში ადგილობრივი ვაზის ჯიშების შენარჩუნებისათვის შეიქმნა მძიმე, კრიტიკული ვითარება. განახლებული კოლექციის სასწრაფოდ გაშენება დღის წესრიგის აქტუალურ საკითხად იქცა.

ქართული ვაზის ჯიშებში თავმოყრილია ბევრი, სელექციური თვალსაზრისით ძვირფასი სამეურნეო ღირებულების მქონე თვისება (პროდუქციის უაღრესად მაღალი ხარისხი), რომელიც საშუალებას იძლევა, მიღებულ იქნას უნიკალური ღვინოები, უხვი მსხმოიარობა, არახელსაყრელი კლიმატური პირობებისადმი - ჰაერის მაღალი შეფარდებითი ტენიანობა, გვალვა და ყინვაგამძლეობა, მავნებელ დაავადებათა მიმართ - ფილოქსერა, სოკოვანი დაავადებები და სხვ., კარგი გამძლეობა.

ქართული ვაზის გენოფონდი, როგორც მსოფლიოს გენოფონდის ღირსეული შემადგენელი ნაწილი, აღიარებულია მსოფლიოს მიერ, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა მისი ფიქსაცია პარიზის ვაზის გენეტიკური რესურსების კატალოგში.

სწორედ ხსენებული გარემოება გახდა მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ვაზის გენოფონდის მდგომარეობით დაინტერესდნენ და გამოგვეხმაურნენ მსოფლიოს კულტურულ მცენარეთა გენოფონდის ცენტრი და მილანის უნივერსიტეტი, რომლებმაც სასწრაფოდ გამოგვიყვეს საჭირო თანხები გადაუდებელი სამუშაოების ჩასატარებლად.

გადაწყდა ახალი სასელექციო ნაკვეთის გაშენება, სადაც თავმოყრილი იქნება რეალურად არსებული ქართული ვაზის ყველა ჯიში.

ამასთანავე, არსებულ ძირითად ვენახებში (პირველ რიგში საქ. მმმ ინსტიტუტის თელავის საცდელ სადგურზე და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დიღმის და მუხრანის ბაზებზე) ამორტიზირებული ნარგაობის იმ მდგომარეობამდე მიყვანა, რაც საშუალებას მოგვცემს, ჩამოყალიბდეს გასამრავლებელი მასალის ბაზა და გახანგრძლივდეს ვენახების სიცოცხლისუნარიანობა.

ამ მიზნით წარმოებს შემდეგი სახის სამუშაოები:

1. ვაზის ჯიშების ინვენტარიზაცია, აპრობაცია და იდენტიფიკაცია;

2. ვაზის დამძიმებული გასხვლა და ისეთი დატვირთვა, რომელიც მოგვცემს სამყნობი მასალის მეტი რაოდენობით აღების საშუალებას;

3. ნიადაგის სამუშაოების ჩატარება (ხვნა, კულტივაცია, გამობარვა, გამოთოხვნა, მინერალური და ორგანული სასუქების საჭირო რაოდენობით შეტანა და დამატებითი გამოკვება);

4. მწვანე ოპერაციების ჩატარება; 5. ნიადაგის მორწყვა;

6. ჯიშების მყნობისათვის საჭირო ფილოქსერაგამძლე ლერწის მოპოვება;

7. პირველადი სანერგისა და სათბურის მოწყობა.

რაც შეეხება ახალი კოლექციის გაშენებას, - საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის თბილისის ექსპერიმენტულ ბაზაზე, იტალიელ მეცნიერებთან ერთად, შერჩეულია 1,2 ჰა ფართობი ქართული ვაზის ჯიშების კოლექციის გასაშენებლად.

ვაზი შენდება 2,25x1,25 მ კვების არეზე. შედგენილია ნაკვეთის პროექტი, ამისათვის ყველა ატრიბუტის გათვალისწინებით.

კოლექცია შენდება მსოფლიოში მიღებული პრინციპით, თითოეულ ჯიშზე 10 ძირის რაოდენობით. სტანდარტული ჯიშები 1 ან 2 რიგის რაოდენობით. ჯიშები კოლექციაში განლაგებულია ისტორიულ-გეოგრაფიული პრინციპით: კახეთის, ქართლის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, გურიის, აჭარის, აფხაზეთის ვაზის ჯიშები. კვარტალში შიგნით ჯიშები ჯგუფდება მარცვლის შეფერვის მიხედვით.

გადარჩენილია და ახალ კოლექციაშია დარგული დღეს საქართველოს დაკნინებულ და ამორტიზებულ კოლექციაში არსებული ყველა ადგილობრივი ვაზის ჯიში:

კახური - 66, ქართლის - 49, რაჭა-ლეჩხუმის - 29, იმერეთის - 44, მეგრული - 18, გურიის - 17, აჭარული - 16, აფხაზური - 13, ფართე არეალის - 9, გარეული ფორმები და გაგარეულებული ჯიშები - 32.

სულ ფიქსირებულია 293 ჯიში და ფორმა.

ამჟამად ამოცანას შეადგენს ახალი კოლექციის შევსება მოსახლეობის ნასახლარებზე და საკარმიდამო ნაკვეთებზე არსებული იმ ჯიშებით, რომლებიც ჩვენს ახალ კოლექციაში არ არის მოხვედრილი.

საჭიროა, აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ექსპედიციური კვლევის ჩატარება ჯერ კიდევ ბუნებაში შემორჩენილი ახალი ქართული ვაზის ჯიშების შესაგროვებლად.

ამ საქმეში ფასდაუდებელ დახმარებას გაგვიწევს მოსახლეობა.

**ამიტომ, დიდი თხოვნით მივმართავთ ჩვენს, მამულიშვილური გრძნობებით აღვსილ ადგილობრივ მოსახლეობას, შეგვატყობინეთ თქვენს საკარმიდამო ნაკვეთებზე არსებული იმ ქართული ვაზის ჯიშების სახელწოდებები, რომლებიც ჩვენ მიერ ჯერ არ არის შეგროვებული.**

ეს ჯიშებია:

1. ათონური (გურ., თეთრი); 2. ალეში (რაჭ., შავი); 3. ახალციხური თეთრი (მეცხ.,); 4. ბელარიანი (რაჭ., წ.); 5. ბეჟანა (მესხ., შ); 6. ბერბეშო (რაჭ., შ.); 7. ბერძულა (გურ., შ.); 8. ბეწოურა (იმ., ვარდისფერი); 9. ბროლა (აჭ., თ.); 10. ბურძგლა (აჭ., წით.); 11. ბუტკო (აჭ., შ.); 12. ბუტკო (რაჭ., I); 13. გაბაშა (კახ., შ.); 14. გამოყვანილი (რაჭ., წით.); 15. გოშბიეთის წითელი (მესხ.); 16. გომის წითელი (იმ., შ.); 17. გრეხი (მეგრ., შ.); 18. დედოფლის ქიტი (მეგრ., შ.); 19. დღვლაბე (მეგრ., თ.); 20. დუდღუში (მეგრ., შ.); 21. ეგურძგული (მეგრ., შ.); 22. ენაგეთის თეთრი (ქართლ.); 23. ენაგეთის წითელი (ქართლ.); 24. ვანურა (ქართლ., შ.); 25. ვარდისფერა (კახ.); 26. ვაცისწვერა (გურ., თ.); 27. ვერნახი (მეგრ., შ.); 28. ზენათური (გურ., თ.); 29. თბილური (რაჭ., თ.); 30. თეთრა (აჭ.); 31. თელავის თეთრი (კახ.); 32. თეთრიშა (მეგრ.); 33. თითა კახური (თ.); 34. თითა რბილი (ქართლ., თ.); 35. თქლაფა გურიის (თ.); 36. თქლაფა იმერული (თ.); 37. თქლაფა რაჭული (თ.); 38. კაბისტონი თეთრი (რაჭა); 39. კაბისტონი რგვალი (რაჭა, შ.); 40. კაიკაციშვილისეული თეთრი (აჭ.); 41. კამური თეთრი (დას. საქ.); 42. კამური შავი (დას. საქ.); 43. კაპისტონი გალმოური (რაჭ., შ.); 44. კაპისტონი წიწილიანი (რაჭ., შ.); 45. კაპიტა (ქართლ., შ.); 46. კეთილური (მეგრ., შ.); 47. კეხვი (ქართლ., ვარდისფერი); 48. კიბურა (აჭ., ვარდისფ.); 49. კიკაჩა თეთრი (გურ.); 50. კიკაჩა წითელი (გურ.); 51. კირწმაგარა (იმ., წით.); 52. კლარჯული (აჭ-გურ., თ.); 53. კლდის წითელი (მესხ.); 54. კორტნული (რაჭ., შ.); 55. კორძალა (გურ-აჭ., წით.); 56. კოცხანა (გურ., შ.); 57. კრახუნა შავი (იმ.); 58. კუდურაული (რაჭ., თ.); 59. კუმსი ყვითელი (კახ.); 60. კუტალა (მეგრ., შ.); 61. ლივანური თეთრი (აჭ.); 62. ლივანური შავი (აჭ.); 63. მათენაური (აჭ., შ.); 64. მაური თეთრი (გურ.); 65. მაღლარი მსხვილთვალა (იმ., ვარდისფ.); 66. მაღრანული (კახ., თ.); 67. მაჩანოური (იმ., შ.); 68. მახათური (გურ-აჭ., შ.); 69. მელაკუდა რაჭული (თ.); 70. მისკიეტა (აჭ., თ.); 71. მორცხული (აჭ., შ.); 72. მოქათური (რაჭ., შ.); 73. მსხვილთვალა რაჭული (წით.); 74. მტრედისფეხა (გურ-აჭ., წით.); 75. მურიბხა (მეგრ., შ.); 76. მცვივანი ადრეული (კახ., თ.); 77. მცვივანი კახური (თ.); 78. მცვივანი პატალაანთეული (კახ., ნაცრ-თ.); 79. მცვივანი რაჭული (თ.); 80. მცვივანი წითელი (იმ.); 81. მწვანურა (აჭ., თ.); 82. მწკლარტა (კახ., შ.); 83. მჭვარტლა (ქართლ., თ.); 84. ნაადრევი (ქართლ., თ.); 85. წაკუთვნეული (რაჭ., წით.); 86. ობჩის წითელი (იმ.); 87. ორჯოხული (აჭ., თ.); 88. ოფოფი (მეგრ., თ.); 89. ოქონა (მეგრ., თ.); 90. პაშანაკი (რაჭ., თ.); 91. პოვნილი (აჭ., წით.); 92. პუმპულა (მეგრ., შ.); 93. რაჭული შავი; 94. რკო თეთრი (იმ.); 95. რაკეთულა (მესხ., თ.); 96. რცხილი (რაჭ., ვარდისფ.); 97. საბატონო (ქართლ., თ.); 98. საკნატურა (გურ., თ.); 99. საკუმა (მეგრ., თ.); 100. სამაჭრე (იმ., შ.); 101. საფერავი გურიის (შ.); 102. საფერავი ვაიო (რაჭ., შ.); 103. საფერავი მეჯვრისხევის (ქართლ., შ.); 104. სიმონასეული (კახ., შ.); 105. სხალთური (აჭ., თ.); 106. ტატანაური (ქართლ., შ.); 107. ტკბილი ყურძენი (კახ., თ.); 108. ტყუპკვირტა; 109; ურიშულა (რაჭ., წით.); 110. უსახელო წითელი (ქართლ.); 111. ფერუანი (რაჭ., წით.); 112. ქართულა (იმ., თ.); 113. ქვაცახური (მეგრ., თ.); 114. ქიშური (ქართლ., თ.); 115. ქიშური წითელი (ქართლ.); 116. ღრუბელა იმერეთის (ნაცრ.-მწვანე); 117. შავბარდა (იმ., შ.); 118. შავშურა (აჭ., თ.); 119. ჩეკოლოში (მეგრ., თ.); 120. ჩერგვალი (მეგრ., თ.); 121. ჩეში (მეგრ., თ.); 122. ჩეჩქიში (მეგრ., თ.); 123. ჩინური ყვითელი (ქართლ.); 124. ჩინური შავი (ქართლ.); 125. ჩიპაკური (აჭ., წით.); 126. ჩიტისთვალა აჭარული (შ.); 127. ჩიტისთვალა თეთრი (კახ.); 128. ჩიტისკვერცხა შავი (მესხ.); 129. ჩიტაში (მეგრ., შ.); 130. ჩხაბერძული (მეგრ., შ.); 131. ჩხოროკუნი (მეგრ., შ.); 132. ჩხუში (აჭ., შ.); 133. ცხენისძუა თეთრი (მესხ., თ.); 134. ცხენისძუა შავი (მესხ., შ.); 135. ცხენის ძუძუ აჭარული (შ.); 136. ცხენის ძუძუ კახური (თ.); 137. ცხენის ძუძუ შავი (მესხ.); 138. ფაჩხატა (რაჭ., თ.); 139. ფეროვანი (რაჭ., წით.); 141. წვითე (აჭ., თ.); 142. წვრილი კაპისტონი (რაჭ., შ.); 143. წვრიმალა; 144. წითელი ვაზი (ქართლ., წით.); 145. წითლანა (გურ., ვარდისფ.); 146. წმინდა თეთრი (რაჭ., თ.); 147. წნორის წითელი (კახ.); 148. წობენურა (კახ., თ.); 149. ჭაკმაშურა (კახ., შ.); 150. ჭანკილოური (დას.საქ., წით.); 151. ჭროლა ქართლის (შ.); 152. ჭუბულო (რაჭ., შ.); 153. ჭუპეში (გურ., შ.); 154. ჭყაპა (ქართლ., თ.); 155. ხარისთვალა აჭარული (შ.); 156. ხემხუ (გურ., შ.); 157. ხეთურა (ქართლ., თ.); 158. ხიხვი ლეჩხუმის (თ.); 159. ხოტეურა (რაჭ., წით.); 160. ხროგი (რაჭ., ვარდისფ.); 161. ჯავახეთურა (აჭ., თ.).

თქვენს საკარმიდამო ნაკვეთზე ზემოთ წარმოდგენილი სიით ჩამოთვლილი ვაზის ჯიშის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ, ჩვენი სპეციალისტები მოვლენ თქვენთან აღნიშნული ჯიშის იდენტიფიკაციის დასადგენად.

შეგიძლიათ, აგრეთვე, მოიტანოთ ნიმუში (8-10 მუხლზე განვითარებული ფოთოლი და ტიპიური მტევანი, შეთვალებული მარცვლებით).

ჩვენი მისამართია: თბილისი - 380015, მარშალ გელოვანის პრ. №6 (სამხედრო გზის ტრასაზე).

საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი, მე-4 სართული. ტელ: 52 30 11.

წინასწარ გიხდით მადლობას მამულიშვილურ საქმეში მონაწილეობისათვის.







# ყველაფერი კარგადაა

ანა კორძაია-სამადაშვილი

*"მშვიდად იძინეთ, ყველაფერი კარგადაა". ღამის გუშაგის მოძახილი.*
*"რას ერჩოდი ზეტა-ჯონსს, როგორი კარგი გოგოა". დიდი ხნის უნახავ მეგობართან სატელეფონო საუბრიდან.*

მართლაც, ბეწვზე გადავრჩით. "ბილდში" გამოქვეყნებულ სტატიაში, რომლის სათაურმაც სულით ხორცამდე შემძრა - "კეტრინ ზეტა-ჯონსს შიშის ზარი დაეცა" - მოთხრობილია, რომ:

34 წლის კეტრინ ზეტა-ჯონსს ისედაც მძიმე დღე ჰქონდა, მრავალი საათის განმავლობაში გადაღებებზე იყო ("ზოროს შესახებ ლეგენდაში" რომ იღებენ, ეს მისმა თაყვანისმცემლებმა, ალბათ, ისედაც იცით). ის-ის იყო, ვარსკვლავმა გადაღებები დაასრულა და მანქანით ოთხი საათის სავალში მდებარე თავისი ვილასკენ მიიჩქაროდა, რომ უცებ გაუგონარი ამბავი დატრიალდა. სიბნელიდან კიდევ ერთი მანქანა გამოვარდა და მსახიობის ლიმუზინის გზისპირა თხრილში ჩაგდებას ეცადა! მანქანაში ოთხი კბილებამდე შეიარაღებული მამაკაცი იჯდა, რომელთაც მსახიობის მოტაცება ჰქონდათ განზრახული. მხოლოდ გასულ წელს მეხიკოში ორი ათასი კაცი გაუტაციათ, და ახლა ბოროტმოქმედები კეტრინ ზეტა-ჯონსსაც ეპოტინებოდნენ.

მაგრამ არც მსახიობის მანქანის კვალდაკვალ მიმავალი მცველები იყვნენ ჯაბანნი. მათ ბოროტმოქმედებს ელვის სისწრაფით ჩაუჭრეს გზა და გზატკეცილზე მთლად სენ ლუი პოტოსიმდე სდიეს. იქ მათ მექსიკის პოლიციაც შეეშველათ. ერთ-ერთმა პოლიციელმა ბრიტანული "სანის" კორესპონდენტს უამბო: "ოთხი მამაკაცი დავაკავეთ. ისინი კბილებამდე იყვნენ შეიარაღებული". შეიარაღების ამბავს ყველა გაზეთი იმეორებს. ნეტა, რა ესხათ ამისთანა?

და კეტრინი? ის კანკალებდა. მისი მძღოლი მანქანას ქარივით მიაქროლებდა და იძახდა: "ნუ გეშინიათ!" მაგრამ კეტრინს ეშინოდა. მაშინაც კი ეშინოდა, როცა ვილამდე მიაღწია და მეგობრების წრეში აღმოჩნდა. სწორედ ამ მეგობრებმა უამბეს "ბილდს" (ციტატა): "კეტრინი ძალიან შეშინებული იყო. საშინლად ღელავდა, დაწყნარება სჭირდებოდა". თან მაიკლ დუგლასიც სადღაც იყო გამგზავრებული, და კეტრინი ძალიან უბედურად გრძნობდა თავს...

მაგრამ მაინც გადავრჩით - ბეწვზე, მაგრამ მაინც. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მსახიობის ცხოვრება ამიერიდან ძალიან მშვიდი იქნება - გამტაცებლებს პაპარაცები შეცვლიან, - მოგეხსენებათ, ისედაც ტვინი აქვთ წაღებული, ახლა კი ვინმემ მაინც ხომ უნდა გადაიღოს და უკვდავყოს დაშინებული და დაუცველი კეტრინი. მერე იმას უჩივლებენ და ასე გავერთობით.

გვინეტ პელტროუც დაგვპირდა, რომ გასართობს არ მოგვაკლებს: რამდენი სურათს გადაუღებენ, იმდენი იჩივლებს. ეს მან გაზეთ USA Today-ს განუცხადა.

"ეს ხალხი ჩემი შვილის უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს," თქვა პელტროუმ და საშინელ ამბებს მოჰყვა, როგორ გარბოდნენ ის და მისი შვილი ლონდონის პირქუშ ქუჩებში და როგორ ძაღლების ხროვასავით სდევნიდნენ მათ პაპარაცები. "ძალიან მეშინია. როგორი უპასუხისმგებლობაა!" და როგორი დაუცველობა და სინაზე!

პელტროუ ჩივის, რომ ქალიშვილის გაჩენის შემდეგ პაპარაცები ერთიათად გააქტიურდნენ. "ოსკაროსანი" გვინეტი იმუქრება, რომ ყველაზე გულისგამაწყალებელი ფოტოგრაფების სახელები იცის და აუცილებლად უჩივლებს - რაც, მოგეხსენებათ, თავისთავადაც შესანიშნავი რეკლამაა, სკანდალურ ფოტოსურათებზე არანაკლები.

თუმცა გვინეტი მაინც გულწრფელი ქალია და ამბობს, რომ "ჩემ ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი მაინც ძალიან სასიამოვნოა," და მთლად მდევნელის გარეშე დარჩენაც არ უნდა.

კრის მარტინთან ქორწინების შემდეგ პელტროუ ჰოლივუდიდან ლონდონში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მარტინმა ერთი პაპარაცი სცემა კიდეც - ეს მრავალმა სხვა პაპარაციმ გადაიღო, ჰე-ჰე. მაშინ გაზეთები და ჟურნალები გვინეტის ფოტოებით აჭრელდა, და ნაცემი ფოტოგრაფის გარდა, ყველა კმაყოფილი იყო: გვინეტი იმით, რომ ვაჟკაცი ქმარი ჰყავს და მასზე აქტიურად ლაპარაკობენ; მარტინი იმით, რომ ცოლი დაიცვა და მოძალადეს გაუმკლავდა; პრესა იმით, რომ მასალა მიეცა, თორემ რამდენი უნდა წერო ერთსადაიმავე ამბავის, თუნდაც ნაომი კემპბელის ნარკომანიის შესახებ. მოსაბეზრებელია, ბოლოს და ბოლოს.

მაიკლ პერკინსონის სატელევიზიო ტოკ-შოუში ნაომი კემპბელი კვლავ იმას მოჰყვა, რომ პირველად ნარკოტიკები 24 წლის ასაკში მიიღო. "სანი" დიალოგის ციტირებას ახდენს:

ნაომი: "ეს უფრო სწრაფს მხდიდა".

წამყვანი: "რა, კოკაინი?"

ნაომი: "აჰა".

მერე ნაომი, უკვე მეასედ, მოჰყვა, როგორ განარკომანდა, როგორ დადიოდა ჯგუფებში დიდებული სახელწოდებით "თავს უშველე", მაგრამ თავს როგორ ვერ შველოდა... "მე ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ ასე მინდოდა. ჩემ გარდა ეს არავის ბრალი არაა". რას არ გაიგებ კაცი! მართალია, ნაომი თავისი რომანტიკული ნარკომანიის შესახებ 2002 წლის შემდეგ უწყვეტლივ ჰყვება, მაგრამ მაინც ძალიან საინტერესოა, არა?

სამაგიეროდ, ერთი მთლად ახალი და მართლა კარგი ამბავიც ვიცი: ჯულია რობერტსი და პამელა ანდერსონი დამეგობრდნენ. მათი დაახლოების მიზეზი ჯულიას ორსულობა ყოფილა (რომლის შესახებაც უწინ უკვე გაუწყეთ, მაგრამ გამეორება ცოდნის დედაა). ინტერნეტ-სამსახური Actustar ჰყვება, რომ მუსიკოს ტომი ლის ორი ვაჟის დედა, პამელა, მომავალ დედას, ჯულიას, ათასგვარ სასარგებლო რჩევას აძლევს.

ვარსკვლავების ერთი მეგობარი ყველაფრის საქმის კურსში ყოფილა და ჩვენც გვიამბო, რომ "პამმა ჯულიას ურჩია, სახლში იმშობიაროს, სააბაზანოში". ჯულიას იმათთანაც უსაუბრია, ვინც პამს იმხანად გვერდში ედგნენ.

იმედია, პამი და ჯულია ბავშვის გაჩენამდეც იმეგობრებენ, ხოლო იმას, თუ რამდენად დაუჯერა ჯულიამ თავის გამოცდილ კოლეგას, მხოლოდ თებერვალში გიამბობთ, როცა ბავშვი დაიბადება.



კეტრინ ზეტა-ჯონსი



გვინეტ პელტროუ

## სკანვორდი



## TV პროგრამა

13 სექტემბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** დისკავერი **13.30** მხ. ფილმი "კრამერი კრამერის წინააღმდეგ" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ჭკვიანი ბავშვი" **23.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი "რკინის არწივი-2". მთ. რ-ში: ლუის ჰოსეტი უმც. მარკ ჰამფრი (18).

### პირველი არხი

**07.55** მოამბე **08.10** ღამის მოამბე (გამ.) **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "მარსუპილამი" **09.40** "იმღერე რამე" **10.10** მხ. ფილმი "თემო" **11.30** "ამბები ჩვენზე" **12.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. **16.30** სერიალი "უშიშრები" **17.00** "ფრაგმენტები სურათისათვის" **17.30** "ჩემი მშვენიერი ლედი" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 1-2ს. **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "ზღვის რაჯა" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს" (გ) 1-ლი ს.

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.25(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.05** ოლიმპიური თამაშები. ფრანგების ბედისწერა. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **12.15** არტ რეპორტაჟი. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **19.05** გადაცემა: სურათის წინ. **22.05** გადაჩემა: ულტრა. **24.25** შემთხვევით ბალთაზარი. მხ. ფილმი. რეჟისორი რობერ ბრესონი. 1966. **02.50** მუშეტი. მხ. ფილმი. რეჟისორი რობერ ბრესონი. 1967. **04.20** ექიმი სილვესტრი. ტელესერიალი.

### მზე

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ველური მთვარე" **10.30** "ჰოლივუდი დღეს" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** მინისერიალი "პროექტი "ბორისი" **13.05** "ტელეპროცესი. ერეკლე მე-2" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** ტელეჟურნალი "სცენა" **19.05** სერიალი "ველური მთვარე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "მარადიული სატრფო" (გ) (გარი ოლდმენი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "მარსუპილამი" 1-ლი ს. **19.30** "ამბები ჩვენზე" **20.00** "იმღერე რამე" **20.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 1-2ს. **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.00** მხ. ფილმი "მთვარის გლობუსი" (გ)

### იმედი

**07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 17.20, 20.30, 21.25, 01.30** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **09.10** სერაილი "უკიდურესი ზღვარი" **10.10** თამაში "უდაბნოს სამჭედლოები" **11.30, 01.00** ტვ-მარკეტი **12.10** სერიალი "კლონი" **13.25** მხ. ფილმი "დეტექტივთა კლუბი დაკარგული პრინცესის ძიებაში" (გ) (ჯ. კრონინი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 00.45** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "ქალთა ოთახი" (გ) (ჯ. მალკოვიჩი) **17.25** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.35** სერიალი "შატუნი" 1-ლი ს. **21.30** ვაკაჭი-ნიუსი **23.00** მხ. ფილმი "მრისხანების შიში" (გ) (ბრიუს ლი)

### იბერია

**18.00** მულტსერიალი "ცეცხლის შვილები" 1-2ს. **19.00** მინისერიალი "ადვოკატთა ბიურო" 1-ლი ს. **20.00** დოკ. ფილმი **21.05** კონცერტი **22.10** მხ. ფილმი "სიყვარული კლავს" (15)

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.10** Алиса Фрейндлих в комедии **"СЛУЖЕБНЫЙ РОМАН". 12.10** Дисней-клуб: "Алладин". **12.30** Лев Дуров в детективе **"ЗА ВСЕ НАДО ПЛАТИТЬ" 14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.10** "Угадай мелодию". **15.40** Сериал **"СЫЩИКИ". 16.50** Премьера. "Пять вечеров". Понедельник. **18.20** Смехопанорама **19.00** Сериал **"КЛОН". 20.00** Жди меня. **21.00, 23.30** Время. **21.30** Гоша Куценко в детективе **"АНТИКИЛЛЕР-2". 1**-я с. **22.40** Спецрасследование. "Дикое золото Магадана". **1**-я с. **23.50** Искатели. "Пропавшая святыня Нижегородского Кремля". **00.20** "Подорожник". **00.50** Алена Свиридова в программе "Русский экстрим. **01.20** Винсент Д'Онофрио в комедии **"БРАТЬЯ НЬЮТОН". 03.20** Барри Уотсон в комедии **"ПАРНИ ИЗ ЖЕНСКОЙ ОБЩАГИ" 04.50** Сериал **"ДОКТОР КУИНСИ".**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.15** Преступление в стиле "Модерн": мародер. **10.55** Особо опасен. **11.25** Евгений Миронов в фильме **"ВЕЧЕРНИЙ ЗВОН" 13.35** Сериал **"АДВОКАТ". 15.35** Криминальная Россия. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ТАКСИСТ". 18.35** Криминальная Россия. **19.40** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI: ГАДАЛКА". 20.50** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ". 22.00** Страна и мир. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.15** "Школа злословия" **00.45** Самые сильные люди мира.

# თბილად ზამთრისაკენ

## თბილისური მოდური უიკენდის ფუმფულა ტენდენციები

მადი სერებრიაკოვა









უკვე დამდგარი შემოდგომისა და დამდეგი ზამთრის მოდის ძირითადი ტენდენციები მსოფლიოს წამყვანმა მოდის სახლებმა კარგა ხნის წინათ გამოფინეს მოდის კვირეულებზე. საქართველოში ასეთი მასშტაბური კვირეულები არ იმართება და დიზაინერებიც, რომლებსაც ყოველ სეზონზე სრულფასოვანი კოლექციის მომზადება შეუძლიათ, ძალიან ცოტანი არიან. კლუბმა "16 რაუნდი" ამ იუკენდზე ახალგაზრდა დიზაინერების სალომე სპარსიაშვილისა და სოფო ბუხრაშვილის საშემოდგომო კოლექციის ჩვენება შემოგვთავაზა. მიუხედავად ღია კლუბისთვის შეუფერებელი ქარისა და სიცივისა, ჩვენებისთვის კლუბი მაინც სავსე იყო.

"16 რაუნდის" ფეშენ-შოუ კონცერტით დაიწყო. თუმცა, ყველასთვის აჯობებდა - ეს არ გაეკეთებინათ. თათია ჯაველიძის, ჯაბა მესტვირიშვილისა და მსგავსთა ფონოგრამების მოსმენისთვის კონცერტის დარქმევა - ძალზედ თამამი განაცხადია. ქართული ესტრადის დამწყები ვარსკვლავების სოფლური თვითშემოქმედება, სამწუხაროდ, ბევრად უფრო მძიმე მოსასმენი და სანახავია, ვიდრე მათი "გამოცდილი" კოლეგების. მათი მოსმენის შემდეგ უკვე ნათელი ხდება თუ რატომ არის ლელა წურწუმია ნომერ პირველი ვარსკვლავი.

როგორც იქნა დეფილეს დროც დადგა. როგორც ჩანს, ქართული ესტრადის ამომავალ ვარსკვლავებს შესცივდათ და სახლში წასვლა გადაწყვიტეს. ამ ორიოდ კვირის წინათ, მსგავს ჩვენებაზე, მათ იმდენ ხანს იმღერეს, ვიდრე კლუბის ტერიტორია ყველა თავმოყვარე მსმენელმა არ დატოვა.

სოფო ბუხრაშვილისა და სალომე სპარსიაშვილის კოლექცია, რა თქმა უნდა, გრანდიოზული მასშტაბებით ვერ დაიკვეხნიდა. თუმცა, 12 მოდელის შექმნა, ჩვენს პირობებში, უკვე დიდი საქმეა. კოლექციას პირობითად "რუსული ზამთარი" შეიძლება დავარქვათ. სლავური ფოლკლორის ელემენტებით იყო შექმნილი ნაირ-ნაირი ბეწვის აქსესუარები: ქუდები, ჩანთები და თვით ფეხსაცმელიც. ეს რომ ბრიჯიტ ბარდოს, ან ცხოველთა უფლებების დამცველ სხვა რომელიმე აქტივისტს ენახა, კოლექციის ავტორები დიდ ზარალში ჩავარდებოდნენ. თუმცა, საბედნიეროდ, ამგვარი იდეისთვის თავგანწირულები "16 რაუნდში" არ აღმოჩნდნენ.

ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ამ ფუმფულა და ღუნღულა აქსესუარებს თან, ასევე სლავური ფოლკლორით შთაგონებული, თხელი, გამჭვირვალე, მოკლე კაბები ახლდათ. გემოვნებით შეხამებული, ერთი შეხედვით, სრულიად შეუფერებელი ფერები თუ ფაქტურები - კოლექციას საკმაოდ თამამ და ექსტრავაგანტულ იერს აძლევდა.

უკენასკნელად იმავე "16 რაუნდში" მოდის ჩვენებაზე რომ ვიყავი, ყველაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოდელმა გოგონებმა მოახდინეს. კი ამბობენ მახინჯი ქალი არ არსებობსო, მაგრამ ზოგჯერ გამონაკლისები ხომ წესს ადასტურებენ. მოკლედ, მოდელები ჩვენში ძალიან იშვიათად აკმაყოფილებენ მათსავე პროფესიულ სტანდარტებს. სოფო ბუხრაშვილისა და სალომე სპარსიაშვილის ჩვენება, ამ მხრივ, გამონაკლისი იყო. თუმცა, ამას მეტად ორიგინალური მიზეზი ჰქონია. სააგენტო "მაქსიმუმმა" დიზაინერები, ასე ვთქვათ, "გადააგდო" და ჩვენებისთვის მხოლოდ სამი მოდელი გამოაგზავნა. დიზაინერები იძულებულნი იყვნენ პოდიუმზე საკუთარი მეგობრები პირდაპირ დარბაზიდან აეყვანათ. სწორედაც მოიქცნენ, ასეთი სიმპათიური მოდელებით საქართველოში ბევრი ჩვენება ვერ დაიკვეხნის. ასე რომ, სააგენტო "მაქსიმუმს" შეუძლია ამიერიდან საერთოდაც აღარ გააგზავნოს მოდელები ჩვენებებზე.

ორი ახალგაზრდა დიზაინერის კოლექცია, სამწუხაროდ, თბილისში არ გაიყიდება. კოლექციის ავტორებს აქ საკუთარი სალონი არ აქვთ და ამიტომაც მათი მოდელების უმეტესობა მათსავე არქივში დარჩება. თუმცა, დამკვეთი კოლექციის გარკვეულ ნაწილს ჩვენების დამთავრებისთანავე გამოუჩნდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მყიდველებმა უფრო ფაფუკი ბეწვის აქსესუარები და ჩექმები მოითხოვეს და მოახლოებული ცივი ზამთრისთვის თბილად მზადება აქედანვე დაიწყეს.







თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ღ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge




### წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სური ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.